საქართველოს რესპუბლიკა

[illegible]

№ 141 (420) ოთხშაბათი, 29 ივლისი, 1992 წელი

ფასი 3 მანეთი

როგორც საქართველოს სახელმწიფო საბჭოსა და მთავრობის გაერთიანებულ სხდომაზე აღინიშნა, ხალხის მიერ დამხობილი და უარყოფილი დიქტატორული რეჟიმის მომხრეები, პოლიტიკურ ლოზუნგებს ამოფარებულნი, მიმართავენ დივერსიებს, ტერორს, მავნებლობას, ავრცელებენ პროვოკაციულ ხმებს, აჩერებენ სამგზავრო და სატვირთო მატარებლებს; ავტოტრანსპორტს, იტაცებენ პირად და სახელმწიფო ქონებას

— მომისმინე, შვილო! — იქნებ ასე იწყება დიდი საუბარი, ურთიერთგაგება, მერე — შერიგება. ტკივილს გადაბიჯებული ეროვნული ერთობა ასეთი დიალოგებით იწყება ალბათ. ეს ფოტოსურათი სენაკშია გადაღებული სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის იქ ჩასვლის დღეს.

შ. აივაზოვის ფოტო.

ნომერში

- ⊙ შერიგებისას დამნაშავეს არ ეძებენ. — 2
- ⊙ აღამაღლეთ, განადიდეთ ქვეყანა ჩვენი — საქართველო! — 7
- ⊙ ჩვენი ბედი აინტერესებთ, ჩვენ თანაგვიგრძნობენ. — 8

ნუხად შეიტყვეთ

მიიღეს ევროპის ფედერაციის წევრად

რესპუბლიკაში პირველი საქართველო-საფრანგეთის ერთობლივი უმაღლესი სასწავლებელი ესმ — თბილისი მიღებულია მენეჯმენტის სკოლების საერთაშორისო ასოციაციისა და უმაღლესი სკოლების ევროპის ფედერაციის წევრად.

ახალმა უმაღლესმა სასწავლებელმა უფლება მიიღო თავის კურსდამთავრებულებს მისცეს მენეჯმენტის უმაღლესი სკოლების ასოციაციის დიპლომის ანალოგიური და ევროპაში ასეთივე უფლებების მქონე საერთაშორისო დიპლომი უმაღლესი განათლების მიღების შესახებ.

საქართველო-საფრანგეთის ერთობლივი უმაღლესი სასწავლებლის ესმ — თბილისის ხელმძღვანელობას ამის შესახებ ჟენევიდან აცნობა მენეჯმენტის უმაღლესი სკოლების საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტმა მიშელ ნოვოვიჩმა.

●

ეფექტიანი სიახლე

საწარმოო გაერთიანება „თბილისპურს“ სატრანსპორტო გადაზიდვის საკმაო სახსრების დაზოგვის შესაძლებლობას მისცემს ეფექტიანი ტექნოლოგიური სიახლე, რომელიც ნავთლუღის პურპროდუქტების კომბინატში დაინერგა. წისქვილის გზა პროდუქციის უბნის მცირე რეკონსტრუქციის გზით, რომელშიც შევიდა ახალი მექანიზმებისა და ელექტრო მოწყობილობის დადგმა, აქ დაიწყო სპეციალური ფქვილის უტარო გამოშვება, რომელიც ხორბლის შავი პურის გამოცხობას ხმარდება.

დარგის სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ კომბინატის მთავარი ინჟინრის თამაზ გურჩუმელიძის რაციონალიზატორული წინადადებით განხორციელებული სიახლის დანერგვა მოხერხებული იქნება დედაქალაქის საბაზრებისათვის, ეს ხელსაყრელი იქნება აგრეთვე მათი ნაწარმის მომხმარებლებისთვისაც. „თბილისპურის“ საწარმოო ობიექტებმა მიიღეს შესაძლებლობა ძირითადად უარი თქვან სპეციალური ვაგონებითა და ავტომანქანებით გორის, წნორის, სამტრედიის კომბინატების, პურპროდუქტების რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანების სხვა მონათესავე საწარმოებში არსებული ასეთი ფქვილის შემოტანაზე.

●

მანქანა ბარგიანად გაიტაცეს...

სარფის საბაჟოს ჭიშკარი ბევრისათვის სარფიანი გახდა, ბევრისათვის — სავალალო. ამჯერად ერთ მარცხიან თავდასხმაზე გიამბობთ: თურქეთიდან დაბრუნებული რამდენიმე მგზავრი გაურიგდა იქვე მდგომ „ერაზის“ მანქანის მძღოლს და თავისი ბარგი-ბარხანით ბათუმისაკენ გამოსწიეს. ეს განთიადზე მოხდა. ბათუმში შემოსულმა მგზავრებმა თავი სამშვიდობოს დაიგულეს, მაგრამ მოულოდნელად მათ შეიარაღებული ჯგუფი გადაუდგა. ყაჩაღებმა მგზავრები ჩამოსვეს და მანქანა მგზავრთა ბარგიანად გაიტაცეს.

შოლიპული აღმოჩნდა ყაჩაღთა გზა. გატარებული ოპერატიული ზომების შედეგად დააკავეს მოძალადეები. ისინი აღმოჩნდნენ ბათუმელი გივი აგირბა და ხელვაჩაურის რაიონის სოფელ კახაბრის მკვიდრი თემურ ბეჟანიძე.

მიხეილ გორგილაძე.

ამ დღეებში

ფეატყოვინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

მთელი ძალები მოვახმაროთ გარდამავალი პერიოდის სირთულეთა დაძლევას

საქართველოს სახელმწიფო საბჭოსა და მთავრობის ერთობლივი სხდომები

27 ივლისს გაიმართა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს და მთავრობის ერთობლივი სხდომა, რომელზეც მიწვეული იყვნენ სამინისტროებისა და უწყებების, დიდი სახელმწიფო და კომერციული საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ქალაქებისა და რაიონების, ავტონომიური რესპუბლიკების წარმომადგენლები, თვალსაჩინო მეცნიერები და სპეციალისტები, პრესის მუშაკები.

დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: საქართველოში ეკონომიკური რეფორმის მიმდინარეობის, ეროვნული მეურნეობის ფუნქციონირების სოციალურ-ეკონომიკური შედეგებისა და რესპუბლიკის 1992 წლის იანვარ-ივლისის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საკითხები, მაგრამ ეს ორივე საკითხი იმდენად მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს, შეიცავს ჩვენი დანგრეული ეკონომიკისთვის [illegible] დამახასიათებელ პრობლემათა პრაქტიკულად მთელ სპექტრს, რომ მათი განხილვა არ შეიძლებოდა არ წარმართულიყო საერთო კალაპოტით. სწორედ ამიტომ იმ მოხსენების შესახებ, რომელიც პირველი საკითხის თაობაზე გააკეთა პრემიერ-მინისტრის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა, ეკონომიკური რეფორმის რესპუბლიკური შტაბის თავმჯდომარემ რომან გოცირიძემ (ეს მოხსენება დღეს ქვეყნდება ჩვენი გაზეთის ფურცლებზე), და იმ ინფორმაციათა შესახებ, რომლებიც შემდეგ გააკეთეს ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრებმა ომარ ვარძელაშვილმა და ვაჟა ჭინჭარაძემ, გაიმართა კამათი. მისი ძირითადი თემა გახდა საფუძვლიანი სჯა-ბაასი მთლიანად მეურნეობის წამყვანი დარგების მდგომარეობისა და მათი ფინანსური უზრუნველყოფის თაობაზე. აქ პრობლემები ძალზე ბევრია, რაც ძირითადად განპირობებულია პოლიტიკური შფოთიანობით, წინა პერიოდში ეკონომიკურ რეფორმათა განხორციელების გაჭიანურებით, ტრადიციული ეკონომიკური კავშირურთიერთობის მოშლით, სათბობ-ენერგეტიკული და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დიდი ნაკლებობით, მართვის დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურების არც თუ ნაყოფიერი მუშაობით.

ყოველივე ამის შედეგად თითქმის ორჯერ შემცირდა სამრეწველო პროდუქციის წარმოება, უმეტეს რაიონებში განახევრდა სახელმწიფოსთვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდება, პრაქტიკულად შეჩერდა მუშაობა კაპიტალური მშენებლობისათვის, საწვავ-საპოხი მასალების უქონლობის გამო დიდად შეფერხდა სატვირთო და სამგზავრო ტრანსპორტის მუშაობა. ყოველივე ამას დაემატა კიდევ რკინიგზის და საავტომობილო მაგისტრალებისა და გაზსადენების გადაკეტვა, საბოტაჟისა და დივერსიის ფაქტები. მკვეთრად შემცირდა აგრეთვე საქონელბრუნვის მოცულობა სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის სისტემაში.

ასეთ პირობებში არ არის გასაკვირი, რომ მოსახლეობის საარსებო მინიმუმის დონემ სიღარიბის ნიშნულზე დაბლა დაიწია.

ორატორებმა, რომლებმაც ღრმად და ყოველმხრივ გაანალიზეს ამ პრობლემათა მიზეზები, კონკრეტული წინადადებანი გამოთქვეს ქრონიკული ჩამორჩენის ლიკვიდაციის, ჩამოყალიბების პერიოდში მყოფი საბაზრო ეკონომიკის სპეციფიკის გათვალისწინებით პარტნიორებთან კავშირურთიერთობის დამყარების თაობაზე. საბაზრო ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ერთობლივ საწარმოთა შექმნა-მოქმედებას და ამ საქმეში უცხოური კაპიტალის ჩართვას. სხდომაზე დიდი ყურადღება დაეთმო მრეწველობის, აგროსამრეწველო კომპლექსის, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის, სამშენებლო კომპლექსის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, სოციალური სფეროს შემდგომი განვითარების საკითხებს. აღინიშნა, რომ ეკონომიკური რეფორმის წარმატება გადამწყვეტწილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ შეძლებენ ადამიანები დააღწიონ თავი ძველებურად აზროვნებას, მემკვიდრეობად რომ გვერგო, რამდენად შეიგნებენ, რომ საბაზრო ურთიერთობა უწინარეს ყოვლისა პირადი ინიციატივის გამოვლენას და საკუთარი შემოქმედებითი შესაძლებლობის მაქსიმალურ გამოყენებას გულისხმობს. აღარ უნდა ველოდოთ ვინმესგან დირექტივებს, უნდა ვიმოქმედოთ გაბედულად და თავისუფლად, ამასთან ვიხელმძღვანელოთ არა მარტო ამწუთიერი სარგებლით, არამედ საზოგადოების, ქვეყნის პერსპექტივითაც.

სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი თენგიზ სიგუა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე.

• • •

რესპუბლიკაში მიმდინარე წლის ექვსი თვის მანძილზე მართლწესრიგის განმტკიცებისა და ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფისათვის გაწეული მუშაობის შედეგები განიხილეს საქართველოს სახელმწიფო საბჭოსა და მთავრობის 28 ივლისის გაერთიანებულ სხდომაზე.

მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა თენგიზ სიგუამ.

როგორც მომხსენებელმა, ისე რესპუბლიკის სამართალდამცველი ორგანოების ხელმძღვანელებმა, საქალაქო და რაიონული გამგეობების თავმჯდომარეებმა, სახელმწიფო საბჭოს წევრებმა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა სერიოზული შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ ქვეყანაში შეიქმნა უაღრესად დაძაბული პოლიტიკური, ეკონომიკური ვითარება და მძიმე კრიმინოგენული სიტუაცია, რამაც შეიძლება არარად აქციოს ყველა მონაპოვარი დამოუკიდებლობის, დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის გზაზე. სოციალურმა დაძაბულობამ რესპუბლიკაში კრიზისულ ზღვარს მიაღწია. კატასტროფულად ქვეითდება ხალხის ცხოვრების დონე, დაძაბუნდა ეკონომიკა, მოიშალა სახალხო მეურნეობის მართვის მექანიზმი, მკვეთრად გაუარესდა მართლწესრიგის მდგომარეობა, დამნაშავეობამ არნახული მასშტაბი შეიძინა, ქვეყანა მოიცვა ეთნოკონფლიქტებმა, გაითელა პიროვნების სოციალური და სამართლებრივი დაცვის ნორმები.

ხალხის მიერ დამხობილი და უარყოფილი დიქტატორული რეჟიმის მომხრეები, პოლიტიკურ ლოზუნგებს ამოფარებულნი, მიმართავენ დივერსიებს, ტერორს, მავნებლობას, ავრცელებენ პროვოკაციულ ხმებს, აჩერებენ სამგზავრო და სატვირთო მატარებლებს, ავტოტრანსპორტს, იტაცებენ პირად და სახელმწიფო ქონებას.

არ არის გასაკვირი, ითქვა სხდომაზე, რომ ასეთ სიტუაციაში საშინლად იზრდება სისხლის სამართლის დანაშაულობათა რიცხვი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობათა ზრდის მაჩვენებელმა ზღვრულ ნიშნულს მიაღწია. საკმარისია ითქვას, რომ შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით განზრახ მკვლელობათა რიცხვი 76 პროცენტით და მეტად გაიზარდა, სამჯერ გადიდდა ბანდიტური თავდასხმების შემთხვევათა რაოდენობა, რომელთა დროს, ბუნებრივია, გამოყენებული იყო ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი.

ამ დროს, როგორც ხაზგასმით აღნიშნეს სხდომის მონაწილეებმა თავიანთ გამოსვლებში, უაღრესად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მუშაობა იარაღის ჩამორთმევისათვის, რომელიც უკანონოდ აქვთ მოსახლეობას და სხვადასხვა შეიარაღებული ფორმირების წევრებს.

ბევრი მწარე საყვედური გამოითქვა სამართალდამცველი ორგანოების, განსაკუთრებით მილიციის მიმართ, რომელთა პირდაპირი მოვალეობაა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვა. აღინიშნა, რომ მისი სუსტი მუშაობა გარკვეულწილად განაპირობა საკადრო პოლიტიკის სერიოზულმა ნაკლოვანებებმა. ხშირად სამართალდამცველი ორგანოების კადრების შერჩევა-განაწილების დროს არ არის გათვალისწინებული ადამიანების საქმიანი და პირადი თვისებები, განათლება, სპეციალობა, გამოცდილება. ამის გამო მილიციის ორგანოებში ხშირად ხვდებიან საეჭვო წარსულის და რეპუტაციის მქონე შემთხვევითი ადამიანები.

ამავე დროს, აღინიშნა სხდომაზე, სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობაში არსებული ხარვეზები ხშირად განპირობებულია ობიექტური მიზეზებით. მილიცია, რომელიც მოწოდებულია დაიცვას მოქალაქეთა უშიშროება, ძალზე ხშირად თვითონ დაუცველია იმის გამო, რომ არა აქვს საჭირო აღჭურვილობა და შეიარაღება, იგი ხშირად უმწეოა თავით ფეხამდე შეიარაღებული ბანდების წინაშე. ბანდიტს რა მოეკითხება, როცა მძარცველთა როლში არცთუ იშვიათად გვევლინებიან ოფიციალური შეიარაღებული ფორმირებების წევრები. ყველაზე უარესი ის არის, რომ, როცა ასეთ სამართალდამრღვევებს აკავებენ, მათ გამოსახსნელად იქვე გაჩნდებიან ხოლმე მათი თანამებრძოლები, რომლებიც იარაღით ემუქრებიან, ზოგჯერ კი ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებენ მილიციის მუშაკებს და ათავისუფლებენ დაპატიმრებულებს. სხდომაზე მოიყვანეს ასეთი აღმაშფოთებელი ფაქტების კონკრეტული მაგალითები. უფრო მეტიც, როგორც ანალიზი ცხადყოფს, გაუხსნელ დანაშაულობათა 80 პროცენტი სწორედ ასეთ ფორმირებათა წევრებზე მოდის. ამიტომ სავსებით გასაგებია: როგორ უნდა გაიხსნას საქმე, თუ იძულებულნი არიან დანაშაულის ჩამდენნი მაშინვე გაუშვან.

სავსებით ბუნებრივია, რომ სხდომაზე კატეგორიულად დაისვა საკითხი, რათა ყველა შეიარაღებული ფორმირება გადაიყვანონ ყაზარმულ მდგომარეობაზე, აუკრძალონ ყაზარმის გარეთ იარაღით გამოჩენა. უნდა ითქვას, რომ ერთ-ერთ წინა სხდომაზე ასეთ მოთხოვნას ხორცი შეესხა შესაბამისი გადაწყვეტილებით, მაგრამ სამწუხაროდ, მის შესრულებას საშველი ვერ დაადგა. რატომ?

შეშფოთებასა და აღშფოთებასთან ერთად ორატორებმა გამოთქვეს ბევრი კონკრეტული წინადადება: გამოიყენონ ყველა საშუალება მილიციის აღჭურვისა და შეიარაღებისათვის, რათა იგი ეფექტიანად ებრძოდეს დამნაშავეობას, გამორიცხონ პრაქტიკიდან ის, რომ მილიციის ფუნქციას ასრულებდეს რომელიმე სხვა შეიარაღებული ფორმირება, მიაღწიონ ამ ფორმირებათა ყაზარმულ მდგომარეობაზე გადაყვანის გადაწყვეტილების განუხრელ შესრულებას, მტკიცედ შეასრულონ მოთხოვნა — კანონის წინაშე ყველა თანასწორია, და არ დაუშვან არავითარი შეღავათი კანონის დამრღვევ პირთა მიმართ, ვინც უნდა იყვნენ ისინი...

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ.

ედუარდ შევარდნაძე:

თუ სიტუაცია მოითხოვს, ჩვენ დავსვამთ კონფლიქტის ზონაში მშვიდობის დაცვის საერთაშორისო ძალების შეყვანის საკითხს

— უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ ქართველთა და ოსთა კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისთვის გამიზნულ თქვენს ძალისხმევას, განაცხადა 27 ივლისს ედუარდ შევარდნაძესთან საუბრისას მარკ ეისკენსმა — ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მისიის მეთაურმა, რომელიც საქართველოში მისი ხელმძღვანელობის მოწვევით ჩამოვიდა.

როგორც მისიის მეთაურმა ბრძანა, რომელიც მოკლე ხნის მანძილზე უკვე მეორედ ეწვია ჩვენს რესპუბლიკას, ახლანდელი ჩამოსვლის მიზანია კონფლიქტის ზონაში მოწესრიგების მექანიზმის მოქმედების გაცნობა.

— წარმატება, რომელსაც ჩვენი მისია მაქსიმალურად შეუწყობს ხელს, ევროპაში სხვა კონფლიქტების მოწესრიგებისთვის სამშვიდობო ღონისძიებათა პრეცედენტს შექმნის, — ხაზგასმით აღნიშნა ბატონმა ეისკენსმა, — თქვენი გამოცდილება გადაიქცევა მოდელად, რომლის გამოყენება შესაძლებელი იქნება ყველგან კონტინენტზე.

დაეთანხმა რა ამას, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ გაანალიზა ქართველთა და ოსთა კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ სოჭში დადებული შეთანხმების შესრულების მიმდინარეობა, დახასიათა რეგიონის სიტუაცია, რომელიც შეიქმნა იქ სამშვიდობო ძალების შეყვანის შემდეგ.

— ჩვენ მივაღწიეთ ცეცხლის შეწყვეტას, მაგრამ სიძნელეები და წინააღმდეგობა თავს იჩენს ყოველ ნაბიჯზე. დიდი პრობლემები ჩნდება ლტოლვილთა მასობრივ დაბრუნებასთან დაკავშირებით. ხანგრძლივ შეიარაღებულ კონფრონტაციას მოჰყვა საბინაო ფონდის ნგრევა, სოციალური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის მოშლა. ჩვენს მიერ სპეციალურად შექმნილი კომისია განსაზღვრავს ომით გამოწვეულ ზარალს, ამუშავებს ცხოვრების ნორმალური რიტმის აღდგენის გეგმებს, მაგრამ ჩვენი შესაძლებლობები და რესურსები შეზღუდულია და მარტო ჩვენი ძალებით ამას თავს ვერ გავართმევთ.

ამასთან დაკავშირებით ედუარდ შევარდნაძემ მისიის წინაშე დასვა საკითხი, რომ შეიმუშავდეს პრინციპული დებულებანი კონფლიქტებით დაზარალებული რაიონებისთვის დახმარების გაწევის თაობაზე.

— მათი გაგრძელება ბევრად უფრო ძვირი დაუჯდება კონტინენტს, ვიდრე ის, რომ ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ქვეყნებმა სოლიდური თანხები გამოყონ ევროპის ფონდში ამ რაიონების დასახმარებლად. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ უპასუხა ბატონ ეისკენსის კითხვას იმის თაობაზე, თუ რამდენი ხანი უნდა დაჰყონ სამმხრივმა სამშვიდობო ძალებმა მოწესრიგების ზონაში, და აღნიშნა, რომ ეს ძალები საერთოდ მშვენივრად ართმევენ თავს დაკისრებულ ამოცანებს.

— მაგრამ, თუ საჭირო გახდება ორ-სამ თვეზე მეტ ხანს ამ ქვეგანაყოფების რეგიონში ყოფნა, არ გამოვრიცხავთ იმ საკითხის დასმას, რომ ისინი შეცვალონ მშვიდობის დაცვის ევროპის ან საერთაშორისო ძალებმა. რა თქმა უნდა, ეს გაკეთდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სიტუაცია მოითხოვს, და მხოლოდ შესაბამისი მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ, — დასძინა ედუარდ შევარდნაძემ.

საუბრის ბოლო ნაწილი სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მისიის მეთაურმა პირისპირ განაგრძეს.

საქართველოში თურქეთის პრემიერ-მინისტრის ვიზიტისათვის

სულეიმან დემირელი

თურქეთში ალბათ ძნელად თუ მოიძებნება უფრო გამოკვეთილი, კოლორიტული პოლიტიკური ფიგურა, ვიდრე სულეიმან დემირელია. გასული წლის ოქტომბერში ს. დემირელი მეშვიდედ გახდა თურქეთის პრემიერ-მინისტრი.

სულეიმან დემირელი დაიბადა 1924 წლის 1 ნოემბერს. 1949 წელს დაამთავრა სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტი საინჟინრო-ჰიდროტექნიკური სპეციალობით, სტაჟირებას გადიოდა აშშ-ში.

1954 წელს ინიშნება ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო ეკონომიკური ორგანიზაციის — წყალთა მეურნეობის სამმართველოს გენერალურ დირექტორად.

1961-65 წლებში ხელმძღვანელობდა რამდენიმე საზღვარგარეთული კომპანიის წარმომადგენლობას თურქეთში.

1961 წელს შევიდა სამართლიანობის პარტიაში, რომელიც სამხედროების მიერ აკრძალული დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური მემკვიდრე გახდა.

1964 წელს გახდა სამართლიანობის პარტიის გენერალური თავმჯდომარე.

1965 წელს და 1969 წელს პარლამენტის არჩევნების შედეგად ორჯერ მეთაურობდა ერთპარტიულ მთავრობას, 1971 წლის მარტამდე.

1975-80 წლებში ს. დემირელი კიდევ ოთხჯერ გახდა პრემიერ-მინისტრი. იგი მეორედ გადააყენეს 1980 წლის 12 სექტემბრის სამხედრო გადატრიალების შედეგად.

სამხედრო ხელისუფლების მიერ პოლიტიკური პარტიებისა და მათი ლიდერების მოღვაწეობის აკრძალვის მიუხედავად, ს. დემირელმა შეძლო შეენარჩუნებინა თურქეთის ყველაზე პოპულარული პოლიტიკური მოღვაწის პოზიციები, ხოლო შემდეგ საყოველთაო ეროვნული რეფერენდუმის გზით მიაღწია პარტიის ლიდერთა მოღვაწეობის მიმართ აკრძალვის გაუქმებას.

1983 წელს მისი აქტიური მონაწილეობით შეიქმნა სწორი გზის პარტია. 1987 წელს ს. დემირელი ამ პარტიის გენერალური თავმჯდომარე გახდა და კვლავ აირჩიეს პარლამენტის დეპუტატად.

1991 წლის 20 ოქტომბერს პარლამენტის ვადამდელ არჩევნებზე სწორი გზის პარტიამ ხმა მისცა თურქი ამომრჩევლების 27 პროცენტზე მეტმა, და მიიღო თურქეთის პარლამენტში 178 ადგილი 450-დან. ს. დემირელმა შექმნა მთავრობა სოციალ-დემოკრატიულ სახალხო პარტიასთან კოალიციაში.

ს. დემირელი გამოირჩევა პოლიტიკური ბრძოლისა და მრავალმხრივი ეკონომიკური მოღვაწეობის დიდი გამოცდილებით, პრაგმატიზმით, პოლემიკური და ორატორული ნიჭით, მაღალი შრომისუნარიანობით. მას ახასიათებს პირველხარისხოვანი პოლიტიკოსის თვისებები, რომელიც ენერგიულად, მოქნილად და სწორი ტაქტიკით აღწევს დასახულ მიზანს.

ს. დემირელი საგარეო პოლიტიკაში პრიორიტეტს ანიჭებს ურთიერთობას დასავლეთთან და პირველ რიგში აშშ-სთან, რომელთანაც თურქეთს მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობა აკავშირებს. დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ურთიერთობას ყოფილი სსრკ-ს მუსლიმანურ რესპუბლიკებთან, რომელთათვისაც თურქეთი „უფროს ძმად“ მიაჩნია. მომხრეა კეთილმეზობლური თანამშრომლობისა ყველა მოსაზღვრე ქვეყანასთან, განსაკუთრებით „შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის“ ჩარჩოებში. ანატოლიის სააგენტოს მიერ მოწყობილი გამოკითხვის შედეგად ს. დემირელი თავის ქვეყანაში დასახელებულია „წლის გამოჩენილ ადამიანად“.

შერიგებისას დამნაშავეს არ ეძებენ

ამირან ქალიძე.

— შერიგებისას დამნაშავეს არ ეძებენ. შერიგებისას მთავარია იყო მიმტევებელი. ასეც ვფიქრობდი, ვფიქრობდი, რომ ვიქნებოდით ურთიერთმიმტევებელნი, — ასე დაიწყო საუბარი სახელმწიფო საბჭოს წევრმა, პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა, რომელსაც ფოთიდან გამოფრენისას ინტერვიუ ვთხოვე.

— ასე იყო მარტვილში, ასე იყო აბაშაში, ასე იყო ხობში; მეტ-ნაკლებად, მაგრამ მაინც ასე იყო, სიკეთე ბევრად ჭარბობდა ბოროტებას...

მაგრამ, ჰოი, უბედურებავ!

სენაკში თეატრთან უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ძაძებიანი ქალების ნაცნობი სახეები ცუდად გვიმზერდნენ. დიახ, ნაცნობი სახეები, ბევრი მათგანი თბილისშიც მინახავს, ერთი — მოსკოვშიც...

მეთაურთა ნიშანზე ატეხეს კივილი, ზუსტად ისე, როგორც ინდიელებმა იცოდნენ ომის დროს, პირზე ხელს იცემდნენ და ჰკიოდნენ: ისროდნენ ქვებს, იფურთხებოდნენ... პირველად ჩემს სიცოცხლეში გავიფიქრე, თურმე რა ადვილი ყოფილა თავის მოკვლა. გულისგულში გამიხარდა, რომ დედაჩემი ცოცხალი აღარ არის, დრო იყო, ყველა დედის ხნის ქართველ ქალს დედაჩემს ვადარებდი...

დავიბენი, ველარ გავიგე, ვისთვის შემედარებინა ის ქალები, რომლებიც ისტერიული კივილით ქვეყანას იკლებდნენ და ფურთხით ავსებდნენ სტუმართმოყვარე და უსათნოესი კოლხეთის ცასა და მიწას.

ვინც თქვენ გადაგრიათ, მთელი ცხოვრება ასე გადარეული ამყოფე-მეთქი, გავიფიქრე და რის ვაივაგლახითა და ხალხის დახმარებით შევედით დარბაზში. გარეთ წივილ-კივილი არა ცხრებოდა, ხოლო დარბაზში, მადლობა ღმერთს, ნამდვილი საქართველო ვიხილეთ, უდახვეწილესი, დიდი ისტორიის მქონე ერთგული, გონიერი და ბრძენი...

ღმერთმა დამიფაროს, რომ რომელიმე მხარის შეცდომაზე თვალი დავხუჭო, უამრავი რამ შეეშალა ორივე მხარეს, მაგრამ თავში მოგახსენეთ, თუ შესარიგებლად თეთრი დროშით მისულხარ შენს ძმასთან, მაშინ არ ღირს იმის გახსენება, თუ თბილისში რომელი ქალაქის რომელმა „ომონმა" როგორი სისასტიკით დაარბია რუსთაველზე უდანაშაულო ოპოზიციონერები, არც იმის თქმა ღირს, რომელი ბრიყვი ეჩემებოდა თბილისელს, რომ პრეზიდენტი თქვენ დაგვჭერთ, გაგყრით ქალაქიდან და თქვენს სახლებში ჩვენ ვიცხოვრებთო.

დიახ, ასეა, ბატონებო, ჯოჯოხეთია მოსაგონებლად ბარიკადის ორივე მხრიდან. მაგრამ, რადგანაც სახელმწიფო საბჭომ და მისმა ხელმძღვანელმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, მთელმა მთავრობამ მოინდომა, რომ საერთოდ აღებულიყო ეს სამარცხვინო ბარიკადი, ძმათა შორის ეშმაკისგან ნაგები, მეგონა, რომ, ასე თუ ისე, მაინც ყველაფერი საშინელი და მტრული დავიწყებას მიეცემოდა.

დილით სენაკის სასტუმროში, რამდენიმე ქალბატონი მობრძანდა და გაგვესაუბრა. ჩვენ ვტიროდით წუხელ, ვტიროდით ქართველი ქალის სისასტიკეს და გვინდა ირწმუნოთ, რომ ისინი, საგანგებოდ წაქეზებული ადამიანები, ძალიან ცოტანი არიან, რომ ქართველი ქალის მანდილი მაინც შეარიგებს ძმებს, რომლებიც მარადის ერთად ცხოვრობდნენ, ერთად ცხოვრობენ და კვლავაც ერთად იქნებიან, ერთად ყველა სატანის ჯინაზე.

უნდა დავიჯეროთ, მეტი რა გზაა, უნდა დავიჯეროთ, რადგან ქართველი კაცის მომრევი გარეული მტერი ქვეყანაზე არ მეგულება, ქართველი კაცის მომრევი ისევ ქართველია. ღმერთო, შენ მოაქციე ქართველი კაცი, მოეც ქრისტესმიერი სიყვარული, რათა იყოს მიმტევებელი. ქვეყანას მხოლოდ სიყვარული თუ გადაარჩენს!

რაც წალენჯიხაში ვნახეთ, დღეს, მსგავსს, ალბათ, ვერავინ ვერსად ნახავს, მხოლოდ გადამწვარ სახლებსა და შეურაცხყოფილ ადამიანებს არ ვგულისხმობ, მე მოგახსენებთ მომხდარი უბედურებით გამოწვეულ რეაქციას, თორემ სახლები თბილისშიც გადაწვეს, გაქურდეს კიდეც, და მანქანები კი არა, ადამიანები მოჰპარეს ოჯახებს. ასე რომ, ტრაგედია ნაკლები არ მომხდარა არც თბილისში, არც სხვაგან.

მჯერა და მართლაც ასეა — წალენჯიხაში ხალხი უკიდურესად შეურაცხყოფილია, მინდა ისიც ვთქვა, რომ ცალმხრივად არაფრის შეფასება არ შეიძლება. რატომ არ უნდა ვთქვათ, რომ ყველაფერი გროზნოდან იმართება და შემსრულებლები ტყეში შეხიზნული ბანდები არიან? „მხედრიონის" დამნაშავე წევრებს არაფრისდიდებით არ გავამართლებ, მაგრამ ვინ დაესხა პირველად მხედრიონის მძინარე წევრებს? ვინ მოინდომა მათი საბოლოო ამოწყვეტა? განა მნიშვნელობა არა აქვს, ვინ გესხმის თავს და ვინ არის იძულებული თავი დაიცვას? ვინ ანგრევს ხიდებს და ლიანდაგებს, ვინ აფეთქებს გვირაბებს, ვინ ალატაკებს საქართველოს? დღეს, დღისით-მზისით, განა შეიძლება ტყვეობაში გყავდეს კაცი, რომელიც ადამიანის უფლებებს იცავს? მშვიდობიანი მოსახლეობა რომ ხელშეუხებელი უნდა იყოს, განა საკითხავია? მაგრამ ყაჩაღი რომ. სახლში შემოგივარდება და იქიდან დაუწყებს სროლას სრულიად უდანაშაულოებს, ვინ გაარჩევს, ყაჩაღი ისვრის მხოლოდ, თუ სახლის პატრონიც? გალში, სადაც მხედრიონელს ფეხი არ დაუდგამს, ვინ გაიტაცა 200 ავტომანქანა? ერთმა ფოთელმა ქალბატონმა საქვეყნოდ უთხრა ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, „მხედრიონმა" რაც გვიქნა — მტერს, მაგრამ უარესს ადგილობრივი ყაჩაღები გვიშრებიანო.

მაშ, არ უნდა გავარკვიოთ, ვინ მოკლა ასე სასტიკად კანდიდ გოგუა — ვაჟკაცი, რაინდი, მოღვაწე კაცი, ხუთი შვილის მამა? რაც ჩამოვთვალე ხომ ყველაფერი გასარკვევია და ხომ უნდა აგოს ვიღაცამ პასუხი? ხომ უნდა მოეღოს ბოლო ძმათა სისხლის ღვრასა და დაუნდობლობას? ისედაც შეჭირვებულ ხალხს თავს უტენიან ჰებელსური ტყუილებით, შეუჩერებლივ მუშაობს ბოროტების მანქანა..

სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი უამრავი ტრაგიკული გაუგებრობის გამო ჩავედით სამეგრელოს რეგიონში, მჯერა, ბატონო, ამდენმა ყაჩაღობამ და დაუნდობლობამ გადარია მშვიდობიანი მოსახლეობა, გადარია და წონასწორობიდან გამოიყვანა, მაგრამ როცა საქვეყნოდ ცნობილი პიროვნება, შენი სისხლი და ხორცი, შენი პირისუფალი ჩამოდის ვითარების გასარკვევად და ძმათა შესარიგებლად, ნუთუ ყური არ უნდა დაუგდო? კაცს, რომელსაც საბოდიშო არაფერი არა აქვს, ბატონებო. ამნაირი ქცევით ჩვენ ქართულ სოფელს ვერ ავაშენებთ. ნათქვამია: კაცს ისეთი სიტყვა არ უნდა ჰკადრო ჩხუბის დროს, შერიგებისას რომ შეგრცხვებაო... მე მაინც მჯერა, რომ ბატონ ედუარდ შევარდნაძის და სახელმწიფო საბჭოს წევრთა სამეგრელოში ჩასვლას საქართველოს ხვალინდელი დღის აღორძინება მოჰყვება. იმ გადაბუგულ სახლებსაც ავაშენებთ და გაბზარულ გულებსაც გავამრთელებთ, დიახ, ასე იქნება მტრის ჯინაზე.

დღეს რა გვღუპავს?

ბევრჯერ მითქვამს და ახლაც ვიტყვი: ურწმუნოება გვღუპავს, კერპთაყვანისმცემლობა, სიბნელე და ნათლის უარყოფა: „და ესე არს სასჯელი, რამეთუ ნათელი მოვიდა სოფლად, შეიყუარეს კაცთა ბნელი, ვიდრე ნათელი, რამეთუ იყვნეს საქმენი მათნი ბოროტ". (იოანე).

ასეა, ბატონო, ბნელში ვსხედვართ, — წკვარამში, გარეთ გახედვაც არ გვინდა!

• • •

ასე თქვა ბატონმა ჯანსუღ ჩარკვიანმა „საქართველოს რესპუბლიკისთვის" მიცემულ ინტერვიუში. ამასვე იტყოდა, ალბათ, ტრიბუნიდან, რადგან ასეთია მისი დამოკიდებულება ამ დიდი პრობლემისადმი.

თავისუფალი ტრიბუნა.

დიდი ტკივილის გამო მართალი, გულწრფელი, პატიოსანი, ყველა თავისი სათქმელით, სხვაა — სწორი თუ მცდარი პოზიციით. „ლომი ბრდღვინავს — ვინ არ შეშინდება: უფალი ღმერთი ლაპარაკობს — ვინ არ გაქადაგდება". (ამოს წინასწარმეტყველი, 3,8).

ხალხი ლაპარაკობდა ერის სატკივარზე და გამოსავალს ეძებდა.

ადამიანები ერთმანეთს უსმენდნენ: ეს უკვე გადალახული ზღვარია, გატეხილი ყინული, გაწვდილი ხელი.

ისეც იყო, რომ არცთუ ერთაზროვანი აუდიტორია ზოგიერთი გამოსვლის შემდეგ (აღარაფერს ვამბობ ბატონ ედუარდ შევარდნაძის გამოსვლებზე, ვიცი, მილიონობით ტელემაყურებელი დამეთანხმება) ერთიანი სულისკვეთებით განიმსჭვალებოდა — ერთად გადავარჩინოთო საქართველო!

ერთი განსაკუთრებით გამორჩეული იყო, ნერვამდე გაშიშვლებული, ემოციურად დამუხტული, მართალი. ტაშით შეხვდნენ და ტაშით გააცილეს, ტაშითვე შეაწყვეტინეს რამდენჯერმე. ბატონ **ნოდარ ჭითანავას** სიტყვაზე მოგახსენებთ სენაკში.

— ბევრჯერ გამოვსულვარ ამ დარბაზში, — თქვა მან, — დღეს განსაკუთრებით ვღელავ. არ ვიცი გონება როგორ დამემორჩილება. მაინც ვიტყვი რამდენიმე სიტყვას.

ეკონომიკის შესახებ. საქართველოს ეკონომიკა არ არსებობს. მას დღეს ყველა ძარცვავს. რეგიონის ეკონომიკა ომის პერიოდის ეკონომიკა. ამიტომ ეკონომიკის საკითხებზე დღეს ცალმხრივი მსჯელობა არ შეიძლება. სამეგრელოს რაიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ხელისუფლებამ სახელმწიფო პოლიტიკის რანგში უნდა აიყვანოს. დიდი ნაყოფიერი, ქმედითი მუშაობა დასჭირდება კომისიას, რომელიც შექმნა სახელმწიფო საბჭომ.

პოლიტიკის შესახებ. თითქმის 2 წელია პოლიტიკიდან წავედი. პოლიტიკური ასპარეზიდან წასვლის შემდეგ ერთი სიტყვაც არ მითქვამს პოლიტიკაზე. ჩემი გზა ავირჩიე — რეალური მიწათმოქმედი გავხდი. ისევ საქართველოს სიყვარულმა განაპირობა ჩემი დღევანდელი მდგომარეობა — მე მინისტრობა არ მითხოვია...

თქვენს წინაშე გამოვდივარ ქართველი — სულით, გრძნობით, აზროვნებით ქართველი.

დღეს უმძიმეს მდგომარეობაში ვართ. გვაყო სისხლისღვრა. დღეს ქართველთა შეკავშირება იხსნის საქართველოს, უნდა მოხდეს დიდი ეროვნული შერიგება. მე ვიქნებოდი უბედნიერესი კაცი თქვენთან ერთად, თუ ამ შერიგებას მტკიცე ქართული საფუძველი ჩაეყრება დღეს, აქ ამ დარბაზში, მშობლიურ სენაკში.

ხელისუფლებამ ამ რეგიონში ბევრი შეცდომა დაუშვა. მოსახლეობა გაწამდა. მას სითბო, ძმური ყურადღება უნდა. ყოველი სიტყვა უნდა მოვზომოთ, როცა ნებისმიერ კუთხეს ვეხებით, ნებისმიერ სიტუაციაში — ტელეგადაცემაში, პრესაში თუ ამხანაგურ საუბრებში.

გთხოვთ, გემუდარებით, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, თანამემამულენო, გავაერთიანოთ ჩვენი ძალები, ჩვენ მხოლოდ ერთიანი საქართველო გვინდა! კოლხ კაცს სხვა აზრი არასოდეს ჰქონია, კოლხს სხვა აზრი არა აქვს, კოლხ კაცს სხვა აზრი არასოდეს ექნება! ამას მე საქვეყნოდ ვაცხადებ და არა პირველად. კოლხებს ერთი უძლიერესი სიტყვა გვაქვს — „ვაშინერს". ვაშინერს, ბატონებო, საქართველოს დაშლა! ღმერთი ამას არ გვაპატიებს!

გიყურებთ თქვენ და დარწმუნებული ვარ: საქართველო უკვე გადარჩა! — ასე თქვა ბატონმა ნოდარ ჭითანავამ.

გულწრფელი იყო ხალხის რეაქცია, რადგან, ჩანს, თავადაც ასე ფიქრობდნენ სენაკის თეატრში შეკრებილები, უდიდესი ნაწილი მაინც.

დიალოგი დაიწყო. რეალურად ასეა. ყველა სხვა დასკვნა სიცრუეა. მირწმუნეთ.

— უნდა ჩამოვსულიყავი თუ არა? — ასე ეკითხებოდა ყველგან ედუარდ შევარდნაძე და ყველგანვე, როგორც წესი, უპასუხებდნენ — რასაკვირველია, უნდა ჩამოსულიყავით, უფრო ადრეც კი.

იმედის თესლი ჩაგდებულია. აღმოცენებას ბევრი წინააღმდეგობა შეხვდება, მაგრამ დღეს თუ ხვალ აუცილებლად იხარებს, თუ არ დავიწყებთ „კუდიანების ძებნას".

შერიგებისას დამნაშავეებს მართლა არ ეძებენ და არც ცხენებს ცვლიან ფონს გასვლისას.

(დასასრული, დასაწყისი, იხ. № 189).

ვითარება უაღრესად რთულია, თუმცა გამოუვალი როდია!

საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდი მიმართავს საქართველოს მოსახლეობას

ქალბატონებო და ბატონებო!

საქართველოს ძნელბედობის ჟამი უდგას. გართულებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები და მძიმე კრიმინოგენული ვითარება კიდევ უფრო ამძიმებს ჩვენს დუხჭირ ცხოვრებას, აბრკოლებს სტაბილიზაციას, ურომლისოდაც წარმოუდგენელია მართლაც სრულიად ახალი, სუვერენული, დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობა.

ვითარება, თქმა არ უნდა, უაღრესად რთულია, თუმცა გამოუვალი როდია. ასეთი რამ ჩვენთვის უცხო არ არის. ქართველი ერი ბევრჯერ მდგარა უფრო დიდი განსაცდელის წინაშე, მაგრამ თავისი შემართებით, მამაცობით, გონიერებითა და გარჯით გადაულახავს სიძნელეები, უფსკრულის პირას მდგარა და სიკეთისკენ, ბედნიერებისკენ შემობრუნებულა. გზადაბნეული ადამიანები და შარაგზის ყაჩაღები ახლაც ვერ შელახავენ ქართველი კაცის ღირსებასა და პატიოსნებას, მისი სულის სიმტკიცეს და კრიზისულ ჟამს შეკავშირების თანდაყოლილ უნარს, ვერ ააცდენენ მას თავისი განვითარების ბუნებრივ გზას.

ეს მით უფრო მნიშვნელოვანია ახლა, როცა ფართოდ ჩაღდება რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნებისთვის მზადება. ამ კამპანიისა და თვით არჩევნების ჯეროვნად ჩატარება ჩვენი სიმშვიდის, ეკონომიკური მოღონიერების, ეროვნული სიმტკიცის უცილობელი გარანტი იქნება. ეს ღრმად გვწამს. ამიტომაც მოგმართავთ საქართველოს რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს და მოგიწოდებთ თქვენი მაღალი ორგანიზებულობით, შრომით, ერთსულოვნებით, მიმტევებლობითა და შემწყნარებლობით უზრუნველვყოთ ამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პოლიტიკური ღონისძიების წარმატება, ქვეყნის პარლამენტში ერის მართლაც საუკეთესო შვილების არჩევა, რათა საქართველომ ნამდვილად და საბოლოოდ დაიმკვიდროს თავისი ადგილი დემოკრატიულ, ძლიერ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში.

ღმერთი იყოს სრულიად საქართველოს მფარველი.

ეკონომიკა და ჩვენ

რა არის საჭირო სტაბილიზაციისათვის?

რამდენიმე მოსაზრება ერთ მნიშვნელოვან საკითხზე

გურამ უსტიაშვილი,

სრულიად საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი.

რესპუბლიკის ეკონომიკის კატასტროფული დაქვეითება გრძელდება. ოფიციალური ეკონომიკური აზროვნების ყოველგვარი ცდა — შეაჩეროს ეს პროცესები, შედეგს არ იძლევა. როგორ მოვიქცეთ ასეთ პირობებში?

ჩვენი ეკონომიკის რეანიმაციის, სტაბილიზაციისა და აღორძინების მიზნით უწინარესად საჭიროა ამ პირობების რეალური შეფასება, რომელშიც ვიმყოფებით. უნდა განისაზღვროს პრაქტიკული მოქმედების კანონზომიერებანი და ამ საფუძველზე ჩამოყალიბდეს ჩვენი მოქმედების გეზი. შექმნილი ვითარების შემეცნების პროცესი უნდა მიმდინარეობდეს არა მარტო გადაწყვეტილების მიღებამდე, არამედ მის შემდეგაც.

ცნობილია, რომ ჩვენამდე მოღწეული ყველა მეცნიერული აღმოჩენა თუ პრაქტიკული გადაწყვეტა მრავალი თაობის შეხედულებათა წინააღმდეგობრივი გადაჭრის შედეგია, შეხედულებათა წინააღმდეგობა, განსხვავება და ერთიანობა აზროვნების წესია,. იგი ცივილიზაციისა და განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია. სწორედ ეს მომენტი უნდა დაედოს საფუძვლად რესპუბლიკის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილიზაციის პირობების ჩამოყალიბებას. პირობები კი ასეთია.

უნდა აღდგეს საზოგადოებრივი წესრიგი, ჩამოყალიბდეს სწორი პოლიტიკური იდეოლოგია. განხორციელდეს რეალური საკადრო პოლიტიკა, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ ეკონომიკის სტაბილიზაციასა და რეფორმების დაწყებაზე.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, წარმოების მაღალი შედეგები დამოკიდებულია არა საკუთრების ფორმაზე, არამედ იმაზე, თუ როგორ განსაზღვრავს წარმოების წესი და საკუთრების არსი წარმოების პროცესის ყველა მონაწილის ინტერესების ჰარმონიულ დაცვას და საწარმოო ძალთა მუდმივ განვითარებას. ეს პრაქტიკაში გამოიხატება ადამიანთა მიერ წარმოებითი ურთიერთობების პირობებში მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილებებით, რომლებიც გენერალურ ერთობლიობაში წარმოგვიდგება როგორც ეკონომიკური პოლიტიკა, როგორც წარმოების მიმართულების, შინაარსის და შედეგების განმსაზღვრელი (თუ იგი გამოხატავს ქვეყნის და მოსახლეობის ინტერესებს. და ადეკვატურია ეკონომიკური რეალობებისა). ეკონომიკური შეხედულებები. რომლებიც მოწყვეტილია ადამიანთა უმრავლესობის ინტერესებს, პრაქტიკაში ეკონომიკური ავანტიურიზმის სახით გვევლინებიან და მარცხით ამთავრებენ თავიანთ არსებობას.

ეკონომიკის სტაბილიზაციის და ინფლაციის შეჩერების უმნიშვნელოვანესი მომენტი იქნება მანეთის საერთო კურსის ზონიდან რესპუბლიკის გამოყვანა. ავტონომიზაციის გზით (საკუთარი ფულის შემოღებამდე), რაც უნდა განხორციელდეს ფასების მასშტაბის პროპორციული და თანდათანობითი შემცირების საფუძველზე, მიმოქცევისათვის საჭირო ფულის მასა უნდა გაუტოლდეს ინდივიდუალურ და საწარმოო გადახდისუნარიან მოთხოვნას. ამის შედეგად შემცირდება მიმოქცევისათვის საჭირო ფულის მასა (მასზე მოთხოვნის შემცირების გზით), გაიზრდება საბანკო-საფინანსო სისტემის გადახდისუნარიანობა, შემცირდება ან თითქმის მოიხსნება ფულის უკმარისობა, შეიქმნება ფულის ნიშნების სარეზერვო მასა. ყველა სხვა შემთხვევაში მოსალოდნელია რესპუბლიკის სრული ფინანსური ექსპროპრიაცია.

ამის მიზეზები ცნობილია: ფულის ემისიის უნარის მქონე რუსეთმა 1991 წლის სექტემბრიდან ასწია ხორბლის ფასი, რაც მან გააკეთა საკასო ბრუნვებში შემოსავლების გაზრდის სტაბილურობის მიზნით, მოგეხსენებათ, პური ყოველდღიური და აუცილებელი მოხმარების საგანია.

ამ ფაქტმა გამოიწვია პურზე ფასების ზრდა ყველა სხვა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკაში, თანაც იგივე მოტივით — უზრუნველეყოთ საკასო მოსაკრებლების სტაბილურობა. მაგრამ ცნობილი ჭეშმარიტებაა, პურზე ფასების აწევა იწვევს ყველა დანარჩენი საქონლის გაძვირებას, რასაც მოსდევს ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდებითი ზრდა. (ეს პროცესი განსაკუთრებით მძაფრია იქ, სადაც ხორბალს არ აწარმოებენ).

იგივე მიზნით რუსეთმა გადადგა მეორე ნაბიჯიც — გაზარდა ფასები ნავთობპროდუქტებზე, როგორც მოხმარების აუცილებელ საშუალებებზე. ეს ავტომატურად იწვევს ავტოტრანსპორტის სარგებლობის გაძვირებას, რაც თავის მხრივ აძვირებს ტვირთზიდვას და მგზავრობას, ამის შედეგად ძვირდება ყველა სხვა საქონელი, მომსახურება და წარმოება, ფიქციური კაპიტალის სახით იზრდება საერთო პროდუქციის ღირებულება, მისი ფულადი ფორმით გამოხატული ფასი დაახლოებით 10-ჯერ, ხოლო მიმოქცევისათვის საჭირო ფულის მასა დაახლოებით 20-ჯერ.

რუსეთი ამას ფულის ემისიით გააწონასწორებს, მაგრამ რას იზამენ ის რესპუბლიკები, რომლებსაც არც ნავთობი აქვთ და არც ემისიის უნარი? მათ შორის ყველაზე მეტად ზარალდება საქართველო. აქ ფასების გაზრდა საქმეს არ უშველის, იგი მხოლოდ ილუზიას შექმნის. მდგომარეობიდან გამოგვიყვანს მხოლოდ ფასების მასშტაბის შეცვლა (შემცირების მიმართულებით), მანეთის რესპუბლიკური კურსის დადგენა. რესპუბლიკის გარე მიმწოდებლებთან ურთიერთობას საფუძვლად დაედება შეცვლილი ფასების მასშტაბი. ამავე პოზიციებიდან უნდა განხორციელდეს ზოგიერთი სხვა ფინანსური კომბინაცია.

ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების, ბიუჯეტის სტაბილიზაციის და საბაზრო ეკონომიკისათვის პირობების შესაქმნელად აუცილებლად მიგვაჩნია უნაღდო ანგარიშსწორებაზე გადასვლა (ჩეკები, საკრედიტო ბარათები, თამასუქები და სხვა).

ზემოთ დასმული პრობლემები რომ გადაწყდეს, აუცილებელია საზოგადოება გათავისუფლდეს ნეოსაბჭოთა ვულგარული ეკონომიკური შეხედულებებისაგან, რომელიც ხელმძღვანელობს შემთხვევითი ცოდნით, ნებით თუ უნებლიედ სურს დანერგოს ანარქია და მცდარი წარმოდგენები მეწარმეობის, ფასების, ხელფასების და ეკონომიკური თავისუფლების შესახებ. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, ეკონომიკური აზროვნება უნდა განთავისუფლდეს ყოველგვარი არაკომპეტენტური ჩარევისაგან. ეკონომიკასთან ფრთხილად უნდა ვიყოთ, იგი ხომ ჩვენი არსებობის პურია.

აქ პირველ რიგში უნდა შევეხოთ ფასების ლიბერალიზაციას. მინდა ვთქვა, რომ თავისუფალი ფასები სულაც არ ნიშნავს ფასების განუწყვეტელ მატებას, ასე ვთქვათ, ფასების ანარქიას. იგი მეწარმეს აძლევს უფლებას თავის პროდუქციაზე დააწესოს გასაყიდი ფასები, საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით განსაზღვრული დროით, ხელფასების ინდექსაციის საფუძველზე. დადგენილი დროის შემდეგ ცხადდება ეგრეთ წოდებული „სეილი", ხდება ფასების დაწევა.. ამასთან ჩვეულებრივ ფასების ლიბერალიზაციის არსებითი მომენტია ფასმატება წარმოების სფეროში.

სახელმწიფო მონოპოლისტური საკუთრების პირობებში ფასების ლიბერალიზაცია არის სახელმწიფოს მიერ უნივერსალური აქციების დაწესება. ფასების ზრდა ბიუჯეტის გაწონასწორების მიზნით იწვევს საწარმოთა და დარგთა ფინანსების მოშლას და აქედან გამომდინარე ბიუჯეტის ლიკვიდაციას. რამდენადაც, როგორც სახელმწიფო, ისე მცირე კერძო საწარმოები და იურიდიული სუბიექტები ერთ შემთხვევაში გამოდიან როგორც გამყიდველები, მეორე შემთხვევაში კი მყიდველებად გვევლინებიან, ფასების ზრდა, წარმოების ფასის, ანტიმონოპოლისტური კანონების, ხელფასების და ფასების ტოლფასი ინდექსაციის კატეგორიების არარსებობისას, საწარმოო დანახარჯების და საშუალო მოგების დონის ზევით, ყალბი მონეტის მოჭრას უდრის. ყოველივე ეს კი ერთად — მყიდველობითი უნარის სრულ ლიკვიდაციას, მოსახლეობის სრულ გაჩანაგებას და ეკონომიკის სრულ დაცემას მოასწავებს.

რაც შეეხება ეკონომიკის შოკურ თერაპიას, ამაზე კარგა ხანია ლაპარაკობენ, მაგრამ არ განმარტავენ. რა არის იგი? კერძო საკუთრების პირობებში სახელმწიფოს მიერ ფასების ტარიფების და გადასახადების აწევა, მის საქმიანობაზე ერთდროულად ხდება ანტიმონოპოლისტური კანონების შეჩერება, მთლიანად ან ნაწილობრივ მეწარმეებს უფლება ეძლევათ დააწესონ თავისუფალი ფასები.

ინდივიდუალურად ხდება ხელფასების ინდექსაცია და სოციალური გარანტიების ამოქმედება, ბანკებში ზოგჯერ ახდენენ მეწარმეთა ანგარიშგების ნაწილობრივ ან მთლიანად გაყინვას. ყოველივე ამის შემდეგ ძვირდება წარმოების ფასი, მატულობს საცალო ფასები, ხელოვნურად მწვავდება კონკურენცია, იზრდება კაპიტალის ცენტრალიზაცია და კონცენტრაცია, მეწარმეები, რომლებსაც დიდი დაგროვება არ გააჩნიათ, კოტრდებიან, ხდება სტაბილიზაცია, გაცხოველება და აღმავლობა.

ამრიგად, შოკური თერაპია ნიშნავს სახელმწიფოს მიერ ადმინისტრაციული წესით ეკონომიკური მდგომარეობის გამწვავებას (წარმოების და არა მოხმარების სფეროში). იგი ხელს აძლევს მეწარმეთა უაღრესად ვიწრო წრეს, რომლებიც აბსოლუტურად მდიდრდებიან. იგი ყველაზე მდიდართა დიქტატურის დამყარებას ნიშნავს.

არსებობს შოკური თერაპიის პოლონური ვარიანტიც, ისიც უაღრესად არაეფექტიანი. თანაც პოლონეთში სახელმწიფო-მონოპოლისტურ საკუთრებას ეკავა მთელი საკუთრების მხოლოდ 58 პროცენტი.

იქ, სადაც სახელმწიფო მონოპოლისტური საკუთრება მთელი საკუთრების ჯერ კიდევ 96 პროცენტს მოიცავს, შოკური თერაპიის გამოყენება ნიშნავს ეკონომიკის კატასტროფას, ხალხის უდიდესი უმრავლესობის გაღატაკებას, რასაც მრისხანე სოციალური აფეთქებები მოჰყვება.

მსოფლიოს მოწინავე ქვეყნები დაადგნენ სხვა გზას, სოციალური ჰარმონიის გზას. რაც გამოიხატება საწარმოო საქმიანობის ორგანიზაციითა და დაგეგმვით (საწარმოო დირიჟიზმი). მმართველობითი საქმიანობის ორგანიზაციით და დაგეგმვით (მენეჯმენტი). მიწოდებასა და მოთხოვნას შორის ოპტიმალური საბაზრო თანაფარდობის დამყარებით (მარკეტინგი). ყოველივე ამის შემდეგ ამ ქვეყნების ეკონომიკა წარმოგვიდგება როგორც უაღრესად ორგანიზებული, კონცენტრირებული და გაანგარიშებული სისტემა, რეალური ხელფასებით, მტკიცე საარსებო მინიმუმით, ოპტიმალური მოგებით, შრომითი კოლექტივების თანამესაკუთრეებად გახდომის შესაძლებლობებით, ფართო სოციალური გარანტიებით და სხვა.

ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკა უნდა წავიდეს სწორედ ამ გზით — მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების სოციალური და ეკონომიკური მოდელების საფუძველზე მოახდინოს რესპუბლიკის ეკონომიკის თანდათანობითი ტრანსფორმაცია.

ვეძებთ გზებს

რა ან ვინ უშლის ხელს პრივატიზებას?

•

კონფერენციამ მიიღო მიმართვა

ამ დღეებში კინოს სახლის დიდ დარბაზში გაიმართა კონფერენცია თემაზე: „რა ან ვინ უშლის ხელს პრივატიზებას?". კონფერენციამ გადაწყვიტა, რომ სერტიფიკატებით პრივატიზების მხარდამჭერთა მოძრაობა რეგულარულად გამართავს შეხვედრებს. უახლოესი შეხვედრა მოეწყობა ხუთშაბათს, 30 ივლისს, 16 საათზე. მოძრაობა იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

კონფერენციამ მიიღო მიმართვა სახელმწიფო საბჭოსადმი.

მიმართვაში ნათქვამია:

ვითვალისწინებთ რა ქვეყნის შემდგომი ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას — საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასა და, შესაბამისად, სახელმწიფო ქონების პრივატიზების გეგმაზომიერი განხორციელების აუცილებლობას (ფარული პრივატიზების მიმდინარეობა უკიდურესად საშიშ ფორმებს იღებს) საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების პრივატიზების მხარდამჭერთა შეხვედრის მონაწილენი იძულებულნი ვართ, მოვითხოვოთ:

1. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ეკონომიკურმა კომისიამ (თავ-რე ბატონი ვალერიან ადვაძე) და საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტმა (თავ-რე ბატონი ვალერიან ადვაძე) **საყოველთაო საჯარო განხილვისათვის დაუყოვნებლივ გამოაქვეყნონ პრივატიზების სახელმწიფო პროგრამის პროექტი.**

2. სახელმწიფო საპრივატიზებო პროექტის საჯარო განხილვამდე დაუყოვნებლივ შეწყდეს ფარული პრივატიზებისადმი ყოველგვარი სამთავრობო ხელშეწყობა.

3. საპრივატიზებო ალტერნატიული პროექტების საჯარო განხილვისათვის ხელისუფლებამ ფართოდ და რეგულარულად გამოიყენოს ტელევიზიისა და ინფორმაციის სხვა საშუალებების სპეციალური რუბრიკები. მოეწყოს პირდაპირი დიალოგები **სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის ხელმძღვანელობასა და პრივატიზების მხარდამჭერი მოძრაობის წარმომადგენელთა შორის.**

ქარხანას დახმარება სჭირდება

მიხეილ გორგილაძე, „სრ" საკ. კორ.

ბენზინი, მაზუთი, გუდრონი, ნავთი, თხევადი გაზი, ზეთები და სხვა პროდუქცია ნავთობისგან მზადდება. ყველა ეს ნაწარმი ისევე აუცილებელია სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისთვის, როგორც ცოცხალი არსებისთვის ჰაერი, წყალი, საკვები. ადრე ამაზე არ გვიფიქრია, რადგან იგი იშოვებოდა და თანაც ხელმისაწვდომ ფასებში. დღეისათვის კი ფასები თითქმის ოცჯერ გაზრდილი და მაინც არ იშოვება. რატომ? — ამის შესახებ გვესაუბრება ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის დირექტორი ალბერ ჩინჩალაძე.

— **წინათ** ყოველწლიურად ვღებულობდით და ვამუშავებდით დაახლოებით 3 მილიონ ტონა ნავთობს, — გვითხრა მან. — როცა ქარხანა დატვირთვით მუშაობდა, მუშაც კმაყოფილი იყო და მომხმარებელიც. წელს რუსეთი შეგვპირდა 560 ათას ტონა ნავთობს. იგი უნდა ჩამოვიტანოთ აღმოსავლეთ ციმბირიდან, რამაც მეტისმეტად გაზარდა ნედლეულის თვითღირებულება, არადა, მისი უქონლობის გამო პირველ კვარტალში ქარხანას საერთოდ არ უმუშავია. ამას ისიც დაემატა, რომ ერთადერთი მთავარი დანადგარის ღუმელი გაფუჭდა და პროდუქციის გამოშვებაც თავისთავად შეფერხდა. პრაქტიკულად აპრილში დაიწყეს ნედლეულის მოწოდება. ამიტომაც ვერ ვაკმაყოფილებთ სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებას. აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად ზრუნავენ ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც ყოველგვარ ზომებს იღებენ მდგომარეობის გამოსასწორებლად. მოლაპარაკება მიმდინარეობს ნავთობის მომპოვებელ უცხოეთის ქვეყნებთან.

არის ფინანსური სიძნელეებიც, — განაგრძო დირექტორმა. — საქმე ის გახლავთ, რომ საშუალება არა გვაქვს წინასწარ გადავიხადოთ თანხა, რასაც მომწოდებელი კატეგორიულად მოითხოვს. პროდუქციის რეალიზაციის შესაბამისად სახსრები ჩვენთან დროულად არ შემოდის. დღეისათვის საქართველოს ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კონცერნს ჩვენი 257 მილიონი მანეთი ვალი აქვს. საქართველოს სახელმწიფო ბანკმა ნედლეულის წინასწარ შესაძენად 200 მილიონი მანეთის კრედიტი მოგვცა, მაგრამ ეს დახმარება ქარხანას მძიმე ტვირთად დააწვა. კრედიტით სარგებლობისათვის 23 პროცენტს გვახდევინებენ. კრედიტორი დროულად რომ გვისწორებდეს ანგარიშს, კაბალურ მდგომარეობაში არ მოვხვდებოდით. კრედიტი ნედლეულის შესაძენად მხოლოდ ქარხანას როდი სჭირდება, ნავთობის პროდუქციით ხომ მთელი საქართველო სარგებლობს, ამდენად სესხიც შეღავათიანად უნდა გვეძლეოდეს.

მოითხოვს ყურადღებას

დირექტორის გულისტკივილი საფუძვლიანია, რაც ზემოთ ითქვა, ეს ქარხნის სადღეისო ამოცანაა. გარდა ამისა, მოსაგვარებელია ბევრი სხვა პრობლემაც. ასე მაგალითად, ქარხანა 63 წლისაა, ამ ხნის განმავლობაში მისგან მხოლოდ მოითხოვდნენ, მისთვის კი დიდი არაფერი გაკეთებულა. საწარმოო საშუალებების შეუჩერებელმა ექსპლუატაციამ გამოიწვია ძირითადი მანქანა-დანადგარების ცვეთა, ეკონომიკური მაჩვენებლების დაქვეითება, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება. ერთი რამ აშკარაა — ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა თუ გაჩერდა, საქართველოს ეკონომიკასა და მოსახლეობას მეტისმეტად გაუჭირდება. სანამ ახალი ქარხნის მშენებლობის საკითხი პრაქტიკულად გადაწყდებოდეს, მანამ ძველ ქარხანას უნდა მიხედვა. თითქოს გადაწყვიტეს კიდეც, როგორც ძირეული ტექნოლოგიური მოწყობილობის, ისე საქარხნო მეურნეობის რეკონსტრუქცია. 1987 წელს საქმესაც შეუდგნენ. პირველ რიგში გათვალისწინებული იყო ბუნების დამცავი ღონისძიებების განხორციელება და პირველადი გადამუშავების დანადგარის ამოქმედება, რისთვისაც 22 მილიონი მანეთი გამოიყო. დაგეგმილი თანხიდან 1992 წლის იანვრისთვის მხოლოდ 8 მილიონი მანეთი იყო ათვისებული. ასე რომ, ქარხანაში ზოგი რამ კი გაკეთდა, მაგრამ უფრო მეტი მომავალშია გასაკეთებელი. ტექნოლოგიური მოწყობილობა ისეა ამორტიზებული, საეჭვოა, მის შეკეთებას რაიმე შედეგი მოჰყვეს. დირექტორი თვლის, რომ უმჯობესია ქარხნის რეკონსტრუქცია საზღვარგარეთული ფირმების დახმარებით მოხდეს.

ახლა, — რაც შეეხება იქ მომუშავე ადამიანებს. ზამთარში, როცა ქარხანა დაუტვირთავი იყო, დირექციამ პერსონალის ნაწილი უხელფასო შვებულებაში გაუშვა. ამ ძნელბედობის ჟამს ხელფასიანებს უჭირთ და, ადვილი წარმოსადგენია, უხელფასოები რა დღეში ჩაცვივდებოდნენ. საწარმო რაიმე ფორმით თუ ფიქრობს უხელფასო შვებულებაში გაშვებულთა ზარალის ანაზღაურებას-მეთქი, ბოლოს ვკითხე.

— თუ ქარხანამ მთელი ძალით და რიტმულად არ იმუშავა, — თქვა დირექტორმა, — არა მარტო იმათ ვერ ავუნაზღაურებთ მატერიალურ ზარალს, ვინც იძულებით გავიდა შვებულებაში, არამედ დაოსტატებულ მუშახელსაც ვერ შევინარჩუნებთ. ისინი უფრო შემოსავლიან საქმეს მონახავენ და წავლენ, რაც ქარხანას მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს. არადა, საწარმოს ოპერატორის აღზრდა-დაოსტატებისთვის, რამდენიმე წელია საჭირო.

ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა საქართველოში ერთადერთია, მისი შემყურეა მთელი რესპუბლიკა. ამიტომაც უნდა მივხედოთ და დროულადაც დავეხმაროთ მას უმწვავესი პრობლემების გადაწყვეტაში.

ალოობა-92



თელავის რაიონის სოფელ ქვემო ხოდაშნის მექანიზატორები შეუდგნენ ქერის მკას. 40 ჰექტარიდან თითოეულზე ისინი საშუალოდ 30 ცენტნერ მარცვლეულს იღებენ. ამ კულტურის შემდეგ მაშინვე დადგება ხორბლის მკის რიგი, რომელსაც მეურნეობაში 100 ჰექტარი უჭირავს.

სურათებზე: ქერის მკა ქვემო ხოდაშნიში. აგრონომი ანზორ ხუციშვილი და მექანიზატორები შოთა ომანაშვილი და ელდარ ესიტაშვილი ალოობაზე.

სპარტაკ ყურაშიძის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკაში ეკონომიკური რეფორმის მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის, ეკონომიკური რეფორმის რესპუბლიკური შტაბის თავმჯდომარის

ბატონ რომან გოცირიძის მოხსენება

საქართველოს სახელმწიფო საბჭოსა და მთავრობის ერთობლივ სხდომაზე 1992 წლის 27 ივლისს

1. ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება

ამჟამინდელი ეკონომიკური მდგომარეობის ცალსახა შეფასება შეუძლებელია, ეს ნაწილობრივ რწმენის საკითხიც კი არის. შეგვიძლია ვთქვათ, რომ კრიზისს ჯერ კიდევ არ მიუღწევია საბოლოო ზღვრამდე. ვითარების ოპტიმისტური ან პესიმისტური შეფასება შეიძლება შევადაროთ ცნობილ ტესტს ჭიქაში ნახევრად ჩასხმული წყლის შესახებ. ზოგიერთმა მას შეიძლება უწოდოს ნახევრად სავსე, ზოგიერთმა — ნახევრად ცარიელი. ეს დამოკიდებულია იმ ადამიანის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, რომელიც ამ ჭიქას უყურებს.

ჩვენი საზოგადოების ნაწილი ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ რეფორმას აღიქვამს როგორც ახალი, ჯანსაღი სამეურნეო სისტემის ჩამოყალიბების საწყის ეტაპს და მომავალს იმედის თვალით უყურებს. მეორე ნაწილს მდგომარეობა გამოუვალი ეჩვენება და ვერ ხედავს მისი გამოსწორების პერსპექტივას. ისეთ პირობებში, როცა ისტორიაში არ ყოფილა ანალოგი გეგმიანი ადმინისტრაციული სისტემის საბაზრო მეურნეობით შეცვლისა, როცა არ არსებობს პრაქტიკით დადასტურებული და მეცნიერულად დასაბუთებული კრიტერიუმები ამ პროცესის ობიექტურად შეფასებისა, რწმენის საკითხი, რეფორმებისადმი მხარდაჭერის საკითხი ერთ-ერთ არსებით ფუნქციას იძენს და შეიძლება გადაიქცეს პროცესების განვითარების მნიშვნელოვან უარყოფით ან დადებით ფაქტორად.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მოსახლეობის ცხოვრების დონე მნიშვნელოვნად დაეცა, ხოლო წარმოების მოცულობა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გასულ წელთან შედარებით თითქმის 50 პროცენტით შემცირდა, თუ მოვლენებს განვიხილავთ არა ხანმოკლე, არამედ პერსპექტივის თვალთახედვით, ჩვენ გვჯერა, რომ ეკონომიკის მდგომარეობა მაინც არის არა როგორც ნახევრად ცარიელი, არამედ როგორც ნახევრად სავსე.

ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს არა მარტო ჩვენი სამეურნეო პოტენციალი და რეფორმის შეუქცევადი ხასიათი, არამედ ის ისტორიული ფონიც, რომელშიც ეს პროცესი მიმდინარეობს და რომელიც გახდა ცალკეული ქვეყნების პრობლემათა სფეროს. ამ პროცესში ფაქტობრივად სამყაროს უდიდესი ნაწილია ჩართული, რომლის წარმატებით დასრულებითაც მთელი მსოფლიოა დაინტერესებული.

სწორედ მაღალგანვითარებული ქვეყნების ხელშეწყობითა და საკუთარი ძალისხმევით მოხდება არსებული სისტემის შეცვლა.

ვიღებთ რა მხედველობაში იმ დადებით ტენდენციებს, რომლებიც სამომავლოდ ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს, ამასთან ერთად დღეს აუცილებელია ეკონომიკური მდგომარეობის უაღრესად რეალისტური, მაქსიმალურად ობიექტური შეფასება. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიქმნება მოვლენებზე ილუზორული წარმოდგენა, რაც გამოუსწორებელი შეცდომის ტოლფასია.

ეკონომიკური სიტუაცია მეტად არასახარბიელოა.

კრიზისმა მოიცვა მეურნეობის ყველა დარგი და მთელი სოციალური სფერო. როგორც გარეშე ფაქტორების ზემოქმედების, ასევე შიდა პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების შედეგად ეკონომიკა თითქმის მოშლილია.

კრიზისს აძლიერებს მწვავე კრიმინოგენული სიტუაცია, ტერორისტული აქტები და დივერსიები.

განსაკუთრებით საგანგაშო გახდა ეკონომიკური კავშირურთიერთობების რღვევის პროცესი, საფინანსო სფეროსა და ფულის მიმოქცევის სისტემის მოშლა. კიდევ უფრო შეიზღუდა სათბობ-ენერგეტიკული და მატერიალური რესურსების მოწოდება მეზობელი ქვეყნებიდან, რის გამო მკვეთრად დაირღვა ელექტროენერგიის ბალანსი. ამას დაემატა გაზსადენის ბლოკადა ჩრდილოეთ ოსეთის მხრიდან, რკინიგზის მუშაობის ხშირი პარალიზება ქვეყნის შიგნით, აგრეთვე ენერგეტიკული რესურსების ფასების მკვეთრი ზრდა, რის გამოც ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია.

აღნიშნულ ფაქტორთა ზეგავლენით ბევრი სამრეწველო საწარმო გაჩერდა. საწვავის, სათადარიგო ნაწილების, შხამქიმიკატების და თესლის უკმარისობამ შეაფერხა სავაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებიც, რამაც საგრძნობლად შეუშალა ხელი ქვეყნის გარედან შემოსატანი მატერიალური და სასურსათო რესურსების სანაცვლოდ საჭირო გასაცვლელი პროდუქციის წარმოებას.

ხელიდან იქნა გაშვებული აგრეთვე ის მომენტი, როდესაც შედარებით უმტკივნეულოდ შეგვეძლო რეფორმის დაწყება.

ამჟამად ორი მიმართულებით გვიხდება მოქმედება: ჯერ ერთი, აუცილებელია შეჩერებულ იქნეს წარმოების კატასტროფული დაცემა, მეორეც, გაგრძელდეს საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პროცესი და განხორციელდეს მეურნეობის სტრუქტურული მოდერნიზაცია. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, გამოიწვევს წარმოების დაცემის ტენდენციის გაძლიერებას, რის თავიდან ასაცილებლად აუცილებელი გახდება დამატებით გზების გამონახვა, უცხოური ინვესტიციებისა და კრედიტების მოზიდვის ჩათვლით.

ამასთან, აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს, რომელ დარგებშია შესაძლებელი წარმოების მოცულობის შემცირების თავიდან აცილება, რომელ სფეროში უნდა მოხდეს იგი განსაზღვრული ოდენობით და რომელში არის დაუშვებელი ასეთი შემცირება.

ამ ეტაპზე ერთი რამ ცალსახად ნათელია: დაუშვებელია წარმოების მოცულობის შემდგომი შემცირება სამომხმარებლო დარგების უმეტეს ნაწილში. ამ დარგებში პირვანდელი მასშტაბის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით თუ ქვეყანაში სტაბილური გახდება პოლიტიკური ვითარება, აღდგება ტრადიციული ეკონომიკური კავშირები და ოპტიმალურად იქნება გამოყენებული ჯერ კიდევ მეტნაკლებად ფუნქციონირებადი ყოფილი საბჭოთა კავშირის ეკონომიკური სივრცე. პარალელურად კი აუცილებელია დასავლეთის ქვეყნებთან მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება და დიდი რაოდენობით უცხოური კაპიტალის მოზიდვა.

ეკონომიკის გამოცოცხლება დიდად არის დამოკიდებული აგრეთვე იმაზე, იქნება თუ არა მკაცრად დაცული ეკონომიკური რეფორმის აპრობირებული მოთხოვნები და პოლიტიკური, სოციალური ან სხვა სახის კონიუნქტურა (რაც სამწუხაროდ უკვე შეიმჩნევა) თუ არ მისცემს მას პოპულისტურ ხასიათს, არასწორ მიმართულებას, რასაც საბოლოო ანგარიშით ეკონომიკის ქრონიკული კრიზისი შეიძლება მოჰყვეს.

2. ნახევარი წლის ძირითადი სამეურნეო შედეგები

საქართველოში სამრეწველო წარმოების მოცულობამ მოქმედი საბითუმო ფასებით 1992 წლის იანვარ-ივნისში 28,4 მილიარდი მანეთი შეადგინა. წარმოების მოცულობა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შესადარი ფასებით 28,2 მლრდ მანეთით ანუ 47,4 %-ით შემცირდა.

რესპუბლიკის 29 სამინისტროდან და უწყებიდან 26-ში აღინიშნება წარმოების მოცულობის შემცირება, მათ შორის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში 17,9 მლრდ. მანეთით ანუ 52,7 %-ით, კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროში — 60 მლრდ. მანეთით (48,4%), არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროში — 0,97 მლრდ. მანეთით (51%).

1992 წ. I ნახევარში მომხმარებლისათვის მიუწოდებელი პროდუქციის მოცულობამ მრეწველობაში 1381,6 მლნ. მანეთი შეადგინა, მათ შორის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში —1082,2 მლნ. მანეთი (მთელი მიუწოდებელი პროდუქციის მოცულობის 78,3%), არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროში —159,4 მლნ. მანეთი (11,5 %), მატერიალური რესურსების სამინისტროში — 78,9 მლნ. მანეთი (5,8 %), კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროში — 28,1 მლნ. მანეთი (2,1 %).

78 სახეობის უმნიშვნელოვანესი სამრეწველო პროდუქციიდან ნატურალური გამოხატულებით 1992 წ. I ნახევარში 65 სახეობის მიხედვით აღინიშნება წარმოების შემცირება. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 883 ათასი ტონით ანუ 79,1 %-ით შემცირდა ქვანახშირის მოპოვება. 1,8 მლრდ. კუბური მეტრით (22,5 %-ით) — თანამდევი გაზის 19,8 ათასი ტონით (21,1 %) — ნავთობის, 802 მლნ. კვტ. საათით (12,2 %-ით) — ელექტროენერგიის წარმოება. 265,0 ათასი ტონით (50,0 %) — ფოლადის გამოდნობა, 14,8 ათასი ტონით (86,6 %) — კაპროლაქტამის წარმოება, 9068 ათასი კვადრატული მეტრით (85,7 %) — მსუბუქი სახურავი მასალის და იზოლის, 146,1 ათასი ტონით (75,6 %) — საავტომობილო ბენზინის, 202 ათასი ტონით (74,5 %) — დიზელის საწვავის, 303,8 ათასი ტონით (72,6 %) — საწვავი მაზუთის, 888 ცალით (72,8 %) — დიზელის ძრავიანი სატვირთო ავტომობილების, 642 ცალით (70,5 %) — მისაბმელების და ნახევარმისაბმელების, 161,7 ათასი ტონით (64,1 %) — ცემენტის, 42,9 ათასი ტონით (64,1 %) — მინერალური სასუქების, (100 % მასაზრდოებელ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით), 150,1 ათასი ტონით (58,7 %) — თუჯის, 128,2 ათასი ტონით (52,1 %) — ფოლადის მილების, 10 ცალით (41,3 %) — მაგისტრალური ელმავლების და სხვა.

სამრეწველო-საწარმოო პერსონალის რიცხოვნობა 1992 წლის I ნახევარში გასული წლის შესაბამისი პერიოდის რიცხოვნობის 88,6 %-ს შეადგენს და 53,2 ათასი კაცით შემცირდა. მრეწველობაში I მუშაკის გამომუშავება 115,4 ათას მანეთს შეადგენს რაც გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 87,1 %-ით ნაკლებია.

მიმდინარე წლის მეორე კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მკვეთრად შემცირდა მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება. რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში წარმოებულია 20,1 ათასი ტონა ხორცი (გასული წლის დონის 67,2 %), რძე — 46,0 ათასი ტონა (45,5 %), კვერცხი — 66,4 მლნ. ცალი (84,6 %), ფურისა და ფურკამეჩის საშუალო წველადობამ 395 კგ. შეადგინა (გასულ წელს 745 კგ).

1992 წ. იანვარ-ივნისში სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებების ხარჯზე ამოქმედდა 141,2 მლნ. მანეთის ძირითადი ფონდები, მათ შორის მეორე კვარტალში — 127,8 მლნ. მანეთისა ანუ 114,4 მლნ. მანეთით მეტი პირველ კვარტალთან შედარებით.

6 თვეში ათვისებულია 1476,2 მლნ. მანეთის სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებები, მათ შორის მეორე კვარტალში — 1338,6 მლნ. მანეთის, რაც 9-ჯერ მეტია პირველი კვარტალის შესაბამის მაჩვენებელზე; ივნისში კი — 689,9 მლნ. მანეთის ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებები ანუ მაისთან შედარებით — 2,2-ჯერ მეტი. სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებების წლიური ინვესტიცია 6 თვეში შესრულებულია 17,2 %-ით.

1992 წ. იანვარ-ივნისში საერთო სარგებლობის რკინიგზის ტრანსპორტით გადატანილია 3546,9 ათასი ტონა ტვირთი, რაც 3-ჯერ ნაკლებია გასული წლის შესაბამის პერიოდში გადატანილი ტვირთის მოცულობაზე. იანვარ-მაისში გადაყვანილია 3200,6 ათასი კაცი, ანუ 31 %-ით ნაკლები, ვიდრე გასულ წელს. მგზავრთბრუნვამ შეადგინა 417 მლნ. მგზავრკილომეტრი, რაც დავალების 90,7 %-ია, და თითქმის 2-ჯერ ჩამორჩება გასული წლის ხუთი თვის ანალოგიურ მაჩვენებელს.

რესპუბლიკის საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტით 1992 წ. იანვარ-მაისში გადატანილ იქნა 4588 ათასი ტონა ტვირთი, 1991 წ. ხუთ თვესთან შედარებით ტვირთის გადატანა შემცირდა 10,4-ჯერ. ტვირთბრუნვამ შეადგინა 72,5 მლნ. ტონაკილომეტრი ანუ 9,2-ჯერ ნაკლები, ვიდრე გასულ წელს.

ხუთ თვეში საერთო სარგებლობის ავტობუსებით გადაყვანილი მგზავრების რაოდენობამ შეადგინა 26667 ათასი კაცი, მგზავრთბრუნვამ — 422,9 მლნ. მგზავრკილომეტრი. ეს მაჩვენებლები გასული წლის ხუთ თვესთან შედარებით შემცირდა, შესაბამისად 10-ჯერ და 7-ჯერ.

ავტობუსით და მსუბუქი ტაქსით მგზავრთა გადაყვანიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა მხოლოდ 36,1 მლნ. მანეთი.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველომ 1992 წ. I ნახევარში გასული წლის I ნახევართან შედარებით ტვირთის გაგზავნა შეამცირა 45 %-ით, ხოლო ფოსტის გაგზავნა — 7,1-ჯერ. ექვს თვეში ტვირთბრუნვის მოცულობა გასული წლის ექვს თვესთან შედარებით 48,5 %-ით შემცირდა.

საავიაციო ტრანსპორტით გადაყვანილ იქნა 891,2 ათასი კაცი და შესრულდა 717,2 მლნ. მგზავრკილომეტრი. ეს მაჩვენებლები გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირდა შესაბამისად, 2,7-ჯერ და 2,8-ჯერ.

ეკონომიკაში არსებული სერიოზული სიძნელეების შედეგად უკიდურესად გაუარესდა რესპუბლიკის ფინანსური მდგომარეობა. მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში მკვეთრად იკლო მოგების მოცულობამ, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა სერიოზული ჩამორჩენა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში.

მიმდინარე წლის 6 თვეში რესპუბლიკაში ნაღდი ფულის საკასო ბრუნვის შემოსავლებმა 7,8 მლრდ. მანეთი შეადგინა, რაც გათვალისწინებულის 84,9 პროცენტია და გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 18,8 %-ით. რესპუბლიკა ვერ ღებულობს გათვალისწინებულ შემოსავლებს საცალო ვაჭრობიდან (სავაჭრო ამონაგები 5,2 მლრდ. მანეთი, ანუ გათვალისწინებულის 78,2 პროცენტია), — რადგან საქონელბრუნვის მოცულობა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით (შესადარი ფასებით) 75,7 %-ით შემცირდა. შემცირდა შემოსავალი ტრანსპორტიდან, სანახაობითი საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან და სხვა.

საანალიზო პერიოდში ნაღდი ფულის საკასო ბრუნვის ხარჯები 10,4 მლრდ. მანეთია, რაც 8,8 პროცენტით ნაკლებია გათვალისწინებულზე და 42,5 პროცენტით სჭარბობს მის შემოსავლებს. რესპუბლიკის მოსახლეობას ხელფასის და ჩაბარებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საზღაურის სახით ჯერ კიდევ არ მიუღია 748,0 მლნ. მანეთზე მეტი კუთვნილი თანხა.

3. ეკონომიკური რეფორმის სცენარი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკა საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პროცესში ითვალისწინებდა შემდეგი ძირითადი ურთიერთდაკავშირებული მიმართულებით მოქმედებას:

ა) ეკონომიკის დერეგულირება, ადმინისტრაციული შეზღუდვების მოხსნა ფასებზე, სამეურნეო კავშირებზე, საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე; თავისუფალი ვაჭრობის განვითარება არსებული ბიუროკრატიული გამანაწილებელი სისტემის სანაცვლოდ.

ბ) ფინანსებისა და ფულადი სისტემის სტაბილიზაცია, რომელმაც უნდა შექმნას საქმიანი აქტივობის სტიმულირების ძირითადი წანამძღვრები.

გ) პრივატიზაცია, მეწარმეობის განვითარება, ეკონომიკური ზრდისა და ეფექტიანი საბაზრო მეურნეობის განსხვავებული ინსტიტუციონალური წანამძღვრების შექმნა.

დ) ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა, მისი დემილიტარიზაცია, მსოფლიო ბაზარზე საკუთარი წარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ეკონომიკის ინტეგრაცია მსოფლიო მეურნეობაში.

ე) დემონოპოლიზაცია და კონკურენტული საბაზრო გარემოს შექმნა

ვ) აქტიური სოციალური პოლიტიკა მოსახლეობის ახალ პირობებთან შეგუების მიზნით;

ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის ფორმირება გულისხმობს ერთდროულ მოქმედებას ყველა ზემოჩამოთვლილი მიმართულებით.

საქართველოში პროცესები დაწყებულია უკლებლივ ყველა მიმართულებით. ზოგი უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, ზოგიც — ნაკლებით. ამასთან, თითოეული მიმართულება ხასიათდება თავისი ბუნებრივი ტემპით და განსხვავებული ხანგრძლივობით.

მიმდინარე ეკონომიკური რეფორმის სცენარი შეიცავს რამდენიმე ძირითად საწყის პროცესს: აქედან გადამწყვეტი მნიშვნელობის მიმართულებებია: პირველი — ეკონომიკის ლიბერალიზაცია და ფულადი სისტემის სტაბილიზაცია და მეორე — ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა.

ეკონომიკის ლიბერალიზაციისა და ფულადი სისტემის სტაბილიზაციის პოლიტიკა წარმოადგენს საქმიანი აქტივობისა და მისი სწორად ორიენტაციის პირველ წანამძღვარს.

ლიბერალიზაცია გზას უხსნის მეწარმეობას და საბაზრო თვითრეგულირების მექანიზმის ფორმირებას, საფინანსო და ფულადი სისტემის სტაბილიზაცია კი აძლიერებს ეკონომიკურ სტიმულებს.

ამასთან, ეს პროცესები თავისთავად არ ქმნიან საბაზრო ეკონომიკის განვითარების იმპულსებს. ისინი ქმნიან მათი წარმოქმნისათვის აუცილებელ პირობებს. რაც შეეხება საბაზრო მეურნეობის ძირითად მამოძრავებელ ძალებს — ეს არის კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული მეწარმეობა და კონკურენცია. პრივატიზაცია და სხვა სახის ინსტიტუციონალური ცვლილებები აუცილებელია, რათა ეს ძალები ამოქმედდეს.

ეკონომიკური რეფორმის მეორე არსებითი ფაქტორია ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა. მისი საშუალებით უნდა მოხდეს წარმოების სტრუქტურაში არსებული დეფორმაციების გადალახვა და მისი შეგუება მოთხოვნის სტრუქტურასთან.

ისეთ პირობებში, როგორშიც ჩვენ ვიმყოფებით, საწყის ეტაპზე წარმოების დანახარჯებისა და ფასების სტრუქტურის ცვლილება და ფასების ლიბერალიზაცია გადამწყვეტ ზემოქმედებას მოახდენს წარმოების სტრუქტურის ცვლილებაზე. თავდაპირველად ამ ზემოქმედებას ექნება დამანგრეველი ხასიათი, რაც გამოიწვევს წარმოების მოცულობის შემცირებას. მაგრამ ამ პროცესების თავიდან მთლიანად აცილება შეუძლებელია. იგი აუცილებელიც კი არის გარკვეული ზომით, რათა შეიქმნას ნიადაგი ეფექტიანი კაპიტალდაბანდებებისა და შემდგომი ეკონომიკური ზრდისათვის წანამძღვრების შესაქმნელად.

სტრუქტურული გარდაქმნის პირველ ეტაპზე თანდათანობით მოხდება არაეფექტიანი წარმოების შეკვეცა. სტრუქტურული გარდაქმნის შემდგომ ფაზაში, როცა უკვე შეიქმნება ხელსაყრელი ინვესტიციური კლიმატი, სწრაფად განვითარდება პერსპექტიული ახალი სტრუქტურის წარმომქმნელი დარგები. სწორედ ამ ფაზით უნდა დაიწყოს ეკონომიკური ზრდის ტემპის მატება.

რაც შეეხება უშუალოდ რეფორმის მიმდინარეობას, დასასრულს უახლოვდება ეკონომიკური რეფორმის განხორციელებისწინა მოსამზადებელი სამუშაოები, ჩამოყალიბდა მისი უზრუნველყოფის სამართლებრივი საფუძვლები. უმძიმესი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური კრიზისის პირობებში, საერთო არასტაბილურობისა და არსებული ინტეგრაციული კავშირების რღვევის მიუხედავად, დაისახა და განხორციელდა ისეთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებები, როგორიცაა მიწისა და საცხოვრებელი ბინების გაკერძოება, ფასების ლიბერალიზაცია, მიმოცვლის სფეროში თავისუფალი ვაჭრობის შემოღება, გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები სამეურნეო კომპლექსის დემონოპოლიზაციისა და წარმოების მართვის დეცენტრალიზაციის მიმართულებით.

ყოველივე ამის შედეგად შეუქცევად ხასიათს იძენს საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრება, რასაც განსაკუთრებულად უწყობს ხელს საგარეო კავშირურთიერთობების განვითარებაში დასახული პროგრესული ტენდენციები.

ამავე დროს ეკონომიკური რეფორმის მსვლელობა დიდი ხარვეზებითა და წინააღმდეგობრივად მიმდინარეობს.

ქვემოთ საუბარი გვექნება მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პოლიტიკის ძირითად მომენტებზე.

4. საფინანსო პოლიტიკა

ეკონომიკური სტაბილიზაციის დასახული მიზნის მისაღწევად, ინფლაციის შესამცირებლად აუცილებელი იყო საფინანსო პოლიტიკის გამკაცრება. მნიშვნელოვანი ზომები უნდა გაგვეტარებინა ფულადი და საგადასახადო პოლიტიკის სფეროებში.

ჩვენ ვვარაუდობდით მიგვეღო მეტნაკლებად დაბალანსებული ბიუჯეტი. როგორც წლის პირველი ნახევრის შედეგები და საპროგნოზო გაანგარიშებები გვიჩვენებენ, ბიუჯეტის დეფიციტი — დაგეგმილზე გაცილებით უფრო დიდი იქნება. ამ მოვლენის უარყოფითი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია დამატებითი სერიოზული ზომების მიღება.

მიმდინარე წლის 6 თვეში, წინასწარი მონაცემებით, რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები შესრულდა 48,8 პროცენტით, ნაცვლად 8,1 მლრდ. მანეთისა შემოვიდა მხოლოდ 3,9 მლრდ. მანეთი. ამ პერიოდში ბიუჯეტის ხარჯები 6,6 მილიარდი მანეთია, დეფიციტი 2,7 მლრდ. მანეთს აღწევს.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შემცირება წარმოების მკვეთრმა დაცემამ განაპირობა. ამ ფაქტორმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა საწარმოთა საფინანსო მდგომარეობაზე. მიმდინარე წლის ხუთ თვეში მათ მიერ მიღებულმა მოგებამ (პოლიტიკურად არასტაბილური რაიონების გამოკლებით) დაახლოებით 700 მლნ. მანეთი ანუ წლიური საპროგნოზო მოგების (რომელიც 23 მლრდ. მანეთის ოდენობით იყო გათვალისწინებული) მხოლოდ 3 პროცენტი შეადგინა. განვლილ ხუთ თვეში საწარმოების მიერ მიღებულმა ზარალის თანხამ ამ პერიოდში მიღებული მოგების თითქმის მესამედი შეადგინა.

რა თქმა უნდა, საწარმოთა მძიმე ფინანსურმა მდგომარეობამ უარყოფითად იმოქმედა საანგარიშსწორებო დისციპლინაზე. მომწოდებლების ვადაგადაცილებული დავალიანების თანხა 1 ივნისის მდგომარეობით 11,8 მლრდ მანეთი იყო. გარდა ამისა, დიდი რაოდენობის გაუნაღდებელი ანგარიშები ირიცხება რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მდებარე მომხმარებლებზე. მარტო ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ერიცხება გაუნაღდებელი ანგარიშები 2 მილიარდი მანეთის ოდენობით, თბილისში განლაგებულ საწარმოებს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მდებარე მომხმარებლებისაგან ერგება 3 მილიარდ მანეთზე მეტი. საერთოდ საქართველოს საწარმოთა ანგარიშების განაღდების შემთხვევაში რესპუბლიკის ბიუჯეტი მიიღებდა რამდენიმე მლრდ. მანეთზე მეტ თანხებს.

მნიშვნელოვანი თანხები დააკლდა სახელმწიფო ბიუჯეტს იმის გამო, რომ საწარმოებში ირიცხებოდა დიდი რაოდენობის მზა პროდუქციის არარეალიზებული ნაშთები. ღვინის ქარხნებში ღვინისა და ღვინომასალების ნაშთებმა 24 მილიონი დეკალიტრი, ხოლო კონიაკის ნაშთებმა 1 მილიონ დეკალიტრზე მეტი შეადგინა, რაც დაახლოებით 7 მლრდ მანეთს შეადგენს. ამ პროდუქციის რეალიზაციის შემთხვევაში ბიუჯეტი 4,5 მლრდ მანეთს მიიღებდა დამატებული ღირებულების გადასახადის, მოგების გადასახადისა და აქციზების სახით.

ანალოგიური მდგომარეობაა არარეალიზებული ჩაის რესურსებზე. დაფასოებული ჩაის ნაშთები 2500 ტონას, ხოლო დაფასოებული ჩაის არარეალიზებული ნაშთები 80 ათას ტონაზე მეტს შეადგენდა. ამ პროდუქციის რეალიზაციიდან ბიუჯეტი 3 მლრდ მანეთს მიიღებდა.

ასეთივე არასახარბიელო მდგომარეობაა მძიმე მრეწველობის დარგში. მაგალითად, ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ განვლილ პერიოდში აწარმოა 301,9 მილიონი მანეთის პროდუქცია, რომელიც დღემდე არაა რეალიზებული.

ბიუჯეტის შემოსავლების დანაკარგებს აგრეთვე განაპირობებს საგადასახადო პოლიტიკაში არსებული ნაკლოვანებები, გადამხდელთა ფსიქოლოგიური მოუმზადებლობა, მათი კვალიფიკაციის დაბალი დონე. როგორც შემოწმებით ირკვევა, საწარმოთა თითქმის 80 პროცენტში გამოვლინდა მოგების და დასაბეგრი სხვა შემოსავლების დამალვის ფაქტები. განვლილ პერიოდში ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით გამოვლინდა და დარიცხულია დამალული შემოსავლები დაახლოებით 400 მილიონი მანეთის ოდენობით. ამასთან ერთად ისიც უნდა ითქვას, რომ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის განსაზღვრისას სრულად არ იქნა გათვალისწინებული ეკონომიკაში შექმნილი სიტუაცია და საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნები. მოგების გადასახადების საგეგმო მაჩვენებლების განსაზღვრისას ყურადღება არ მიექცა საგადასახადო შეღავათების არსებობას, მიმდინარე წლის 1 კვარტალში მიღებულ შედეგებს, სავალუტო ფონდის შექმნის თაობაზე მოქმედი სისტემით სავალუტო ამონაგების გადასახადებში ჩათვლის წესს. აღნიშნული ფაქტორების გაუთვალისწინებლობამ განაპირობა მოგების გადასახადის მილიარდ მანეთზე მეტი ოდენობით დაგეგმვა.

რეალურზე გაცილებით მეტია დაგეგმილი სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა აფასების შედეგად მიღებული შემოსავლები (800 მლნ. მანეთით მეტი). სახელმწიფო ბაჟი (150 მილიონი მანეთით მეტი), შემოსავლები სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან.

სახელმწიფო ბიუჯეტის თანხების მობილიზაციის საქმეში დიდია ახლადშექმნილი სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის როლი.

საგადასახადო ინსპექცია ამჟამინდელი კადრებით და მუშაობის სტილით ვერ უპასუხებს მასზე დაკისრებულ მოთხოვნებს. ხშირია ამ სფეროში დასაქმებული პირების მიერ შემოსავლების დამალვის ხელშეწყობის შემთხვევები. აუცილებელია ამ ინსპექციების დაკომპლექტება კვალიფიციური და პატიოსანი კადრებით.

საგადასახადო რეფორმის განხორციელება და გადამხდელებზე სათანადო კონტროლის დაწესება მოითხოვს ამ სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, კომპიუტერული სისტემის დანერგვას, ინსპექციის მუშაკთა რიცხოვნობის გაზრდას. შემოსავლების დამალვისა და გადასახადის გადაუხდელობის ტენდენცია მოითხოვს ამ სამსახურის უფლებების გაფართოებას და მათი დაცულობის უზრუნველყოფას. როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, მძლავრი დამოუკიდებელი სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის შექმნა გამართლებულია არა მარტო იმით, რომ მან უნდა უზრუნველყოს ბიუჯეტის თანხების მობილიზაცია, საგადასახადო კანონმდებლობის სრული დაცვა უწყებრივი მეურვეობის გარეშე, არამედ მან გარკვეული ზემოქმედებაც უნდა მოახდინოს რეალური, დაბალანსებული ბიუჯეტის ფორმირების პროცესებზე.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში ფინანსთა სამინისტრომ უნდა იკისროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია მაკროეკონომიკის ორგანიზაციაში. სამწუხაროდ, დღეისათვის ფინანსთა სამინისტროს როლი მხოლოდ ვიწრობიუჯეტური საკითხების ტექნიკური მოგვარებით ამოიწურება და თითქმის უმნიშვნელო როლს თამაშობს ეკონომიკის სტაბილიზაციაში. დღემდე მეთოდოლოგიურ დონეზეც კი არ არის გარკვეული სახელმწიფოს შიდა და საგარეო ვალის გაფორმების და მომსახურების საკითხები, აგრეთვე ბიუჯეტის რეალური დეფიციტის პრობლემები და მრავალი სხვა საკითხი.

განსაკუთრებით საშურია ბიუჯეტის დეფიციტის შესწავლისა და ამ საკითხში სწორი მიდგომების გამომუშავების მოგვარება.

ჩვენ ფაქტობრივად არ ვიცით, რამდენია ჩვენი ბიუჯეტის რეალური დეფიციტი. მთავრობის მიერ გაწეულია ისეთი სახის ხარჯები, რომლებიც ძველი საბიუჯეტო მეთოდიკით დღემდე არ არის შეტანილი საბიუჯეტო მაჩვენებლებში. გაუთვალისწინებელია ბიუჯეტის გარეშე არსებული ფონდების (სოციალური უზრუნველყოფის ფონდი, დასაქმების ფონდი) არასაბიუჯეტო ხარჯები და ისეთი სამთავრობო ხარჯები, რომლებიც დაფარულნი იყვნენ საბანკო კრედიტების საშუალებით.

მთავრობის მიერ საწარმოებზე გაცემული სესხები, მაშინ როცა არ არსებობს ანგარიშსწორების წესი მთავრობასა და საწარმოებს შორის, წარმოადგენს ფარულ სუბსიდიებს და იგი ყველგან, როგორც წესი, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებს ემატება.

ამიტომ ჩვენი ბიუჯეტი გაცილებით უფრო დაუბალანსებელია, ვიდრე ერთი შეხედვით გვეჩვენება. საბიუჯეტო მოწყობის რეორგანიზაციის პროექტი სასწრაფოდ არის შესამუშავებელი, რადგან უკვე დღეიდან უნდა დავიწყოთ მუშაობა მომავალი წლის ბიუჯეტის შედგენაზე.

ახლავე უნდა გატარდეს მკაცრი ზომები საბიუჯეტო ხარჯების შეზღუდვისათვის. თანდათანობით უნდა შემცირდეს არაეფექტიანი საწარმოების დაფინანსება და იგი უნდა განხორციელდეს მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში.

დამატებითი ზომები უნდა იქნეს გატარებული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გაზრდისათვის.

უნდა გაძლიერდეს საბიუჯეტო კონტროლი სამი ძირითადი მიმართულების ხარჯზე. პირველი — უნდა განხორციელდეს მკაცრი სეკვესტირების პრინციპი, ე. ი. დანახარჯები შეზღუდული უნდა იქნეს შემოსავლების ოდენობით. მეორე — მთავრობამ არ უნდა შექმნას ახალი არასაბიუჯეტო სახელმწიფო ფონდები, ხოლო ზოგიერთი უკვე არსებული — უნდა იქნეს გათვალისწინებული კონსოლიდირებულ ბიუჯეტში, და მესამე — მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა უნდა მიიღონ ზომები, რათა რაც შეიძლება მინიმალურ დონეზე იქნეს დაყვანილი საბიუჯეტო დეფიციტის დაფინანსება საბანკო კრედიტების ხარჯზე.

ახალი საბიუჯეტო პოლიტიკის გამომუშავებაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება დაბეგვრის სისტემის სწორ ორგანიზებას.

საგადასახადო პოლიტიკამ ამ ეტაპზე უნდა გადაჭრას ორი ურთიერთდაკავშირებული და ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო ამოცანა. პირველი — ბიუჯეტის დაბალანსების უზრუნველყოფა და ინფლაციის შეჩერება, და მეორე — საქმიანი აქტივობის გამოცოცხლება, წარმოებისა და ვაჭრობის სფეროების ხელშეწყობა.

კრიზისული განვითარების ეტაპზე, როგორც წესი, უპირატესობას ანიჭებენ პირველ ამოცანას. ჩვენ ამ ამოცანის გადაჭრა გვიხდება წარმოების მკვეთრად დაცემისა და საგადასახადო შემოსავლების შემცირებული ბაზის პირობებში.

ამასთან, ასეთ ვითარებაში აუცილებელია განსაკუთრებული სიფრთხილით მიდგომა გადასახადების მოცულობაზე, რადგან არსებობს გადასახადების ზრდის ობიექტური ზღვარი, რომლის გადამეტება იწვევს უკუპროცესს და ამცირებს შემოსავლებს, საგადასახადო ბაზის შემცირების, შემოსავლების დამალვის და დაბეგვრისაგან თავის არიდების გამო.

სწორედ ასეთი სცენარით განვითარდა ჩვენთან მოვლენები, როცა თავდაპირველად არასწორად დაიგეგმა ბიუჯეტი და შესაბამისად მისი დაბალანსების ერთადერთ გზად მომატებული საგადასახადო განაკვეთები იქნა აღებული. განსაკუთრებით ეხება ეს დამატებულ ღირებულების გადასახადის ოდენობას, რომელიც უკანასკნელ ხანებში საქმიანი წრეების განსაკუთრებული კრიტიკის ობიექტი გახდა.

დამატებული ღირებულების გადასახადი, რომელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში წარმატებით მოქმედებს, ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი გადასახადია და მისი შემოღება ჩვენი საგადასახადო პოლიტიკის უდაოდ წინგადადგმული ნაბიჯია.

ამასთან ერთად, სავსებით გასაგებია ის უარყოფითი დამოკიდებულება, რაც გამოიწვია ამ გადასახადის განაკვეთის ოდენობამ მეწარმეებში. იგი მართლაც დიდია და ხშირ შემთხვევაში იწვევს უარყოფით შედეგებს.

ნორმალურად ფუნქციონირებად ეკონომიკაში ამ ტიპის გადასახადის მაღალი დონე სულაც არ უშლის ხელს მეწარმეობის განვითარებას. დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის განაკვეთი, მაგალითად, ავსტრიაში არის 20%, დანიაში — 22%, ისლანდიაში — 24,5%, ნორვეგიაში — 20%, საფრანგეთში — 18,6%, ფინეთში — 20,5%, გერმანიაში — 14%, ჰოლანდიაში — 18,5%, პორტუგალიაში — 17%. არის ქვეყნები, სადაც დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი შედარებით დაბალია, მაგალითად, ესპანეთში იგი არის 12%, ახალ ზელანდიაში — 12,5%, ბულგარეთში — 10%, ლუქსემბურგში — 12%, არის ქვეყნები, სადაც გადასახადი დაწესებულია შემცირებული და გადიდებული კურსის სახით. მაგალითად თურქეთში არის 5%,—8%, და 12%, შვეციაში 12,9% და 25%, იტალია 9% და 19%, საბერძნეთში 8% და 18%, ირლანდიაში — 10% და 25%.

ჩვენს პირობებში, როცა პირველად შემოდის ასეთი რთული სახის გადასახადი, თანაც მეტად მძიმე ეკონომიკურ სიტუაციაში, 28-პროცენტიანი განაკვეთი მეტისმეტად მაღალია და საჭიროა მისი შემცირება. ამასთან, ვინაიდან იგი ახალი შემოღებულია და რთულია მისი ამოღების პროცედურა, აგრეთვე ამ სახის შემოსავლებზე კონტროლის განხორციელება არაა მარტივი, სასურველია მოქმედებდეს ერთიანი განაკვეთი, ან უკიდურეს შემთხვევაში ორი კურსი: ერთი მინიმალური კურსი — სასურსათო საქონელზე; მეორე მაღალი — დანარჩენ ყველა სხვა სახის ნაწარმზე.

საერთოდ, მომავალში შესამუშავებელია ახალი, მსოფლიო სტანდარტებთან მიახლოებული საგადასახადო პოლიტიკა.

5. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა

ეკონომიკის სტაბილიზაციისა და ლიბერალიზაციის პირველ ეტაპზე ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ინფლაციის შენელება, რაც დამოუკიდებელი ფულადი საკრედიტო და საფინანსო სისტემის შექმნამდე მეტად რთული განსახორციელებელია.

კრიზისმა ყველაზე მეტად ფულის მიმოქცევაში იჩინა თავი — მანეთის მყიდველობითი უნარის სისტემატური შემცირება, ინფლაცია, ქრონიკული შეუსაბამობა მიმოქცევაში არსებულ ფულად მასასა და საქონელს შორის მეტად უარყოფითად მოქმედებს როგორც ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირებაზე, ისე თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაზე.

1992 წლის პირველი ივლისისათვის საქართველოში მიმოქცევაში იყო დაახლოებით 8,1 მლრდ. მან. — ეს ჩვენი გასული წლის ერთობლივი ეროვნული პროდუქტის 34,5 პროცენტია, შედარებისათვის — ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმოქცევაში მყოფი ფულის საერთო ნომინალი ერთობლივი ეროვნული პროდუქტის მხოლოდ 4,82%-ს შეადგენს (1990 წლის მდგომარეობით). ამის გარდა საქართველოს მოსახლეობას ამჟამად ხელზე აქვს დაახლოებით 8.7 მლრდ. მანეთი ნაღდი ფული (მიმდინარე შემოსავლების გარდა), რომელიც ფორმალურად მიმოქცევაში არ გადის, მაგრამ რეალურად „მთელი დატვირთვით“ ემსახურება საქონელბრუნვის პროცესს, უპირატესად იმ საქონელბრუნვისას, რომელიც ჯერაც ჩრდილოვან ეკონომიკას წარმოადგენს.

მიმოქცევაში გაშვებული ფულის დიდი ნაწილი აღარ უბრუნდება საბანკო სისტემას. 1991 წელს მიმოქცევაში გაშვებული ფულის მასის საშუალო ბრუნვამ წელიწადში მხოლოდ 1,8 შეადგინა, ე. ი. ერთ ბრუნვას დასჭირდა 200 დღეზე მეტი (ეს იმ დროს, როდესაც ინკასაციის გარეშე დარჩენილი ფულადი სახსრების ბრუნვის სიჩქარე კომერციულ სტრუქტურებში დაახლოებით 3-6-ჯერ უფრო მაღალია). ფულის ბრუნვის სიჩქარე საქართველოში პოლონეთთან შედარებით დაახლოებით 4-ჯერ, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებთან შედარებით, 6-ჯერ ნაკლებია.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი ამოცანა ამ ეტაპზე იყო საკრედიტო პოლიტიკის მოქნილობის ამაღლება, ფულის მასის დინამიკა ისე უნდა წარმართულიყო, რომ არ დაშვებულიყო არც მაღალი ინფლაცია, და არც წარმოების დიდი ოდენობით დაცემა. ეს უნდა განხორციელებულიყო მოქნილი საპროცენტო პოლიტიკის გატარების, ბანკთაშორისი დაკრედიტების განვითარების, არაეფექტიანი საბიუჯეტო პროგრამების დაფინანსების შემცირების, საკრედიტო ემისიის მასშტაბის ოპტიმალურად მართვის გზით.

საქართველოს ეროვნულ ბანკს უკვე ამ ეტაპზე უნდა დაეწყო საკრედიტო ბაზრის დარეგულირება საბაზრო სისტემაში დამკვიდრებული ბერკეტებით და მეთოდებით.

ამ ამოცანის განხორციელება ვერ მოხერხდა.

საქართველოს საბანკო სისტემა დღემდე დრომოჭმულ ინსტრუქციებითა და ნორმატიული აქტებით მუშაობს, რაც აფერხებს მიმდინარე რეფორმებს. აშკარაა კანონქვემდებარე აქტების, ნორმატიული და სხვა ინსტრუქციული მასალების დეფიციტი. აღნიშნული დოკუმენტები შექმნილი უნდა ყოფილიყო ეროვნული ბანკის, ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს, სხვა შესაბამისი უწყებისა და აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ. ეს სამუშაო არ გაკეთებულა, სათანადო მექანიზმის გარეშე კი ვერც ერთი კანონი ვერ იმუშავებს, ვერ გახდება პრაქტიკულად ქმედითი.

ამ მხრივ განსაკუთრებით ვალში არიან ეკონომიკური პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. ეს უკანასკნელნი ფაქტობრივად უმოქმედოდ იმყოფებიან და დღემდე ვერ განუსაზღვრავთ თავიანთი ფუნქციები და ადგილი ეკონომიკური რეფორმების პროცესში.

უკანასკნელ პერიოდამდე ეროვნული ბანკი საკრედიტო რესურსების გაანგარიშებისას ხელმძღვანელობდა საბჭოური მეთოდიკით და რამდენიმე თვის განმავლობაში აიძულებდა სპეციალიზებულ სახელმწიფო კომერციულ ბანკებს ემუშავათ 1992 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული საკრედიტო დაბანდებათა ნაშთების ფარგლებში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს ბანკები ამ ხნის განმავლობაში მუშაობდნენ რამოდენიმეჯერ ნაკლები საკრედიტო რესურსებით, ვიდრე ამჟამად არის განსაზღვრული. ამ მიზეზით ბანკებმა ვერ შეძლეს დაეკრედიტებინათ მეურნეობისათვის, მოსახლეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ღონისძიებები, რის გამოც ქვეყანაში ვერ შემოვიდა რამდენიმე მილიარდი მანეთის ღირებულების საქონელი, მ. შ. კვების პროდუქტები.

გასული ნახევარი წლის განმავლობაში საქართველოში საკრედიტო დაბანდების მატებამ შეადგინა 21,4 მლრდ. მანეთი, აქედან მთავრობის დავალებების საფუძველზე გაცემულია 14,5 მლრდ მანეთის სესხი, ანუ მთელი საკრედიტო დაბანდების 67,8%. ბიუჯეტის ხარჯების დასაკრედიტებლად გამოყოფილი იყო 2,6 მლრდ მანეთი, სახელმწიფო სპეციალიზებული და კომერციული ბანკების მიერ ზემოდან მითითების გარეშე გაცემული აღმოჩნდა მხოლოდ 4,3 მლრდ მანეთის სესხი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში ფაქტობრივად არ არსებობს დამოუკიდებელი საბანკო სისტემა და მინიმუმამდეა შეზღუდული სხვადასხვა საინვესტიციო და კომერციული საჭიროებისათვის სესხის მიღების შესაძლებლობა. ეს თავის მხრივ ბადებს ე. წ. „საკრედიტო შიმშილს“, რაზეც შესაძლებელია კიდევაც ითბობდნენ ხელს საბანკო და არა მარტო საბანკო სფეროში დასაქმებული ზოგიერთი პირნი.

საკრედიტო პოლიტიკის სერიოზული შეცდომა იყო თითქმის სრული პარალიზება ინვესტიციური პროცესისა, როგორც სახელმწიფო, ასევე არასახელმწიფო სექტორში. ამის მიზეზი არის არა მარტო ჰიპერინფლაცია და საწარმოთა ქრონიკული გადახდისუუნარობა, არამედ საკრედიტო დაბანდებათა ზემოთ მოტანილი მანკიერი პრაქტიკა, როცა კომერციული სექტორი უფლებამოკლებულია მიიღოს სესხი კაპიტალდაბანდებისათვის.

ნახევარი წლის განმავლობაში შესაძლებელი იყო შემუშავებულიყო დაკრედიტების, ანგარიშსწორების ახალი წესები, მაგრამ თავი ვერ მოება ამ საქმეს.

ეროვნული ბანკი ოპერატიული საქმიანობითაა დაკავებული. შეიმჩნევა სიმპტომები, რომ ამ მთავარ ბანკს (ფულად-საკრედიტო, საანგარიშსწორებო პოლიტიკის შემმუშავებელ ცენტრს) დიდი სურვილი აქვს ადმინისტრირების წესით ერეოდეს არა მარტო სახელმწიფო-კომერციული, არამედ კომერციული ბანკების საქმიანობაში, რაზეც მეტყველებს ეროვნული ბანკის მითითებების შინაარსი და ფორმაც კი.

(გაგრძელება მე-4 გვ.).

საქართველოს რესპუბლიკაში ეკონომიკური რეფორმის მიმდინარეობის შესახებ

(გაგრძელება).

ვერც ფულის ნიშნების დეფიციტის აღმოფხვრის ღონისძიებებია ბოლომდე მოფიქრებული. ნაცვლად იმისა, რომ შემოეთავაზებინა მსოფლიო საბანკო სისტემაში აპრობირებული მექანიზმები, ეროვნული ბანკი შემოიფარგლა მხოლოდ შემზღუდავი ღონისძიებებით, ხოლო სხვა ბანკები ჯერჯერობით ვერ გვთავაზობენ ანგარიშსწორების სათამასუქო, აგრეთვე უნაღდო ანგარიშსწორების სხვა პროგრესული ფორმების დანერგვის წინადადებებსაც კი.

საკმაოდ ნელი ტემპით მიმდინარეობს სახელმწიფო-კომერციული ბანკების სააქციო-კომერციულ ბანკებად გარდაქმნის პროცესი. ეკონომიკური რეფორმების პირველი ეტაპის პროგრამით გათვალისწინებულია სახელმწიფო სპეციალიზებული ბანკების სააქციო-კომერციულ ბანკებად გარდაქმნა, მაგრამ, ჩანს, როგორც ხელისუფლების ეშელონებში, ასევე თვით საბანკო სისტემაშიც არიან ძალები, რომლებსაც არ სურთ სახელმწიფო სპეცბანკების განსახელმწიფოებრიობა.

არასასურველი ტემპით მიმდინარეობს სახელმწიფო კომერციული ბანკების შექმნისა და მათი ძლიერ სტრუქტურებად ჩამოყალიბების პროცესი, რაც ნაწილობრივ ეროვნული ბანკის არასწორი საკრედიტო პოლიტიკის შედეგიცაა.

1992 წლის 1 ივლისის მდგომარეობით საქართველოში იყო 64 კომერციული ბანკი თითქმის 400 მლნ. მანეთი საწესდებო კაპიტალით (შემნახველი კომერციული ბანკის გარდა). წლის დასაწყისთან შედარებით მათი რიცხვი 16 ერთეულით, ხოლო საწესდებო კაპიტალის მოცულობა 8-ჯერ გაიზარდა. მიუხედავად ასეთი მატებისა, ეს სრულებითაც არ არის ბევრი. ფინეთში მაგალითად, სადაც დაახლოებით იმდენი ადამიანი ცხოვრობს, რამდენიც საქართველოში, 4000 კომერციული ბანკი ფუნქციონირებს (რუსეთის ფედერაციაში, ამჟამად — 1500-მდე ბანკი). ფაქტობრივად ჩვენი კომერციული ბანკები ფინანსურად ძალზე სუსტები არიან და რეალურ გავლენას ვერ ახდენენ საკრედიტო ბაზარზე. მათი საწესდებო კაპიტალის ერთობლივი მოცულობა იმდენად მცირეა, რომ იგი ერთი სოლიდური ბანკისათვისაც კი არ არის საკმარისი.

რესპუბლიკის შემნახველი ბანკები კვლავ რჩება მოსახლეობის ფინანსური რესურსების მონოპოლისტებად. მის სისტემაში თავმოყრილია მოსახლეობის მიერ რესპუბლიკის საბანკო დაწესებულებებში მოთავსებული ფულადი სახსრების 96,9% და მთელი ფულადი სახსრების 62,5%. დანარჩენ კომერციულ ბანკებზე მოდიოდა მხოლოდ 440 მლნ. მანეთის მოზიდული თანხა, რომელთაგან თითქმის ნახევარი გამოშვებული აქციების ღირებულება იყო.

საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა საანგარიშსწორებო საქმეში. ჯერ ერთი, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საანგარიშსწორებო ცენტრების მომსახურებაზე გადასვლა განხორციელდა მოუმზადებლად, ბევრი რამ მეთოდურადაც გაურკვეველი იყო, განსაკუთრებით პირველ ეტაპზე. ამის გამო საკმაოდ სოლიდური თანხები დროულად არ ჩაერიცხა საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა არამწარმოებრივი ხარჯები, რომელიც მათთვის არავის აუნაზღაურებია.

ამჟამად მთელი სიმწვავით დგას ჩვენი საწარმოების რუსეთის საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ანგარიშსწორების საკითხი, ღრმად გასააზრებელია საკორესპონდენტო ანგარიშისა და სადებიუტო სალდოს მეშვეობით ურთიერთობის საკითხი. რუსეთი გვთავაზობს თავისთვის ხელსაყრელ ვარიანტს, ჩვენ კი მას ვერაფერს ვუპირისპირებთ. აუცილებელია საბანკო და საფინანსო სფეროს სპეციალისტებმა შეიმუშაონ რუსეთსა და მანეთის ზონის სხვა სახელმწიფოებთან საანგარიშსწორებო პოლიტიკის ჩვენთვის მისაღები მრავალვარიანტული მექანიზმი.

ამასთან, ანგარიშსწორების მექანიზმის შერჩეული ვარიანტი ჩადებულ უნდა იქნეს იმ ეკონომიკურ ხელშეკრულებებში, რომელსაც ვდებთ ცალკეულ ქვეყნებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში იმ მექანიზმის მიხედვით, რომელსაც გვთავაზობს რუსეთის ცენტრალური ბანკი, რუსეთის მხრიდან გარანტირებული გვექნება სრული დიქტატი, რადგან საქართველოს გაცილებით მეტი რესურსი შემოაქვს სხვა ქვეყნებიდან, მათ შორის რუსეთიდან, ვიდრე გააქვს.

როგორც ცნობილია, რუსეთის ფედერაციულმა რესპუბლიკამ მიმდინარე წლის 1 ივლისიდან სამანეთო ზონის ყველა ქვეყანასთან მკაცრი საკორესპონდენტო ურთიერთობა დაამყარა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სანამ რუსეთის ცენტრალურ ბანკში ჩვენს ანგარიშზე არ იქნება ჩვენივე საქონლის გაყიდვით ან მომსახურებით შემოსული ან კრედიტით აღებული სახსრები, რუსეთი ჩვენ არ მოგვაწვდის თავის პროდუქციას.

რუსეთთან ანგარიშსწორების ახალ, ფაქტობრივად ე. წ. საკლირინგო ფორმაზე გადასვლის შედეგად საქართველო, უახლოეს პერიოდში, შეიძლება აღმოჩნდეს უდიდესი პრობლემების წინაშე. რუსეთი თუ ამ პრინციპს გაატარებს (რაც მოკლე ვადაში ტექნიკურად ძალზე ძნელი განსახორციელებელი ექნებათ), მაშინ იგი დიდ უპირატესობას მიიღებს, რადგან ასეთ პირობებში, რესპუბლიკები რუსეთის ტერიტორიაზე შეძლებენ იყიდონ საქონელი მხოლოდ იმ მანეთზე, რომელსაც ისინი რუსეთშივე მიიღებენ.

რუსეთის გადასვლა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან მკაცრ საკორესპონდენტო ურთიერთობებზე ფაქტობრივად ნიშნავს, რომ საბოლოოდ დაისვა წერტილი ერთიანი სამანეთო სივრცის შენარჩუნების მცდელობას. სახელმწიფოთა შორის ანგარიშსწორების ახალი სისტემის პირობებში ფულის ღირებულების ცვლილება სხვადასხვა რესპუბლიკაში ძალზე სწრაფად წარიმართება, ხოლო რუსეთის მანეთი უკვე არ იქნება ტოლი ბელარუსში, ყაზახეთში, უკრაინაში ან საქართველოში არსებული მანეთისა, მიუხედავად იმისა, რომ მას ყველგან დროებით ერთნაირი სახელწოდება ექნება.

ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ როგორც რუსეთის ოფიციალური, ასევე არაოფიციალური წყაროებიდან ჩანს, ამჟამად უკვე სამანეთო სივრცის დაშლის ინიციატივა რუსეთს ეკუთვნის. მათ მიაჩნიათ, რომ სამანეთო სივრცის შენარჩუნება ეწინააღმდეგება რუსეთის ინტერესებს. განსაკუთრებით თვალშისაცემია რუსეთის მიერ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების სამანეთო ზონიდან განდევნის მცდელობა მას შემდეგ, რაც უკრაინის ეროვნულმა ბანკმა ამ ერთი თვის წინ მიიღო გადაწყვეტილება გადაეცა თავისი ქვეყნის საწარმოებისათვის 800 მლრდ მანეთის კრედიტი ნედლეულისა და პროდუქციის შესასყიდად. თავის მხრივ, რუსეთმა უფრო ადრე დაარღვია ტაშკენტში ხელმოწერილი შეთანხმება და რუსეთის ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების დასაფინანსებლად რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა მოახდინა 200 მლრდ მანეთის საკრედიტო ემისია, რაც არ შეუთანხმა სამანეთო სივრცის სხვა ქვეყნების არც ერთ ცენტრალურ ბანკს.

ამჟამად ზუსტად არავინ იცის, თუ რამდენია საკრედიტო ემისიის მოცულობა სამანეთო ზონის სხვადასხვა ქვეყნებში.

ყოველივე ზემოთქმულს კიდევ ერთხელ მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია ეროვნული ფულის დროზე დაბეჭდვა. რაც შეეხება მის მიმოქცევაში შეყვანას, ამ საკითხში არც აჩქარება ვარგა და არც დაყოვნება. უნდა შევარჩიოთ ყველაზე ოპტიმალური დრო, ხოლო მანამდე მაქსიმალურად გამოვიყენოთ სამანეთო სივრცეში შექმნილი სპეციფიკური, გარკვეულწილად ხელსაყრელი პირობები.

თუმცა არც იმის გაუთვალისწინებლობა შეიძლება, რომ ფულის ნიშნების უქონლობის გამო საქართველოში ვერ ხერხდება ხელფასების, პენსიების, სტიპენდიების, სხვადასხვა შემწეობების დროული გაცემა. ინფლაციის გამო დარიგების მომენტისათვის მათი რეალური მყიდველობითი უნარი, სულ ცოტა, 20 პროცენტით მაინც არის შემცირებული. ანალოგიური პრობლემა აქვს სამანეთო ზონის სხვა სახელმწიფოებსაც, მათ შორის რუსეთსაც, თუმცა გაცილებით ნაკლები სიმწვავით — რუსეთის ცენტრალური ბანკი ფულის ნიშნებით პირველ რიგში უზრუნველყოფს საკუთარ მოთხოვნილებას და მხოლოდ შემდეგ — დანარჩენ ქვეყნებს. რუსეთმა, რომელზეც მოდის ყოფილი საბჭოთა კავშირის მოსახლეობის 52% და წარმოებული ეროვნული შემოსავლის 61%, თავისი წილი მანეთის საერთო ემისიაში მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გაზარდა 80%-მდე.

საქართველოში ფულადი და საკრედიტო პოლიტიკა წლის მეორე ნახევარში უნდა გამკაცრდეს.

კრედიტების ნომინალური მოცულობის ზრდა უნდა მოხდეს იმ ტემპით, რომელიც შეესაბამება ინფლაციის ზრდისა და წმინდა სავალუტო რეზერვების მატების ტემპებს. ამან უნდა უზრუნველყოს დაკრედიტების ზრდის ისეთი ტემპი, რაც საკმარისი იქნება შემოსავლის შესაძლო კლების პირობებში საწარმოთა აუცილებელი ფინანსური საშუალებებით უზრუნველყოფისათვის, ფასების ახალ სტრუქტურასთან და საბაზრო პირობებთან შეგუებისათვის.

საბანკო პოლიტიკაში საპროცენტო განაკვეთი უნდა იქცეს მთავარ ინდიკატორად და იგი უნდა არეგულირებდეს ფინანსური რესურსების დაბანდებას ეკონომიკაში. საბანკო სისტემა უნდა გადავიდეს ძირითადად რეგულირების არაპირდაპირ მეთოდებზე.

უნდა მოიხსნას დისკრიმინაციული მიდგომა არასახელმწიფო კომერციული ბანკების საქმიანობისადმი და საწარმოებსა და დარგებს შორის კრედიტების განაწილებისას კომერციული ბანკები თანაბარ პირობებში უნდა იქნეს ჩაყენებული სახელმწიფო ბანკებთან მიმართებით.

6. მოსახლეობის სოციალური დაცვა

1992 წლის პირველ ნახევარში საქართველოში საცალო ფასებისა და ტარიფების ზრდის ტემპმა 644 პროცენტი შეადგინა. მოსახლეობის ხარჯების საერთო მოცულობაში გაიზარდა ხარჯები სურსათზე. ამჟამად სურსათზე იხარჯება მოსახლეობის მიმდინარე შემოსავლების 2/3, რაც თითქმის 25 პროცენტული პუნქტით აღემატება ორი წლის წინანდელ მაჩვენებელს. სურსათზე გაღებული ხარჯების ხვედრითი წილის ასეთი ზრდის მიუხედავად, კვების პროდუქტების აბსოლუტური მოხმარება (პურის ჩათვლით) და შესაბამისი კალორიულობა 20-40%-ით შემცირდა.

ანალოგიურად არის მდგომარეობა ფასიანი მომსახურების მიხედვითაც, რომელთა ტარიფები მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 6,0-ჯერ გაიზარდა, მათ შორის სანატორიულ-საკურორტო და გამაჯანსაღებელი მომსახურება — თითქმის 13-ჯერ, სამგზავრო ტრანსპორტი — 9-ჯერ, ბავშვების შენახვა სკოლამდელ დაწესებულებებში — 8,7-ჯერ, საყოფაცხოვრებო მომსახურება — 8,8-ჯერ.

ფასებისა და ტარიფების ასეთი ზრდის ფონზე „მოკრძალებულად“ გამოიყურება ხელფასების ზრდა, რომლის ტემპმა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 370 პროცენტი შეადგინა. (ამ მაჩვენებელში არ არის გათვალისწინებული ხელფასის 80%-ით მატება 1 აგვისტოდან). ფასებისა და ხელფასების ზრდის ტემპებს შორის წარმოშობილი დისპროპორციის გამო მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასის მყიდველობითი უნარი 1992 წლის ივნისში, გასული წლის მიწურულის დაახლოებით 60 პროცენტის დონეზეა, რომ არა პირად დამხმარე მეურნეობიდან შემოსავლები, საზოგადოების წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილის ჩართვა კომერციულ საქმიანობაში, მოსახლეობის დიდი ნაწილის გაღატაკება გარდაუვალი იქნებოდა.

აღნიშნული გარემოება სხვა მომენტსაც უსვამს ხაზს: შეიმჩნევა ხელფასის სოციალური როლის დაქვეითების პროცესი, რომელიც ორ ასპექტში ვლინდება — ჯერ ერთი, მოსახლეობის მიმდინარე შემოსავლები სულ უფრო და უფრო ნაკლებ ხვედრით წილს იკავებენ ხელზე არსებულ ფულის მასასთან შედარებით (მაგალითად, 1992 წლის ივნისში ხელფასების სახით გაცემული თანხა მოსახლეობის ხელზე არსებულ ფულის თანხასთან შედარებით შეადგენდა 24,4 პროცენტს, მაშინ როდესაც 1980 წელს — 207 პროცენტი, ხოლო 1961 წელს — 441 პროცენტი იყო); მეორეც, მცირდება მიმდინარე შემოსავლებში ხელფასის ხვედრითი წილი და პირიქით იზრდება ასეთ შემოსავლებში სამეწარმეო ხასიათის და სხვა სახის შემოსავლების ხვედრითი წილი.

ამასთან სამომხმარებლო საქონელზე საცალო ფასები საქართველოში ჯერაც შედარებით დაბალია (დაახლოებით ერთი მეოთხედით, მათ შორის საცალო საქონელბრუნვის ჭრილში — 40%-ით, საქალაქო ბაზრებზე — 15%-ით). 1992 წლის ივნისში 1991 წლის მარტთან შედარებით, ე. ი. ე. წ. „პავლოვის ფასების რეფორმის“ დაწყებამდე საქართველოში საცალო ფასები გაიზარდა 11,81-ჯერ, რუსეთში კი — 15,48-ჯერ, რის გამოც ჩვენი მოსახლეობის მიმდინარე ფულადი შემოსავლების ერთეულის მყიდველობითი უნარი დაახლოებით 1,8-ჯერ მაღალია, ვიდრე რუსეთის ფედერაციაში. მართალია, ეს ვერ ხსნის განსხვავებას ორ ქვეყანაში ხელფასებისა და მოსახლეობის ფულადი შემოსავლების საშუალო სიდიდეებს შორის, მაგრამ რამდენადმე ამცირებს მას.

სანამ საქართველო რჩება სამანეთო ზონაში, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საცალო ფასები არ იყოს ჩვენთან რუსეთის დონეზე დაბალი, ხოლო მანეთის და საშუალო ხელფასის მყიდველობითი უნარი — მეტი. ეს გამოიწვევდა საქონლის მასობრივ გადატანებს. საკუთარი ეროვნული ვალუტის შემოღების შემდეგ კი ამის საპირისპირო ტენდენციების განვითარებას უნდა შეეწყოს ხელი.

ფასების ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით მოსახლეობის სოციალური დაცვის მიზნით მიმდინარე წელს გატარდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება.

გაიზარდა მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის ხარჯები. მაგალითად, 1991 წლის დეკემბრისათვის საშუალო ასაკობრივი პენსიები 169 მანეთს შეადგენდა, ა. წ. 1 აგვისტოდან იგი 610 მანეთს გაუტოლდა, ანუ გაიზარდა 3,6-ჯერ, ინვალიდობის პენსია შესაბამისად 158 მანეთიდან 560 მანეთამდე, ანუ 3,6-ჯერ გაიზარდა, 1,5 წლამდე ბავშვებზე დახმარებები 210 მანეთიდან 860 მანეთამდე, ხოლო 1,5 წლიდან 6 წლამდე შესაბამისად 270 მანეთიდან 410 მანეთამდე. ამ ხარჯების დაფინანსებას მიმდინარე წელს დასჭირდება თითქმის 10 მილიარდი მანეთი. ამ ხარჯების დაფინანსება ხდება უმწვავესი ფინანსური დეფიციტის პირობებში, მთავრობა იძულებულია ეს ნაბიჯი გადადგას მოსახლეობის სოციალური დაცვის მიზნით.

მნიშვნელოვანი სახსრები გამოიყო მიმდინარე წლის 15 იანვრიდან, 1 მაისიდან და 1 აგვისტოდან შრომის ანაზღაურების მინიმალური დონის 180 მანეთიდან 650 მანეთამდე გადიდების, თანამდებობრივი სარგოებისა და განაკვეთების, სტიპენდიების, პენსიებისა და დახმარებების გადიდებასთან დაკავშირებით.

საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება მუშათა, მოსამსახურეთა და გადასახადით დაბეგვრის მხრივ მათთან გათანაბრებულ მოქალაქეთა ხელფასი და სხვაგვარი შემოსავლები თვეში 650 მანეთამდე ოდენობით.

მოსახლეობის დანაზოგები, რომლებიც ანაბრების სახით მოთავსებულია სახელმწიფო კომერციულ ბანკებში, 1 აგვისტოს მდგომარეობით გაიზარდა 100 პროცენტის ოდენობით. ამ ღონისძიებით მოსახლეობის შემოსავლები გადიდდა დაახლოებით 14 მილიარდი მანეთით.

პურის საცალო ფასების გაზრდასთან დაკავშირებით მოსახლეობას ეძლევა სათანადო კომპენსაცია.

მეურნეობის მრავალ სფეროში ჯერ კიდევ შენარჩუნებულია დოტაციები, რაც იძულებითი ნაბიჯია, მაგრამ იგი მოსახლეობის სოციალური დაცვის უზრუნველყოფითაა ნაკარნახევი.

ენერგომატარებლებზე ფასების გადიდებისა და მუშაკთა ხელფასის განაკვეთების — სარგოების გადიდებასთან დაკავშირებით გაიზარდა ყველა სახის ტრანსპორტის ხარჯები. მაგალითად, მეტროპოლიტენით ერთი მგზავრის გადაყვანის თვითღირებულება შეადგენს დაახლოებით 8 მან. მაშინ როდესაც მგზავრი მხოლოდ 1 მანეთს იხდის. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა საქალაქო ტრანსპორტშიც.

ტარიფების გადიდება კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა მოსახლეობას და განსაკუთრებით სოციალურად დაუცველ ფენას, რის გამოც ტრანსპორტის მნიშვნელოვან სახეობაზე შენარჩუნებულია დოტაციები.

მოსახლეობის სოციალური დაცვის მიზნით ელექტროენერგია, ბუნებრივი გაზი, რძე მათ მიეწოდებათ ღირებულებასთან შედარებით საგრძნობლად დაბალ ფასებში და აქედან მიღებული ზარალი თითქმის მთლიანად სახელმწიფო სახსრებიდან იფარება.

ეკონომიკური რეფორმის პირობებში მწვავდება მოსახლეობის სოციალური დაცვის გარანტიების პრობლემა, ეს ზოგადი კანონზომიერებაა, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის პირობებში კიდევ უფრო გამწვავებულია რთული სიტუაციის შედეგად. ეკონომიკური რეფორმის ამ ეტაპზე ხელისუფლების უმთავრესი ამოცანა ხდება მოსახლეობის სოციალური დაცვის გარანტიების ორგანიზაციული და ეკონომიკური საფუძვლების განმტკიცება. ეკონომიკური რეფორმის ბედი დღეს მნიშვნელოვანწილად სწორედ ამაზეა დამოკიდებული.

მოსახლეობის სოციალური დაცვის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტია მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა. დღეისათვის საქართველოს რესპუბლიკაში ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ხაზით პენსიებისა და დახმარებების მიმღებთა რიცხვმა მილიონ 800 ათასს გადააჭარბა. მათ შორის ასაკით პენსიის მიმღებია 797,1 ათასი, ინვალიდობით — 168 ათასი, მარჩენალის გარდაცვალების გამო — 64 ათასი, სამხედროები და მათი ოჯახები — 41 ათასი, სოციალური პენსიისა — 52 ათასი, მარტოხელა დედები — 18 ათასამდე, განსაკუთრებული დახმარებების მქონენი დაახლოებით — 24 ათასი, მარტოხელები, რომლებსაც სოცუზრუნველყოფა დღეისათვის ემსახურება — 6 ათასამდე და ა. შ.

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებებისა, ეს მაინც არ არის საკმარისი მოსახლეობის სოციალური დაცვის უზრუნველყოფისათვის, აუცილებელია სხვადასხვა სახის ისეთი მექანიზმების ამუშავება, რომელიც არ იქნება წინააღმდეგობაში ეკონომიკური რეფორმის პრინციპებთან.

ნავარაუდევია რამდენიმე პრინციპული ხასიათის კორექტივის შეტანა სოციალურ პოლიტიკაში.

ჯერ ერთი, შემორჩენილი სუბსიდიები განაწილებულ უნდა იქნეს შეძლებისდაგვარად ზუსტად, შემოსავლის დონეთა გათვალისწინებით, უმეტეს შემთხვევაში ნაღდი ფულის გაცემის ფორმით, რათა მოხდეს ფასების მატების კომპენსაცია იმ მოქალაქეთათვის, რომლებიც ღებულობენ სოციალურ დახმარებას (პენსიები და ოჯახური დახმარებები).

მეორე, ნავარაუდევია ისეთი ოჯახური დახმარების სისტემის შემოღება, რომელიც მიმართული იქნება დაბალი შემოსავლების მქონე მოსახლეობის ჯგუფების დასაცავად. ეს სისტემა ისე უნდა იყოს აგებული, რომ გამოირიცხოს ორმაგი კომპენსაციის შესაძლებლობა.

მესამე — უმუშევრობის დახმარება ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ მან უზრუნველყოს ნაყოფიერი მუშაობის აუცილებელი სტიმული. ასეთი დახმარების უფრო ზუსტი მიზნობრივი გამოყენება საშუალებას მოგვცემს დავაფინანსოთ აქტიური პოლიტიკა, შრომის ბაზარზე უმუშევართა გადამზადების პროგრამების, მეწარმეობის სტიმულირების პროექტების, შრომატევადი საზოგადოებრივი საქმიანობის პროექტების ჩათვლით. აქედან გამომდინარე, ამ მიმართულების მიზანია უმუშევართა სწრაფი გადამზადება და მათი დაბრუნება ეფექტიან შრომით საქმიანობაში.

აუცილებელია აგრეთვე კერძო საპენსიო ფონდებისა და სახელმწიფო საპენსიო სისტემის განვითარებისათვის ხელშეწყობის ზომების უსწრაფესად გატარება.

აუცილებელია მოხდეს თვით სახელმწიფო სოცუზრუნველყოფის სისტემის რეფორმა და მასთან ერთად პენსიების დარიცხვისა და გაცემის რესპუბლიკური ცენტრის დეცენტრალიზაცია.

ეკონომიკური რეფორმის ყველა ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აქტიური სოციალური პოლიტიკის გატარებას. განუხრელი ყურადღების ცენტრში იქნება ისეთი საკითხები, როგორიცაა:

მოსახლეობის ფულადი შემოსავლების რეგულირება;
სოციალურად დაუცველი ჯგუფების მიზნობრივი დახმარება;
დასაქმების უზრუნველყოფა და დახმარება იმ მუშაკთათვის, რომლებიც გამოთავისუფლდებიან სტრუქტურული გარდაქმნების შედეგად;
— ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, საპენსიო უზრუნველყოფისა და საბინაო რეფორმის ფინანსირების წყაროების უზრუნველყოფას.

ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებების პრიორიტეტულობა ეკონომიკური რეფორმის ყველა ეტაპზე სხვადასხვა იქნება და მას განსაზღვრავს რესპუბლიკის მთავრობა.

იმისათვის, რომ აქტიურად განხორციელდეს სოციალური პოლიტიკა, საჭიროა მუშაობის გაძლიერება შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

— უნდა ამაღლდეს რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ეფექტიანად გამოყენება, მათ შორის მიზნობრივი საგადასახადო სახსრების შემოღების გზით;

— შესაბამისი საფინანსო ინსტიტუტების (არასახელმწიფოებრივი დაზღვევა და საპენსიო ფონდი) როლის ამაღლებით;

— სოციალური პროგრამების დაფინანსებაში დეცენტრალიზებული მიდგომის გაძლიერება, იმ მიზნით, რომ სიმძიმის ცენტრი გადავიდეს არასახელმწიფოებრივ საფინანსო სტრუქტურებზე და მუნიციპალურ (ადგილობრივ) დონეებზე;

7. სტრუქტურული პოლიტიკა

ლიბერალიზაციის პოლიტიკის გატარებამ უნდა უზრუნველყოს სტრუქტურული გარდაქმნის დაწყება ეკონომიკაში, რომელიც ეკონომიკას მიმართავს რესპუბლიკის მოსახლეობისათვის საჭირო მოხმარების საგნებისა და მომსახურების უზრუნველყოფისაკენ. სტრუქტურული ცვლილებების შედეგად ეკონომიკურ ბრუნვაში უნდა მოექცეს ისეთი ბუნებრივი რესურსები, რომლებიც დამახინჯებული ფასწარმოქმნის გამო აღიქმებოდა როგორც არაეფექტიანი. უნდა შეიქმნას რესპუბლიკის ახალი საექსპორტო ბაზა. სტრუქტურული ცვლილებები უნდა განხორციელდეს მიზანდასახულად. მისი გაგრძელება სტიქიურად, როგორც დღეს ხდება, იწვევს წარმოების დაცემას, მასობრივ უმუშევრობას, დაგროვილი სამრეწველო და სამეცნიერო პოტენციალის ფლანგვასა და დაკარგვას. საჭიროა ისეთი მიზანდასახული სტრუქტურული პოლიტიკის გატარება, რომელიც ხელს არ შეუშლის საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებას და ამავე დროს ეკონომიკის რეკონსტრუქციას მისცემს მართვად ხასიათს.

არასიცოცხლისუნარიანი საწარმოების დახურვას თან უნდა ახლდეს ახალი სამუშაო ადგილების შექმნის პროცესი. ეს უზრუნველყოფს სოციალურ-პოლიტიკურ სტაბილურობასაც.

პირველი რიგის ამოცანები სტრუქტურულ ცვლილებებში — ესაა შეზღუდული საინვესტიციო რესურსების პირობებში ფუნქციონირებისადმი ადაპტაცია. კრიზისის შემდგომი გაღრმავების კვალობაზე საწარმოთა აქტივები და მოსახლეობის ანაბრები მასობრივად უფასურდება. შესაბამისად მცირდება ინვესტიციები. მოუმწიფებელია საფინანსო ბაზარი. არ არსებობენ ეფექტიანი ინსტიტუციონალური ინვესტორები. კაპიტალი არამობილურია, ამიტომაც არაეფექტიანია იმ საინვესტიციო რესურსების გამოყენებაც, რომელიც გაგვაჩნია.

ამდენად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა პროცესი გავხადოთ მართვადი. ამ მიზნით მეტნაკლებად სიცოცხლისუნარიან საწარმოებში უნდა შევინარჩუნოთ სახალხო მოხმარების საგნების წარმოების და დასაქმების დონე, რათა თავიდან ავიცილოთ სოციალური კონფლიქტები. უპერსპექტივო საწარმოების დახურვა უნდა განვახორციელოთ რეგულარულად. უნდა მოვახდინოთ მათ შორის ისეთების სანაცია, რომელთაც შეუძლიათ შეავსონ საბაზრო ეკონომიკას, მინიმალური, მხარდამჭერი ინვესტიციებით უნდა შევინარჩუნოთ ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების ძირითადი ბლოკები, რათა თავიდან ავიცილოთ ტექნოლოგიური და ეკოლოგიური კატასტროფა. ხელი უნდა შევუწყოთ მცირე და საშუალო ბიზნესს, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, სამამულო საქონლის მსოფლიო ბაზარზე გასვლას და ა. შ.

ყველა ეს საკითხი უნდა წყდებოდეს სტაბილიზაციის ღონისძიებების პარალელურად — შესაბამისი საკრედიტო, საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის პირობებში. ვფიქრობთ, შეიძლება განხორციელდეს კერძო ინვესტიციების მხარდამჭერი მიზნით მოგებიდან ინვესტიციებზე წასული ხარჯების დაბეგვრის ზომის შემცირება, საამორტიზაციო ანარიცხების ინდექსაცია, ბანკების მიერ სახელმწიფო გარანტით პრიორიტეტული მიმართულებების დაკრედიტება, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის წახალისება და სხვა. ამასთან საჭიროების მიხედვით სახელმწიფომ უნდა განახორციელოს საჭირო კაპდაბანდებები იმ დარგებში და სფეროებში, რომელთაც პრივატიზება არ ეხება. გამოყენებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული ჩარევაც საგანგებო სიტუაციების დროს, როცა საქმე ეხება სასიცოცხლო მნიშვნელობის კავშირების შენარჩუნებას.

მიმდინარე და პერსპექტიული განვითარების ჭრილში დანახული ეკონომიკური პრობლემების თვალსაზრისით სტრუქტურული პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები თანამედროვე ეტაპზე შეიძლება იყოს სურსათი, სათბობი და ენერგეტიკა, კომუნიკაციები, საცხოვრებელი ბინები.

სტაბილიზაციის შემდეგ პერსპექტივაში, როცა შეიქმნება აუცილებელი ინსტიტუციონალური და მატერიალურ-ფინანსური წანამძღვრები, როგორც მეორე რიგის ამოცანას სტრუქტურულ პოლიტიკაში წარმოადგენს მისი სოციალური ორიენტაციის გაძლიერება, ეკონომიკის პირველადი სექტორიდან (სოფლის მეურნეობა, მომპოვებელი მრეწველობა), აქცენტების გადატანა მრეწველობაზე, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობის მომსახურებასა და ინტელექტუალურ საქმიანობაზე. ალბათ უფრო შორეულ პერსპექტივაში განხორციელდება საქართველოს საექსპორტო პოტენციალური დივერსიფიკაცია, სახელმწიფო უბრალოდ იმპორტს კი არ დაუჭერს მხარს, არამედ იმპორტს, რომელიც ხელს შეუწყობს ტექნიკური დონისა და სამამულო წარმოების საქონლის ხარისხის ამაღლებაში.

8. პრივატიზაცია

ეკონომიკაზე ადმინისტრაციული კონტროლის შემცირების პირობებში საჭიროა რადიკალური ცვლილებები განხორციელდეს საკუთრებით ურთიერთობებში. ამ მიმართულებით დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვს შემდეგი საკითხები:

— მცირე პრივატიზაციის დაჩქარებული ჩატარება, რაც გამოიხატება ვაჭრობის; მომსახურების სფეროს, წვრილი საწარმოების აუქციონის ან კონკურსის წესით გაყიდვაში. მიმდინარე წელს უნდა დაიწყოს მათი პრივატიზაცია.

— წელსვე უნდა დაიწყოს აუქციონებზე ან ტენდერების მოწყობის გზით დაუმთავრებელი ვადაგასული მშენებლობების ნაწილის გაყიდვა.

— დაიწყოს მოსამზადებელი სამუშაოები მსხვილი საწარმოების პრივატიზაციისათვის, მათი სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის გზით. წელსვე უნდა დაიწყოს რიგი მსხვილი საწარმოების სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნა, მათი აქციების გაყიდვით როგორც საპრივატიზაციო საწარმოების მუშაკებისათვის, ასევე აუქციონზე მათი გაყიდვით.

ყოველივე ეს შექმნის საკუთრებითი ურთიერთობების შეცვლის ბაზას. ჩვენი პროგნოზული მონაცემებით შესაძლებელია დაახლოებით 15-20 პროცენტი საშუალო და მსხვილი საწარმოების პრივატიზაციის განხორციელება მომავალ წელს. ეს შექმნის ფართო მოხმარების საგნების და მოსახლეობის სურსათით დაკმაყოფილების რეალურ გარანტიებს, ამავე დროს გარკვეულწილად მოხდება ფასების სტაბილიზაციაც.

ერთობლივი საინვესტიციო საქმიანობა შესაძლებელია განხორციელდეს პრივატიზაციის ჩატარების ჩარჩოებში. საჭიროა შევქმნათ ტრანსნაციონალური სააქციო საზოგადოებები, ჰოლდინგები. ამისათვის უნდა შემუშავდეს მსხვილ საწარმოთა პრივატიზაციის კონკრეტული პროექტები უცხოური ინვესტორების მონაწილეობით. პირველ რიგში უნდა ვიზრუნოთ იმ საწარმოთა პრივატიზაციაზე უცხოელი ინვესტორების მონაწილეობით, რომლებიც მოითხოვენ ტექნოლოგიური ცვლილებების გატარებას და რომელთა პროდუქცია გახდება კონკურენტუნარიანი მსოფლიო ბაზარზე.

— 1993 წლის დამდეგიდან დაიწყება მასობრივი პრივატიზაციის პროცესი. იგი დაფუძნებული იქნება შემდეგ ძირითად პრინციპებზე:

— ფართოდ გავრცელდება უფასო საპრივატიზაციო ბარათები;

— მუშებს მიეცემათ განსაზღვრული წილი საწარმოს საკუთრებაში, აგრეთვე დაუწესდებათ შეღავათები საწარმოს ქონების შეძენისას;

— მკვეთრად შემცირდება შეზღუდვები ცალკეული საწარმოებისა და დარგების პრივატიზაციისათვის.

— მოიხსნება შეზღუდვები უცხოური ინვესტორების მონაწილეობაზე პრივატიზაციის პროცესში;

— განისაზღვრება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზაციის წესი.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტიმულირებისა და სოფლის მეურნეობაში პრივატიზაციის პროცესის გავრცელების მიზნით მოხდება კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა აბსოლუტური უმეტესობის ლიკვიდაცია, ხოლო დარჩენილი ნაწილის რეორგანიზაცია განხორციელდება ახალ სამეურნეო საფუძველზე.

განვლილ პერიოდში შესრულებულია საკმაო სამუშაო სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის მომზადებისა და მისი დაწყებისათვის. შედგენილია საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა, მთავრდება მუშაობა საკანონმდებლო და ნორმატიულ აქტებზე. სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტმა ფაქტობრივად დაამთავრა ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნის პროცესი.

ამასთან შეიმჩნევა გარკვეული ძალების მხრივ პრივატიზაციის პროცესის ბლოკირების მცდელობა და მისი, რაც შეიძლება გაჭიანურება სახელმწიფო ქონების ფარულად ხელში ჩაგდების მიზნით. არის უამრავი ფაქტები თანამდებობის პირთა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებისა.

მმართველობითი სტრუქტურები სხვადასხვა მიზეზის გამო აჭიანურებენ სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტზე გასაყიდი ობიექტების ნუსხის გადაცემას. მიუხედავად კომიტეტის არაერთგზის მიმართვისა, ზოგიერთმა სამინისტრომ, ქალაქის მერიამ დღემდე ვერ უზრუნველყო იმ ობიექტების ნუსხის შედგენა, რომლებიც უნდა იქნეს უახლოეს პერიოდში გატანილი გასაყიდად პირველ აუქციონზე.

არის სხვა სახის დარღვევებიც.

ყოფილი საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ქონება, რომელიც გადმოეცა ჩვენს რესპუბლიკას და რომლის სამოქალაქო გამოყენებაა შესაძლებელი, პრივატიზაციის პროცესიდან ამოვარდნილია. ეს ქონება ისე იმალება, თითქოს არც კი იყოს სახელმწიფო ქონების ნაწილი და არ ვრცელდებოდეს მასზე ამ სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის კომპეტენცია. გარდა ამისა, ხდება ზოგიერთი სამოქალაქო პროდუქციის მწარმოებელი ფაბრიკა-ქარხნების თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლა, რაც ყოფილ საბჭოთა კავშირში არსებული სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მსგავსი მოვლენის დამკვიდრების მცდელობაა.

ასეთმა ნაბიჯებმა შეიძლება ჩაუყაროს საფუძველი მილიტარისტულ, საზოგადოებრივი კონტროლიდან გამოსულ მეურნეობას, რომელიც თავისი არაეფექტური საქმიანობით უზარმაზარ ტვირთად დააწვება მხრებზე მთელს მოსახლეობას.

სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტი პასიურად მოქმედებს, ვერ იყენებს კანონით მინიჭებულ უფლებებს და ქონების განიავების პროცესის გარეშე მეთვალყურის როლში გვევლინება. ამასთან, არც მთავრობა იჩენს სათანადო ყურადღებას ამ უწყების მიმართ, რომელსაც დღემდე არ გააჩნია სამუშაო შენობა, რის გამოც ფაქტობრივად პარალიზებულია მათი მუშაობა.

9. აგრარული რეფორმა

საქართველოში მიმდინარე აგრარული რეფორმის არსია აგრარული სექტორის ძირეული გარდაქმნა მიწასა და წარმოების სხვა საშუალებებზე კერძო საკუთრების დამკვიდრების, მეწარმეობის გაშლისა და აგრარულ სფეროში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საფუძველზე.

აგრარული რეფორმის ძირითადი მიმართულებებია: მიწის რეფორმა; ინსტიტუციონალური ცვლილებები სოფლის მეურნეობაში კერძო სექტორის განვითარების საფუძველზე; აგროსამრეწველო კომპლექსის სამრეწველო და მომსახურე დარგებში პრივატიზება და დემონოპოლიზაცია; საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნა აგროსამრეწველო კომპლექსში; სოციალური ცვლილებები სოფლად.

აგრარული რეფორმა არ არის ერთჯერადი აქტი. ის ეტაპობრივად განხორციელდება რამდენიმე წლის განმავლობაში. ამჟამად საქართველოში ხორციელდება აგრარული რეფორმის პირველი ეტაპი, რომლის ფარგლებში დასრულდება მიმდინარე მიწების პრივატიზება; მოხდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ლიკვიდაცია-რეორგანიზაცია; შეიქმნება გლეხური (ფერმერული) მეურნეობები, სააქციო საზოგადოებები, სამრეწველო და სერვისის ფირმები; შეიქმნება გადამამუშავებელი ვაჭრობის, აგროსერვისის და აგრობიზნესის სხვა სექტორებში საბაზრო სტრუქტურები. აგრარული რეფორმის მეორე ეტაპზე ჩამოყალიბდება კერძო საწარმოთა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მომარაგებას წარმოების საშუალებებით, მათ მომსახურებას, მათი პროდუქციის გადამუშავებასა და რეალიზაციას.

აგრარულ რეფორმაში უმთავრესი ელემენტია მიწის რეფორმა. ეს არის რეფორმის ის მიმართულება, რომელიც საქართველოში სწრაფად მიმდინარეობს.

რესპუბლიკის 56 რაიონში დაიწყო, მიმდინარეობს და ზოგან უკვე დამთავრდა მიწის რეფორმის პირველი ეტაპის სამუშაოები.

რესპუბლიკაში უკვე შერჩეული და გაცემულია 360 ათასი ჰექტარი მიწა (ძირითადად სახნავი და მრავალწლოვანი ნარგავები), რაც რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის საწარმოებზე რიცხული სახნავისა და მრავალწლოვანი ნარგავების საერთო ფართობის (920,9 ათასი ჰექტარი) 39 პროცენტს შეადგენს. მიწის რეფორმის პირველი ეტაპის სამუშაოები ძირითადად დამთავრებულია: თერჯოლის რაიონში, სადაც მოსახლეობაზე გაცემულია 8 ათასი ჰექტარი მიწა. რაც რაიონში საზოგადოებრივ მეურნეობებზე რიცხული სახნავი და მრავალწლოვანი ნარგავების ფართობის 86 პროცენტია, ახმეტაში — 8720 ჰექტარი (საერთო ფართობის 20 პროცენტი), საგარეჯოში — 8850 ჰექტარი (22 პროცენტი), თელავში — 12800 ჰექტარი (81 პროცენტი), დედოფლისწყაროში — 4000 ჰექტარი (8 პროცენტი), გორში — 7400 ჰექტარი (17 პროცენტი), ასპინძაში — 4700 ჰექტარი (87 პროცენტი), მცხეთაში — 4400 ჰექტარი (81 პროცენტი), ბორჯომში — 750 ჰექტარი (19 პროცენტი); წყალტუბოში — 4000 ჰექტარი (26 პროცენტი), თეთრ წყაროში — 8000 ჰექტარი (40 პროცენტი), ხაშურში — 6000 ჰექტარი (50 პროცენტი), დუშეთში — 1700 ჰექტარი (17 პროცენტი), გარდაბანში — 4680 ჰექტარი (11 პროცენტი) და ა. შ.

მიწის რეფორმის სამუშაოები არასწორად წარმართეს და ამ ღონისძიების ჩატარება შემდგომისათვის გადადეს ყვარლის, გურჯაანის, ახალგორის, სიღნაღის, ლაგოდეხის, ზესტაფონის, ახალქალაქის რაიონებმა. შეფერხებით აწარმოებენ რეფორმის სამუშაოებს ბაღდათის, ტყიბულის, ცაგერის, ამბროლაურის რაიონები. საერთოდ არ დაწყებულა მიწის რეფორმის სამუშაოები აფხაზეთში და სამეგრელოს ზონის ზოგიერთ რაიონში.

რეფორმის მიმდინარეობას ხელს უშლის მრავალი საკითხის მოუგვარებლობა. პირველ რიგში ეს ეხება მიწასთან დაკავშირებული ურთიერთობების რეგულირების სამართლებრივ და ეკონომიკურ მხარეს. ამ მიზნით პირველი რიგის ამოცანებია: მიწის გადასახადის შემოღება; მიწაზე ყიდვა-გაყიდვის შეზღუდვის მოხსნა; მიწის ბაზრის ფორმირებისათვის მზადება (მიწის ეკონომიკური შეფასებისა და მიწის საბაზრო ფასის განსაზღვრის უზრუნველყოფა); საადგილმამულო ბანკის შექმნა და საიპოთეკო კრედიტის შემოღება; მიწის ნაკვეთის გაყიდვაზე გადასახდელის შემოღება; მიწის მონიტორინგის შემოღება მიწათსარგებლობის სტრუქტურაში ცვლილებებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ხარისხისა და რაოდენობის ცვლილებებისათვის ზედამხედველობის მიზნით, ეკონომიკური სანქციების მექანიზმის შემოღება მიწათსარგებლობის სფეროში ეკოლოგიური დარღვევებისათვის და მატერიალური წახალისების სისტემის დანერგვა მიწის ნაყოფიერების ამაღლებისათვის და სხვ.

არის სხვა მოუგვარებელი პრობლემებიც. ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული ნორმატიული აქტები იმ მეურნეობების ქონების პრივატიზაციის წესის შესახებ, რომელთაც ფაქტობრივად აღარ რჩებათ საზოგადოებრივი მიწები, ან რჩებათ ძალზე მცირე მოცულობით. მათი ფერმებისა და სხვა საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობების, პირუტყვის, ტექნიკის, მრავალწლოვანი ნარგავებისა და ნათესების შეფასებისა და გასხვისების საკითხი ჯერ კიდევ გაურკვეველია. აღნიშნული საკითხების მოსაგვარებლად საჭიროა სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტმა, სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის, ფინანსთა სამინისტროებმა, მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის კომიტეტმა, სხვა დაინტერესებულმა სამინისტროებმა და უწყებებმა უმოკლეს დროში შეიმუშაონ შესაბამისი ნორმატიული აქტები.

მიუხედავად ზემოაღნიშნული ნაკლოვანებებისა, უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკაში მიწის რეფორმის პირველი ეტაპის სამუშაოები მეტნაკლებად დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

10. ანტიმონოპოლიური რეგულირება და კონკურენტული გარემოს შექმნა

თავისუფალი ფასწარმოქმნის პირობებში, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციის პოლიტიკის აქტიურ განხორციელებას. სწორად გააზრებული და თანამიმდევრული სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციის პოლიტიკა წარმოადგენს იმ საფუძველს, რომელზეც უნდა აღმოცენდეს და განვითარდეს კონკურენცია მეწარმეთა შორის, როგორც თავისუფალი ფასების ბუნებრივი და ამასთან ეფექტიანი და უნივერსალური რეგულატორი.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის კონკრეტული მდგომარეობიდან გამომდინარე, დემონოპოლიზაციის პოლიტიკის აქტიური განხორციელება იმითაც არის ობიექტურად აუცილებელი, რომ ის საშუალებას მოგვცემს განვახორციელოთ მართვის უაღრესად ცენტრალიზებული სისტემის რაციონალიზაცია მართვის შუალედური რგოლების გაუქმების გზით. მართვის შუალედური რგოლები ხშირად გვევლინებიან მეურნეობის ძირეულ რგოლებში წამოწყებული საქმიანი ინიციატივის განვითარებისა და დამკვიდრების ადმინისტრაციულ ბიუროკრატიული ბარიერის როლში. აღსანიშნავია ისიც, რომ მაშინ, როდესაც სამინისტროების და სხვადასხვა სახის სამთავრობო უწყებების რიცხვი უაღრესად დიდია, ჩვენთან არსებობს ხელოვნურად შექმნილი სახელმწიფო კონცერნების, ასოციაციების და გაერთიანებების მთელი წყება, რომლებიც თავიანთი პარამეტრებით და მათში დამკვიდრებული მართვის მეთოდებით პრაქტიკულად არაფრით არ განსხვავდებიან ჩვეულებრივი დარგობრივი სამინისტროებისაგან. ასეთი სახელმწიფო მონოპოლიების აბსოლუტური უმრავლესობა შექმნილია ხელოვნურად, სადაც აზრის და მათში შემავალი საწარმოების და სხვა სტრუქტურული ერთეულების სურვილის გაუთვალისწინებლად. პრაქტიკულად შეუძლებელია აღნიშნულ სახელმწიფო კონცერნებში, ასოციაციებში და გაერთიანებებში სახელმწიფო ქონების განკარგვის პროცესზე ეფექტიანი კონტროლის დაწესება და მით უმეტეს მისი ეფექტიანი მართვა. აქედან გამომდინარე, საქართველოში სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მომზადდეს ხელსაყრელი სასტარტო პირობები ფართომასშტაბიანი პრივატიზაციის დასაწყისისათვის.

მთავრობა შეუდგა ანტიმონოპოლისტური პოლიტიკის ფორმირებას. ამ პოლიტიკის რეალიზაციის პირველი ეტაპი, რომელიც უკვე დაწყებულია, ითვალისწინებს:

— ძველი მმართველობითი სტრუქტურების ბაზაზე წარმოქმნილი ჰორიზონტალური გაერთიანებების (კონცერნი, ასოციაცია, ჰოლდინგი და ა. შ.) დანაწევრებას;

— მსხვილი სამეურნეო სუბიექტების თვითდაყოფის ხელშეწყობას, მათ შორის პრივატიზაციის გზით;

(დასასრული მე-5 გვ.).

საქართველოს რესპუბლიკაში ეკონომიკური რეფორმის მიმდინარეობის შესახებ

(დასასრული)

— ანტიმონოპოლიურ მოთხოვნათა გათვალისწინებას ახალი გაერთიანებების შექმნისას და ექსპორტ-იმპორტის პოლიტიკის ფორმირების პროცესში;

— ანტიმონოპოლიური პოლიტიკის საკანონმდებლო ბაზის დახვეწას და შემდგომ განვითარებას;

მთავრობის ანტიმონოპოლიური პოლიტიკა არ ითვალისწინებს ერთი ზემოდან დადგენილი შაბლონის მიხედვით ყველა ამჟამად არსებული სახელმწიფო კონცერნის, ასოციაციის და გაერთიანების შემდგომი ფუნქციონირების საკითხის გადაწყვეტას. საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, დეპარტამენტებს და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს უფლება მიეცათ საქართველოს რესპუბლიკის — „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების" კანონის მოთხოვნათა მკაცრად დაცვის საფუძველზე ყოველი კონკრეტული სახელმწიფო კონცერნის, ასოციაციის თუ გაერთიანების შემდგომი ფუნქციონირების მიზანშეწონილობის საკითხის განხილვისას მიიღონ მაქსიმალურად ოპტიმალური გადაწყვეტილება. ერთი სიტყვით, გარანტირებულია პრობლემის ოპტიმალურად გადაწყვეტის პირობები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სადღეისოდ მხოლოდ ერთ სამინისტროზე (მრეწველობის სამინისტრო) შეიძლება ითქვას, რომ იგი თანამიმდევრულად ახორციელებს მთავრობის აღნიშნულ დადგენილებას. პროცესი დაწყებულია არქიტექტურისა და მშენებლობის სამინისტროში, თუმცა ბოლო პერიოდში მან ნეგატიური ფორმა შეიძინა.

საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტრომ გააუქმა მასში შემავალი კონცერნები და ამასთანავე მრეწველობის დარგებში ურთიერთკოორდინაციისა და დარგობრივი კოოპერაციის განხორციელებისას სამინისტროს მიერ საწარმოებსა და ორგანიზაციებს მიეცათ რეკომენდაცია ნებაყოფლობით გაერთიანებულიყვნენ ახლად შექმნილ კორპორაციებში. მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა ნებაყოფლობით გაერთიანების საფუძველზე ყალიბდება კორპორაციები, ხოლო ზოგიერთმა საწარმომ და ორგანიზაციამ უარი განაცხადა აღნიშნულ კორპორაციებში გაერთიანებაზე და შევიდნენ სამინისტროს უშუალო დაქვემდებარებაში, როგორც დამოუკიდებელი სამეურნეო სუბიექტები.

ასევე რეორგანიზებულ იქნა ზოგიერთი მსხვილი საწარმოო გაერთიანება, როგორიცაა ქუთაისის სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანება (მის ბაზაზე შეიქმნა 5 დამოუკიდებელი საწარმო), გორის სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანება (შეიქმნა 4 დამოუკიდებელი საწარმო), წყალტუბოს სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანება (4 დამოუკიდებელი საწარმო) და სხვ.

კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროში ხდება სხვადასხვა სახის გაერთიანებებისა და საწარმოების დემონოპოლიზაცია, თუმცა ეს პროცესი მეტად დუნედ მიმდინარეობს.

ტრანსპორტის სამინისტროს სისტემაში მიმდინარეობს სტრუქტურული რეორგანიზაციის ღონისძიებები.

დემონოპოლიზაციის პროცესი არადამაკმაყოფილებელია თითქმის ყველა სამინისტროში.

ასევე გადაუწყვეტელია ეს საკითხები ცეკავშირის სისტემაში.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში მართვის ადმინისტრაციული სტრუქტურების ლიკვიდაციისა და თავისუფალი კონკურენციისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით გაუქმდა რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელმწიფო კონცერნი „საქყოფსერვისი" და თბილისის მერიასა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს მიეცათ მითითება მოეხდინათ კონცერნის დაქვემდებარებაში მყოფი საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების ტერიტორიული ნიშნის მიხედვით ბალანსიდან ბალანსზე მიღება. არსებული ინფორმაციის თანახმად ეს პროცესი არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

სხვა სამინისტროებში რაიმე მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებანი არ მომხდარა. ნაწილობრივ, ეს გამოწვეულია საკანონმდებლო-მეთოდური მასალების უქონლობით, ხოლო უმეტეს შემთხვევაში მმართველობითი სტრუქტურების პასიურობით, საკითხთა განხილვის გაჭიანურებით, არსებული შუალედური რგოლების შენარჩუნების მცდელობით.

დარგობრივ სამინისტროთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ დაიკავა აშკარად ორჭოფული პოზიცია. ისინი არათუ წინ აღუდგნენ მმართველობის შუალედური რგოლების მძაფრ წინააღმდეგობას, მიმართულს დემონოპოლიზაციის განხორციელების ჩასაშლელად, არამედ ხშირად აშკარად თუ ფარულად მხარს უჭერენ მათ უკანონო ქმედებებს. ადგილი აქვს ყველა შესაძლო მეთოდის და საშუალების აქტიურ გამოყენებას დემონოპოლიზაციის პრაქტიკულად განხორციელების ჩაშლის მიზნით:

— ხდება იმ საწარმოთა ხელმძღვანელების თანამდებობიდან განთავისუფლება, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს კონცერნებიდან და სხვა სახის გაერთიანებებიდან გასვლის შესახებ. პარალელურად ხორციელდება ფსიქოლოგიური დაწოლა ამ საწარმოთა მუშაკებზე მიღებული გადაწყვეტილების შეცვლის მიზნით და თუ ეს უშედეგოდ მთავრდება, მაშინ ამ მუშაკებს ითხოვენ სამსახურიდან;

— მონოპოლიური გაერთიანებებიდან გამავალ საწარმოს ართმევენ მის ბალანსზე არსებული ქონების ისეთ მნიშვნელოვან ნაწილს, რომ საერთოდ შეუძლებელი ხდება საწარმოს ნორმალური ფუნქციონირება.

ზოგიერთი სამინისტრო დემონოპოლიზაციის პროცესების თავიდან აცილების ან შეფერხების მიზნით საბაბად იყენებს საერთო ვალების და სხვა აქტივების და პასივების გაყოფის გარკვეულ სირთულეს, მაგრამ ამასთან ერთად ფორსირებულად და დიდი აზარტით (რაც მთავარია, სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე) გასცემს სახელმწიფო ქონებას იჯარით გამოსყიდვის უფლებით და თან იჯარით გაცემული სახელმწიფო ქონების ღირებულების შეფასება როგორც წესი ხდება დარღვევებით.

სამეურნეო საქმიანობის დეკონცენტრაციისა და დემონოპოლიზაციის რაციონალური პროცესის წარმართვას აფერხებს აგრეთვე საბანკო-საანგარიშსწორებო მომსახურების ქსელის არასაკმარისი განვითარება, სამეურნეო რგოლებში აღრიცხვა-ანგარიშგების მუშაკთა ნაკლებობა და დაბალი კვალიფიკაცია.

ამჟამად მთავრობის მიერ მომზადებულია ზოგიერთი ნორმატიული აქტი, რომელთა შედგენისას გათვალისწინებულ იქნა სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციის განხორციელების საქმეში უკვე დაგროვილი საწყისი გამოცდილება და რომელთა მიღებითაც, ვიმედოვნებთ, მაქსიმალურად მოვაწესრიგოთ და გავამარტივოთ მონოპოლიური გაერთიანებებიდან საწარმოთა თავისუფლად გასვლის პროცესი.

კერძოდ, გათვალისწინებულია სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ საერთო კონტროლის დაწესება სახელმწიფო ქონების მოძრაობაზე მონოპოლიურ გაერთიანებათა დაშლის დროს, დარგობრივი სამინისტროსა და ქონების მართვის კომიტეტის ერთობლივი მუშაობა მონოპოლიური გაერთიანებებიდან იურიდიული სტატუსის არმქონე სტრუქტურული ერთეულის გამოყოფის და მის დამოუკიდებელ იურიდიულ პირად ჩამოყალიბების საკითხის გადაწყვეტისას და ა. შ.

11. რეფორმის ხელისშემშლელი სუბიექტური ფაქტორები

საქართველოში არ არსებობს ეკონომიკური რეფორმის გატარების ერთიანი ცენტრი. მიუხედავად იმისა, რომ ფუნქციონირებს ეკონომიკური რეფორმის შტაბი, ძირითადად იგი მხოლოდ ზოგადად თუ უძღვება რეფორმის მიმდინარეობას, რადგან მისი უფლებამოსილების საკითხი შეზღუდული სფეროთი შემოიფარგლება, აღმასრულებელ ხელისუფლებაში არ არსებობს კონკრეტული პასუხისმგებელი პირი. რეფორმის მიმდინარეობისას (თუმცა ფორმალურად ეს ფუნქცია ეკისრება რეფორმის შტაბის თავმჯდომარეს) ეკონომიკის სფეროში სამთავრობო დონეზე ფუნქციები არაა მკვეთრად გამიჯნული და არ არის რეალურად თავმოყრილი ერთი ადამიანის ხელში საფინანსო, სავალუტო, საკრედიტო, საბანკო სისტემის კოორდინაცია, მაკროეკონომიკური პოლიტიკის სფეროში ყველა უფლებამოსილება დარგობრივ და რეგიონულ ჭრილში. სწორედ ამის შედეგი გახლავთ, რომ მთავრობა, სამინისტროები და უწყებები ღებულობენ საბაზრო ეკონომიკის ძირითადი მიმართულებების საპირისპირო, ხშირად აშკარად ურთიერთგამომრიცხავ გადაწყვეტილებებს.

მთავრობაში არ არის პრინციპული თანხმობა რეფორმის სტრატეგიული კურსის საკითხებში. ეკონომიკური რეფორმა ყველას თავისებურად ესმის. მთავრობის კაბინეტის წევრთა წარმოდგენები საბაზრო ეკონომიკაზე იმდენად განსხვავებულია, რომ ამგვარი კონცეპტუალური ეკლექტიზმის პირობებში შეუძლებელია ერთიანი პოლიტიკის გატარება. კონცეპტუალურ დაბნეულობას და ხშირ შემთხვევაში წარსული წარმოდგენების ტყვეობაში ყოფნას მოსდევს სამთავრობო დონეზე მიღწეული პროგრესული გადაწყვეტილებების რევიზია სამინისტროებისა და უწყებების მიერ, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს წინსვლას. თითქმის იშვიათია, რომ ქვემოდან მოდიოდეს რაიმე წინადადება რადიკალური ცვლილებების მოთხოვნით, ზემოდან მიღებულ გადაწყვეტილებებს კი ინდიფერენტულად ხვდებიან.

ყოველივე ამის შედეგად მთავრობის მიერ მიღებული მრავალი დადგენილება, მათ შორის სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციისა და დეცენტრალიზაციის შესახებ, ფასების თავისუფლების შესახებ და სხვა, ფაქტობრივად შეგნებულად ბლოკირებული აღმოჩნდა.

ეკონომიკის რეფორმის გატარებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემშლელი ფაქტორია, წინააღმდეგობა სახელმწიფო და სამეურნეო ადმინისტრაციული მმართველობის ბიუროკრატიული და კორუმპირებული ნაწილის მხრივ. მათი ინტერესები მჭიდროდაა გადაჯაჭვული რეფორმის პროცესზე, იმდენად, რამდენადაც სახელმწიფო ქონებაზე კონტროლის დაკარგვა, მესაკუთრეთა ახალი ფენის გაჩენა, მათი შემოსავლების წყაროს მოსპობის ტოლფასია.

დასკვნა

როგორც უნდა შევხედოთ მოვლენებს, ოპტიმისტურად თუ პესიმისტურად, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, გვაკმაყოფილებს თუ არ გვაკმაყოფილებს მიმდინარე პროცესების სიღრმე და ტემპი, ერთი რამ ცალსახად ნათელია: საქართველოში რადიკალური ეკონომიკური რეფორმა დაიწყო. მისი ათვლის წერტილად შეგვიძლია ჩავთვალოთ 1992 წლის პირველი ნახევარი, როცა დაიწყო მიწებისა და საცხოვრებელი ბინების კერძო მფლობელობაში გადაცემის პროცესი და ფასების ლიბერალიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი მიმდინარეობდა არა საკუთარი სცენარით, არამედ, როგორც რუსეთში, მიღებულ გადაწყვეტილებებზე იძულებითი ზომების სახით, რაც დიდ სოციალურ სიძნელეებს გვიქმნიდა და დღემდე გვიქმნის. შეიძლება ითქვას, რომ ფასების მოწესრიგება და მისი თანდათანობით მსოფლიო ფასების სტრუქტურასთან დაახლოება იყო რეფორმის პერიოდში გადამწყვეტი მნიშვნელობის მოვლენა, ახალი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებაში ბიძგის მიმცემი ფაქტორი. ამჟამად საბითუმო და საცალო ფასების 80-90 პროცენტი თავისუფალია, რამაც მოგვცა უმოკლეს დროში მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობის დამყარება. ასევე მყარდება წონასწორობა სამომხმარებლო ბაზრის სექტორის დიდ ნაწილში.

თანდათან ქრება გეგმიანი მეურნეობისათვის დამახასიათებელი ისეთი მოვლენა, როგორიცაა დეფიციტი. გარდა ზოგიერთი დასახელების, საქონლისა (შაქარი, ბენზინი, საცხოვრებელი ბინები და სხვა), დეფიციტი თითქმის აღმოფხვრილია. დღეს ყველაფრის ყიდვა შეიძლება, თუმცა ჯერჯერობით რა თქმა უნდა, ძალზე მაღალ ფასებში. წონასწორობის დამყარება მოთხოვნასა და მიწოდებას შორის მიღწეულ იქნა ფასების უზარმაზარ ზრდასა და მოსახლეობის შემოსავლების მკვეთრად დაცემის პირობებში.

გაჩნდა პირველი სიმპტომები ჩვენთვის უცხო ტენდენციისა. ესაა ე. წ. „ჭარბწარმოების კრიზისი". საწარმოებს უჭირთ საქონლის რეალიზაცია. დაიწყო საბაზრო მეურნეობისათვის დამახასიათებელი „გასაღების კრიზისი". ამ კრიზისიდან გამოსავალი არის მხოლოდ ორი: სამეურნეო სუბიექტების ან მასობრივი გაკოტრება, ან ფასების შემცირება მათ მიერ წარმოებულ პროდუქციაზე. მონოპოლიზმის შესუსტება. ამ მხრივ მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს ექსპორტისა და იმპორტის ლიბერალიზაცია. ჩვენი საწარმოების საგარეო-ეკონომიკური აქტივობა ხელს შეუწყობს შიდა კონკურენციული ბაზრის ჩამოყალიბებას.

როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, გეგმიანი ეკონომიკური სისტემიდან საბაზრო მეურნეობაზე გადასვლის ლოგიკა ისეთია, რომ პირველ წლებში იგი ძალზე მძიმეა მრავალი სოციალური ფენისათვის. მაგრამ ყველა მძიმე პერიოდმა საქართველოში, ჩვენი აზრით, უკვე განვლო. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ დარგში კვლავაც არის მოსალოდნელი წარმოების მოცულობის შემცირება, მისი უარყოფითი შედეგები ძირითადად კომპენსირებული იქნება სტრუქტურული მოდერნიზაციის შედეგად და ახალი სფეროების, განსაკუთრებით მცირე ბიზნესის გააქტიურებით. იმედი გვაქვს, უახლოეს მომავალში მალე შეიქმნება ისეთი პირობები, რომელიც მიიზიდავს დიდძალ უცხოურ ინვესტიციებს საქართველოში.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

28 ივლისს გაიმართა ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა, რომელსაც უძღვებოდა მისი თავმჯდომარე მერაბ ალექსიძე.

განიხილეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 26 ივლისის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის შესახებ. ცნობად იქნა მიღებული სახელმწიფო საბჭოს ეს გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც 8 აგვისტომდე შეჩერებულია დეპუტატობის კანდიდატთა წარდგენება.

საარჩევნო ბლოკების რეგისტრაციის საკითხის განხილვისას ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომამ იმსჯელა რეგისტრირებულ ბლოკებში ახალი პარტიების გაერთიანების თაობაზე.

სხდომაზე კვლავ განიხილეს საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის საკითხი. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო ინფორმაცია ჩვიდმეტი საოლქო საარჩევნო ოლქიდან კომისიის წევრების გამოცხადების შესახებ. იმ წევრებს, რომლებიც სისტემატურად არ ესწრებიან საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომებს, რის გამოც ვერ იკრიბება ფორუმი და შეუძლებელი ხდება საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ფარული კენჭისყრით შეუწყვიტა უფლებამოსილება საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების დებულების უხეში დარღვევის საფუძველზე და გამოიყვანა საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობიდან.

მცირე განმარტება

როგორც ქართული ფულის სამთავრობო კომისიიდან შეგვატყობინეს: გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ა. წ. 28 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუში ბატონ ნოდარ მალაზონიასთან, ქართული ფულის დაბეჭდვასთან დაკავშირებით მოცემული ზოგიერთი ინფორმაცია მოითხოვს დაზუსტებას. კერძოდ, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ არ არის გადაწყვეტილი, თუ რომელი ფირმა დაბეჭდავს ქართულ ფულს. გარდა ინტერვიუში ნახსენები ფრანგული ფირმა „ობერტურისა" არის აგრეთვე წინადადებები მსოფლიოს შვიდი უდიდესი ფირმისაგან, რომელთაგან ყველაზე ხელსაყრელი ვარიანტის არჩევა მოხდება კონკურსის საფუძველზე. ასევე არ არის გადაწყვეტილი, თუ მხატვართა რომელი ჯგუფის ნამუშევარი იქნება მიღებული ქართული ფულის დაბეჭდვის საფუძვლად, რადგან, პარალელურად მუშაობენ სხვა შემოქმედებითი ჯგუფები. მათ შორის ბატონ ელგუჯა ამაშუკელის ხელმძღვანელობით.

ფულის საუკეთესო ნიმუშებს განსაზღვრავს სპეციალური კომისია კონკურსის საფუძველზე.

წერილი რედაქციას

თქვენი გაზეთის 21 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა ბატონ ლევან ციცქიშვილის სამართლიანი რეპლიკა „კეისარს კეისრისა", მე ის ტელეგადაცემა არ მომისმენია, არ ვიცი, შესავალ სიტყვაში დიქტორმა რა ილაპარაკა, მაგრამ უფლება არ მაქვს არ გავიზიარო ბატონ ლევან ციცქიშვილის სამართლიანი საყვედური.

შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და ქველმოქმედის დავით სარაჯიშვილის სახლი შეისყიდა ასევე შესანიშნავმა პატრიოტმა და საზოგადო მოღვაწემ აკაკი ხოშტარიამ, და შემდგომში მწერალთა კავშირს აჩუქა. შენობას ამშვენებს შესაბამისი მემორიალური დაფა.

არცთუ დიდი ხნის წინ შეიქმნა დავით სარაჯიშვილის სახელობის საზოგადოება (პრეზიდენტი — გ. გუჯეჯიანი), რომელიც აპირებს მოაწყოს დავით სარაჯიშვილის მუზეუმი. ჩვენი თხოვნით ამ მუზეუმში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა აკაკი ხოშტარიას ცხოვრებისა და საზოგადო საქმიანობის ამსახველ მასალებს.

რაც შეეხება თქვენი გაზეთის 15 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულ წერილს „აქ რობაქიძის მუზეუმი იყოს", მოგახსენებთ, რომ შექმნილია გრიგოლ რობაქიძის საზოგადოება, რომლის კომპეტენციაც გახლავთ მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი.

გურამ ფანჯიკიძე.

კარლო გოგსაძე

საზრისი

გზა — საიდან საით?

ადამიანის ლტოლვამ თვითდამკვიდრებისადმი, თავისუფლებისადმი საბედისწერო ზღვარს მიაღწია. ადამის მოდგმამ თავი აიწყვიტა. მოაზროვნეებმა დიდი ხანია შეამჩნიეს და თქვეს, რომ „ღმერთი მკვდარია". ხოლო თუ ღმერთი მკვდარია, მაშინ ყველაფერი დასაშვებიაო. ადამიანის სწრაფვანი — ეს არის სწრაფვა გაადამიანებისკენ. ეს ისეთი შინაგანი პროცესია, რომელსაც ვერარა ძალა ვერ შეაკავებს. ადამიანმა გამოიარა და თავი დააღწია აკრძალვათა ინკვიზიტორულ სისტემებს. ადამიანის სისხლმა ლამის ზეცაც დალაქოს (მიწა ხომ გაჟღენთა), მაგრამ იგი მაინც კვლავ უაზროდ იღვრება ცოდვილი პლანეტის ყველა კუთხეში. სისხლის წყურვილის მსოფლიო ვნებათაღელვაში ჩათრეულია საქართველოც, რომელსაც წარამარა ახსენებენ საინფორმაციო სააგენტოები სამოქალაქო ომისა და ეთნოკონფლიქტების კონტექსტით.

ყოველდღე ვუყურებთ ტელეეკრანებიდან ძალადობის, აგრესიის, ძალის დემონსტრაციის, სექსუალურ სცენებს. ვუსმენთ მუსიკალური საკრავებით ახმიანებულ ველურ ბგერებს, სუპერმოდერნისტული ანსამბლების გამოსვლებს, რომლის ფონზე ყველაფერი იმსხვრევა და იწვის, ადამიანთა ამ ისტერიული კონვულსიების იქით აღარ მოჩანს მშვენიერების პერსპექტივა. ეს დასასრულის ავბედითი ნიშანია. მაგრამ ეს ადამიანის გაადამიანების დღევანდელი ეტაპის პასუხებიც არის. ეს არის ადამიანი, რომელსაც სურს თავისი თავი აჩვენოს აქამდე გამოუვლენელი რაკურსებით.

თუმცა ადამიანს არ შეუძლია ულმერთოდ, უიდეალოდ ცხოვრება, მაინც მის კულტურულ მოღვაწეობაში სატანა მძლავრობს და არა ღვთიური საწყისი. ქრისტიანობა გვიქადაგებს შვიდ ნიჭს სულისა წმიდისა (შიშს ღვთისა, ღვთისმოსაობას, გულისხმის ყოფას, სიბრძნეს და სხვ.), ცხრა ნაყოფს სულისა წმიდისა (სიყვარულს, მშვიდობას, სულგრძელობას, მყუდროებას, მოთმინებას და სხვ.), ათ მცნებას (არა კაც ჰკლა, არა იმრუშო, არა იპარო, არა ცილისწამო, არა გული გითქმოდეს რაიმესათვის მოყვასისა შენისა და სხვ.). გავიხსენოთ კიდევ ცხრა ნეტარება (ნეტარ იყვნენ გლახაკნი, მშვიდნი, რომელთა შიოდეთ და სწყუროდეთ, დევნილნი სიმართლისათვის და სხვ.). ქრისტიანობა შვიდ მომაკვდინებელ ცოდვად რაცხს: ამპარტავნებას, ანგარებას, სიძვას, მრისხანებას, ნაყროვანებას, შურს, უსასობას.

ჩავუკვირდეთ ახლა ყოველივე ამას და განვსაჯოთ, შეძლებდა თუ არა ადამიანი შეექმნა ცივილიზაციის დღევანდელი საოცრებანი, მიეღწია ყოფაცხოვრების თანამედროვე კომფორტისათვის ამ „ნიჭებით", „მცნებებით", „ნაყოფნით" (რომელთაც მე სრულებითაც არ ვამცირებ), შეძლებდა თუ არა ასე ეცხოვრა, რომ ის შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა არ ჩაედინა. ჩანს, შემოქმედება სატანურია (როგორი მუზმანური და ზნეობრივი იდეითაც უნდა იყოს იგი ინსპირირებული), ღმერთი კი შემაკავებელი, გამაწონასწორებელი ძალაა. ჭიდილში საბოლოოდ სატანურმა ძალამ სძლია ღვთიურს. ამიტომ ჩავარდა კაცობრიობა ცოდვათა ბენიაში.

რა არის თანამედროვე საზოგადოებაში რელიგია და ეკლესია? იგი ყოველნაირად ცდილობს თან დაიცვას თავისი ტრადიცია, თანაც შეეგუოს კიდეც შექმნილ ვითარებას (ეს უფრო ნათლად ჩანს კათოლიციზმში). მისი გავლენა დღევანდელ საზოგადოებაზე, მასებზე შეიძლება მხედველობაში არც მივიღოთ, ვინაიდან მხოლოდ ფორმალური და არაარსებითია. თუ კაცობრიობა გაჰყვებოდა ქრისტიანული რელიგიის ორთოდოქსულ დოგმებს და მცნებებს, მაშინ იგი იცხოვრებდა სიყვარულის, სიმშვიდის, წონასწორობის, მოთმინების, დათმობის ვითარებაში, მაგრამ მატერიალურად — ღატაკად ან ნახევრად ღატაკად; ანდა იმას ვერ ავცდებოდით, რის მოწმენიც დღეს ვართ და ვერც ავცდით. ადამიანმა ეს მეორე გზა აირჩია (გზა სატანისა). რა ჯობდა? რატომ სძლია სატანამ ღმერთს (ანტიქრისტემ ქრისტეს)? უძნელესი კითხვებია. პასუხი მხოლოდ ადამიანის ბუნებაში შეიძლება ვეძებოთ. ამიტომ აუჯანყდა ფ. ნიცშე ასე შეურიგებლად ქრისტიანობას და მთელს ტრადიციულ კულტურას: ვის ვრაცხთ ჩვენს მოპირდაპირედ — ღვთისმეტყველთ და მთელ ჩვენს ფილოსოფიასო?

ადამიანი დიდი ხანია მიხვდა, რომ სიმდიდრე ისე არ შეიქმნება, თუ ვიღაცა ვიღაცას არ ქურდავს, არ ჩაგრავს, თუ ვიღაცა ვიღაცის ნაშრომს არ ითვისებს კანონიერად თუ უკანონოდ. მიხვდა, მაგრამ ამის მიხვედრა არსებითად არაფერს ცვლის. ადამიანის მისწრაფება სიმდიდრისაკენ ბუნებრივი აღმოჩნდა, რასაც ადასტურებს თანამედროვე ცივილიზაციის მიღწევები. ამიტომ პოლიტიკოსთაგან აღარავინ რისკავს წინ აღუდგეს განვითარების ამ ტენდენციას. ეს იგივე უტოპიური მცდელობა იქნებოდა, როგორც კომუნიზმის აშენების იდეა, თანამედროვე კაპიტალიზმი თავისი საბაზრო ეკონომიკით, კონკურენციით, ძლიერი ნების აპოლოგიით ცდილობს ვნებათაღელვის ამ ორომტრიალში ჩაითრიოს დანარჩენი მსოფლიო. ამ სისტემის აპოლოგეტთაგან არავინ ცდილობს დინების წინააღმდეგ წასვლას. პოლიტიკაშიც, ისევე როგორც მეცნიერებაში, რელატივიზმი ბატონობს. არჩევანი კეთდება რომელიმე სისტემაზე, არა მისი აბსოლუტური ვარგისიანობის გამო, არამედ იმიტომ, რომ იგი სხვა არსებულ სისტემებს სჯობია. ანგარიში უნდა გაეწიოს თვით ადამიანის ბუნებას. იგი ხომ თავის თავს ვერ გადაახტება. დღევანდელი მოჯანყე და პროტესტანტი ხვალ რომ იმის ადგილზე აღმოჩნდება, ვისაც თვითონ უცხადებდა პროტესტს, მერე თვითონ დადგება მოჯანყეთა და პროტესტანტთა წინაშე და ასე შემდეგ. დღეს სტაბილურია საზოგადოება, სადაც მიღწეულია პოლიტიკური, ბიზნესის, მილიტარისტული და მეცნიერული ძალების ინტერესთა შეთანაწყობა.

ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეზე და მათ შორის საქართველოს რესპუბლიკაში დღევანდელი ვნებათაღელვანი დაკავშირებულია იმასთან, რომ დაირღვა ადრე ჩამოყალიბებული, შვიდი ათწლეულის მანძილზე რომ ბატონობდა, წონასწორობა, შეთანაწყობა საზოგადოების სხვადასხვა ძალას შორის. ეს წონასწორობა ემყარებოდა პარტოკრატიის განუყოფელ და შეუზღუდავ ბატონობას, მისდამი ყველა სხვა ძალის სრულ, უსიტყვო მორჩილებას. როცა მოიხსნა ძალადობის, დიქტატის ფენომენი, მოიშალა პოლიტიკური რეგულატორი, ყველა სხვა ძალა აღმოჩნდა დაქსაქსული და უპერსპექტივო მდგომარეობაში. ასეთ დროს ყველაზე სავარაუდოა მილიტარისტული ძალების ამოქმედება. ამიტომ გაისმის ასე ხშირად ხმები სამხედრო გადატრიალებაზე. ეს საშიშროება ჯერაც არ არის მოხსნილი სხვაგან. საქართველოში კი ეს უკვე მოხდა, ვინაიდან პოსტკომუნისტური პოლიტიკური ძალები უსუსური და უნიათო აღმოჩნდნენ ახალ დემოკრატიულ საწყისებზე ჩამოეყალიბებინათ ბიზნესის, სამხედრო, ინტელექტუალურ სფეროთა ურთიერთობა. ჩვენ აღმოვჩნდით დაუჯერებელ სიტუაციაში, როცა ინტელექტუალურმა ძალებმა მხარი დაუჭირა ძალადობას, მაგრამ მეორე ძალადობის წინააღმდეგ (ისევ რელატივიზმი), წინა ხელისუფლებას ქვეყნის სამართალ და საზოგადოებრივ ძალთა კონსოლიდაციისათვის არც თეორიული მომზადება აღმოაჩნდა, არც პრაქტიკული ნიჭი და ალღო; ხოლო ვისაც ასეთი საფუძველი არ აქვს, ის ვერც გამოცდილებას შეიძენს.

იმ დიდი პოლიტიკური ვაკუუმის შემდეგ, რომელიც ქართველმა ხალხმა გამოიარა 200 და მათ შორის 70 წლის მანძილზე, ალბათ გარდუვალი იყო მის მიერ დაშვებული შეცდომა, მხედველობაშია აგრეთვე მისადმი ის პოლიტიკური თამაში, რომელიც გაიმართა ყოფილი სსრ კავშირის იმპერიის დაშლის პროცესში. წინა, გაურკვეველი პროფილის პოლიტიკური რეჟიმი, გარდუვალად დამარცხდებოდა საქართველოს ეკონომიკური გაღატაკების, კულტურული დაცემისა და საერთაშორისო იზოლაციის გამო.

განგებამ ასე ინება, ქართველ ხალხს, როგორც ჩანს, უნდა გამოევლო ეს კოშმარი, უნდა დაეშვა საბედისწერო შეცდომები. თუ ყოველივე ეს განაწამებულად იქცევა, მაშინ გაღებული მსხვერპლი და ნგრევა ამაო არ ყოფილა. ცოდვილ, საშოვრის ძიებით გაავებულ, ჩაფლულ, სახედაკარგულ ქართველს დღეს სჭირდება ზნეობრივი მოძღვარი, ეს როლი უნდა შეასრულონ ხელისუფლების ორგანოებმა (საკანონმდებლომ, აღმასრულებელმა, სამართალდამცავმა) და ინტელექტუალურმა ძალებმა.

ქართველ ხალხს ძნელ პირობებში უხდება ცხოვრების ახალი გზების ძიება. ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მისი გაბედული თავდადება ერთგვარ ანაქრონიზმადაც აღიქმება მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების ფონზე. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, ბევრს კარგად რომ ვერ წარმოუდგენია, მოითხოვს ზოგს ისეთ რაიმეზე უარის თქმას, რაც დღეს უამრავი ქართველისათვის საპრესტიჟოა, ბევრი სერიოზული სიძნელის წინაშე გვაყენებს. მაგრამ რაღაც ვერ ვხედავ, რომ ხალხს მეთოდურად, სისტემატურად და დამაჯერებლად ვესაუბრებოდეთ იმ სიძნელეებზე, რომელიც წინ გველის, არა შესაშინებლად, არა დასაფრთხობად, არამედ იმისათვის, რომ სრულად გავიცნობიეროთ დღევანდელი.

ჩვენს ცხოვრებაში თვისებრივად ახალი ეტაპი იწყება. ჩვენ თავიდან ხელახლა უნდა ვისწავლოთ ყველაფერი. ოღონდ გვჭირდება, ძალიან გვჭირდება ახლებურად მოაზროვნე, ცხოვრების ცივილიზებული წესის დამამკვიდრებელი ადამიანები პოლიტიკაშიც, ხელოვნებაშიც, მეცნიერებაშიც, განათლების სფეროშიც, სამეურნეო საქმიანობაშიც, რომლებიც ერს თანდათან გადართავენ აზროვნებისა და მოქმედების თანამედროვე სტილსა და ყაიდაზე.

სანამ თავისუფალი არ არის, არც პიროვნებამ იცის ვინ არის და არც ერმა. დიდი რამ არის პოლიტიკური და ეროვნული დამოუკიდებლობა და თავისუფლება. მაგრამ უფრო უზენაესია შინაგანი თავისუფლება, იმის განცდა, რომ არა ხარ სულით მონა, რომ არა ხარ სულით, სინდისით მოვაჭრე, ხარ ავტონომიური და შეუვალი, დაძლეული გაქვს შიშის გამანადგურებელი სინდრომი. იცი ვინა ხარ და პატივს სცემ შენს მეს. სხვისი დამფასებელი და პატივისმცემელი, მიმტევებელი და გამგებიც მაშინ ხარ მხოლოდ.

განგება კიდევ ერთ გამოცდას გვიწყობს. ამიტომ დაღვრილი სისხლი უნდა ავიტანოთ და, რაც მთავარია — გავამართლოთ, წარსულმა გაკვეთილმა ბევრი უნდა გვასწავლოს.

სწავლის მსურველთათვის

კულტურის ფენომენისა და ეროვნული ფსიქოლოგიის სამეცნიერო-სასწავლო ცენტრთან არსებული

ქ. თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტი

(უზნაძის ქ. № 68)

მსურველთა თხოვნით აგრძელებს აბიტურიენტთა მიღებას როგორც დამატებით სპეციალობებზე — 1. უცხო ენებისა და საგარეო უწყებათა მომსახურება, 2. სამედიცინო და სოციალური ფსიქოლოგია (ასაკობრივი და პედაგოგიური) 3. აღმოსავლური და დასავლური ენების (თურქული, სპარსული, ებრაული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული), ასევე გამოცხადებულზე: სოციოლოგიის, ისტორია-პოლიტოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობის, საერთაშორისო ჟურნალისტიკის, საზღვარგარეთთან ეკონომიკური ურთიერთობისა,

საბუთების მიღება წარმოებს ზემოთ აღნიშნულ მისამართზე (რესპუბლიკის განათლების სამინისტროს II კორპუსის ეზოში) 18 ივლისიდან 25 აგვისტომდე. აბიტურიენტებს კომპეტენტური კომისია გაესაუბრება შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია, უცხო ენა, ეკონომიკურ სპეციალობაზე დამატება მათემატიკა.

საჭიროა შემდეგი საბუთები:

1. განცხადება რექტორის სახელზე
2. 4 ფოტოსურათი
3. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ
4. ატესტატის დედანი

წლიური სასწავლო თანხაა 10000 მანეთი და 200 მანეთი საგამოცდო ხარჯებისთვის.

სწავლა ხუთწლიანია. სტუდენტები შეისწავლიან 2 უცხო ენას. მეხუთე კურსზე ზოგ ლექციას სპეციალურ საგნებში მოისმენენ ინგლისურ ენაზე. აუცილებელია მეორადი უცხო ენის შესწავლა დასავლურის ან აღმოსავლურის შერჩევით. ხუთი წლის განმავლობაში სტუდენტები დაეუფლებიან კომპიუტერიზაციის კურსს.

გპირდებით უმკაცრეს რეჟიმს და უმაღლეს სასწავლო და აკადემიურ დონეს. უღირსებს გავრიცხავთ. ამიტომ ნუ შეგვაწუხებთ, თუ ცოდნის შეძენის (და არა მხოლოდ დიპლომის) სურვილი არ გამოძრავებთ.

საბუთები მიიღება ყოველდღე 10 საათიდან 17 საათამდე.

ასევე ვაცხადებთ მიღებას მოსამზადებელ განყოფილებაზე. სწავლა ერთწლიანია. მოსამზადებელი კურსები 4000 მანეთი ღირს. მისი წარმატებით დამთავრების შემთხვევაში აბიტურიენტები ინსტიტუტში უგამოცდოდ ჩაირიცხებიან.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტიტუტის რექტორატი.

თბილისის სამედიცინო პედიატრიული ინსტიტუტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1992-93 სასწავლო წლისათვის (50 ადგილი). ინსტიტუტი ამზადებს ექიმ-პედიატრებს სხვადასხვა პროფილით. სწავლების ვადა 7 წელია.

ინსტიტუტში მიიღებიან საშუალო ან საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირნი 35 წლის ასაკამდე. აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: განცხადება რექტორის სახელზე, საშუალო განათლების მოწმობა (დედანი), სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086), 6 ფოტოსურათი (3X4), თანხის გადარიცხვის შემთხვევაში სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციის მიმართვა-ვალდებულება. პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას წარმოადგენს პირადად.

გამოცდების ხარჯების ასანაზღაურებლად აბიტურიენტმა უნდა შემოიტანოს 300 მანეთი, რომელიც ჩაჭრის შემთხვევაში უკან არ დაუბრუნდება.

საბუთების მიღება — ყოველდღე (გარდა კვირისა) 1 აგვისტოდან 15 აგვისტომდე, 10-დან 14 საათამდე.

ტესტირებული გამოცდები ბიოლოგიასა და ქიმიაში მოეწყობა 20 აგვისტოდან. სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს.

სწავლა ფასიანია. ერთი სასწავლო წლის შესატანი ნაღდ ანგარიშზე შეადგენს 45.000 მანეთს, გადარიცხვით 50.000 მანეთს. თანხამ შეიძლება ცვლილება განიცადოს ინფლაციასთან დაკავშირებით. ინსტიტუტში აბიტურიენტთა ჩარიცხვა მოხდება საფასურის გადახდის შემდეგ.

ინსტიტუტის მისამართია: თბილისი, ლუბლიანის ქ. 21, ბავშვთა №2 კლინიკური საავადმყოფო, ტელ: 519585, 519880.

ღია კარის დღე გაიმართება 8 აგვისტოს 11 საათზე საავადმყოფოს სააქტო დარბაზში. დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ მიმღებ კომისიას.

საქართველოს კერძო საინჟინრო ეკონომიკური ინსტიტუტი

განაგრძობს 1992-1993 სასწავლო წლისათვის აბიტურიენტთა მიღებას. წერითი და ზეპირი გასაუბრება მოეწყობა 9 და 10 სექტემბერს. სწავლა დაიწყება 1 ოქტომბერს. დაწვრილებითი ცნობებისათვის იხილეთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 17 ივნისის ნომრის მესამე გვერდზე გამოქვეყნებული განცხადება ან მიმართეთ მიმღები კომისიის სამდივნოს.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, დიდუბის რაიონი, დიღმის მასივის მესამე კვარტალი (№147-ე სკოლის შენობა). ტელეფონი: 51-98-84, 95-88-29.

რექტორატი

საქართველოს რესპუბლიკის მრავალპროფილიანი უმაღლესი კოლეჯი

აცხადებს მიღებას 1992-93 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. ხელოვნებათმცოდნეობა
2. სახვითი ხელოვნება
   - ფერწერა
   - გრაფიკა
3. დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნება
   - მოდელირება
   - ქსოვილები
4. არქიტექტურა
   - ძეგლთა რესტავრაცია
   - ინტერიერი და მოწყობილობა
   - არქიტექტურული დაგეგმარება
5. ჟურნალისტიკა
6. თეატრმცოდნეობა.
7. მუსიკათმცოდნეობა
   - მუსიკა
   - სიმღერა
   - საინსტრუმენტო შემსრულებლობა
     - ფორტეპიანო, ვიოლინო, ფლეიტა, კლარნეტი, გიტარა
8. სამართალმცოდნეობა
   - იურიდიული

კოლეჯში სწავლის ვადაა ოთხნახევარი წელი.

უმაღლეს სასწავლებელში მიიღებიან მოქალაქენი, რომელთაც აქვთ საშუალო ან საშუალო სპეციალური განათლება, აგრეთვე უმაღლესდამთავრებულნი, რომელთაც სურთ მიიღონ ახალი სპეციალობა.

კოლეჯის კურსდამთავრებულს სახელმწიფო საგამოცდო კომისიის წარმატებით გავლის შემდეგ მიენიჭება სათანადო კვალიფიკაცია და მიეცემა უმაღლესი განათლების დიპლომი.

სწავლის მსურველებმა კოლეჯის მიმღებ კომისიას უნდა წარმოუდგინონ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება რექტორის სახელზე
2. საშუალო ან საშუალო სპეციალური განათლების ატესტატი (დედანი)
3. ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა №086)
4. 6 ფოტოსურათი (3X4)
5. პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას წარმოადგენთ პირადად.

საბუთების შემოტანასთან ერთად, საგამოცდო მომსახურებისთვის აბიტურიენტი იხდის 150 მანეთს. აღნიშნული თანხა ჩაჭრილ აბიტურიენტებს არ დაუბრუნდებათ.

უმაღლეს კოლეჯში ჩარიცხვა მოხდება გასაუბრების შედეგების საფუძველზე. სწავლა ფასიანია. ერთი სასწავლო წლის ქირა შეადგენს 8000 მანეთს. (ნავარაუდევია ცვლილებები ინფლაციური პროცესების შესაბამისად).

საბუთების მიღება იწარმოებს 1992 წლის 15 აგვისტომდე ჩათვლით. გასაუბრება ჩატარდება 18-19-20 აგვისტოს. სწავლა დაიწყება 1 ოქტომბერს.

უმაღლესი კოლეჯის მისამართია: ქ. თბილისი, დიდი დიღომი, გ. ბრწყინვალეს ქ. №41-ა ტელეფონი 51-88-68.

ქ. თბილისის მრავალპროფილიანი უმაღლესი კოლეჯის რექტორატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲐᲘ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲑᲠᲫᲐᲜᲓᲔᲗ, ᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲝ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲑᲘᲖᲜᲔᲡ-ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ

ᲑᲠᲝᲙᲔᲠᲘ
ᲑᲘᲠᲟᲐ
ᲑᲠᲝᲙᲔᲠᲘ

TBC

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

12 საათზე; თბილისის ბიზნეს-ცენტრი *TBC* (თი-ბი-სი) იწყებს რეგულარულ სავაჭრო შეკრებებს, რომლებზეც თქვენ შეგეძლებათ ყოველგვარი შუამავლის გარეშე იყიდოთ ან გაყიდოთ ნედლეული, ფართო მოხმარების საქონელი, საკვები პროდუქტები, უძრავი ქონება, ფასიანი ქაღალდები და სხვა. *TBC*—ში თქვენ გელით გარიგების გაფორმების გამარტივებული პროცედურა, მინიმალური საკომისიო პროცენტი. მხოლოდ ჩვენთან შეგიძლიათ მიიღოთ კვალიფიციური კონსულტაციები ფასიანი ქაღალდების შესახებ.

ᲕᲔᲚᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ!

ჭავჭავაძის პრ. 11,
ტელ: 22-26-07 22-02-12 22-04-16 29-43-56
ტელექსი: 212915 *TBC SU* ფაქსი 29-43-56

ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲨᲣᲐᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲑᲐᲜᲙᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲑᲐᲜᲙᲘ
GEORGIAN ROYAL BANK

ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠ ᲡᲐᲑᲐᲜᲙᲝ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲐᲜᲔᲗᲔᲑᲘᲗ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲗ.

— **1991** წელს საბანკო ბრუნვამ შეადგინა 18 მილიარდი მანეთი.

საქართველოს სამეფო ბანკში მიმდინარეობს სადეპოზიტო სერთიფიკატების გაყიდვა. სადეპოზიტო სერთიფიკატების შეძენა შესაძლებელია როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით. მათ შორის: იურიდიულ პირთათვის — შესაბამისი სპეცბანკებისა და კომერციული ბანკების მეშვეობით, ხოლო მოქალაქეთათვის — ანაბრებზე არსებული თანხების გადმორიცხვით შემნახველი ბანკის ნებისმიერი რაიონული განყოფილების მეშვეობით. მოქალაქეებს ჩეკები, სერთიფიკატები შეუძლიათ ჩააბარონ შემნახველი ბანკის რაიონულ განყოფილებაში და იქიდან გადმორიცხონ საქართველოს სამეფო ბანკის ანგარიშზე. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ა.წ. 9 ივნისის № 625 დადგენილების თანახმად შესაძლებელია აგრეთვე მოსახლეობის ანაბრებზე დარიცხული 40 პროცენტის კომპენსაციების გადმორიცხვა შესაბამის ანგარიშზე. შესაძლებელია აგრეთვე ყურძნის, ხილის, ჩაის და ციტრუსების ჩაბარებისთვის და სხვა სამუშაოებისთვის კუთვნილი თანხების გადმორიცხვა შესაბამის ანგარიშზე.

საქართველოს სამეფო ბანკის სადეპოზიტო სერთიფიკატები გაფორმდება **5000** მანეთის ზევით ნებისმიერ თანხაზე.

— ერთი წლის ვადით სერთიფიკატზე დარიცხული იქნება — **40** პროცენტი.
— ორი წლის ვადით — **100**! (ასი პროცენტი),
— სამი წლის ვადით — **200**! (ორასი პროცენტი).

გამონაკლის შემთხვევაში ბავშვის სახელზე **10** წლის ვადით ნაყიდ სერთიფიკატზე დარიცხული იქნება **1000**% (ათასი პროცენტი).

საქართველოს სამეფო ბანკის სადეპოზიტო სერთიფიკატები თქვენი სურვილისამებრ, ბანკისაგან დამოუკიდებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც ანგარიშსწორებისთვის, ასევე გადაუფორმოთ თქვენთვის სასურველ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲡᲐᲓᲔᲞᲝᲖᲘᲢᲝ ᲡᲔᲠᲗᲘᲤᲘᲙᲐᲢᲔᲑᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐᲐ.

საქართველოს სამეფო ბანკის მისამართია:
საქართველოს რესპუბლიკა,
ქ. თბილისი **380108**, ესენინის ქ. **2**
(კახეთის გზატკეცილი, ორხევის დასახლება).
ტელეფონი: **73-82-72, 73-24-77, 73-81-63, 73-55-60, 73-85-54, 73-05-15, 73-81-73.**
ბანკის კოდი მფო — **521794**
მიმღები საქართველოს სამეფო ბანკი
(სადეპოზიტო სერთიფიკატის შესაძენად).
ანგარიშის ნომრები:
ერთი წლის ვადით — **000199401**, ორი წლის ვადით — **000199702**,
სამი წლის ვადით — **000199003**, ათი წლის ვადით — **000199210**

ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲜᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲬᲧᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲚᲔᲕᲐ-ᲫᲘᲔᲑᲘᲗ, ᲓᲐᲪᲕᲘᲗ, ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲣᲚ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲐᲥᲪᲘᲝᲜᲔᲠᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

საქართველოს წყლების სახლი

ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ „ᲑᲘᲠᲟᲐ“

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚ ᲒᲐᲧᲘᲓᲕᲐᲡ ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲗ.

საწესდებო ფონდი **150 000 000** მანეთი.

აქციების ნომინალური ღირებულება კერძო პირთათვის **30.000** მანეთი, იურიდიულ პირთათვის — **300.000** მანეთი. საზღვარგარეთული ვალუტით შესაბამისად — **3.000** და **30.000** ამერიკული დოლარი.

აქციათა **30%** პრივილეგირებულია, **70%** — ჩვეულებრივი.

პრივილეგირებულ აქციებზე გაიცემა გარანტირებული დივიდენდი **30%**-ის ოდენობით და იგი **60%**-მდე შეიძლება გაიზარდოს. დივიდენდის ნაწილი გაიცემა ვალუტით.

თავის მხრივ აქციების მთელი რაოდენობის **55%** სახელობითია, **45%** — აქციები წარმომდგენზე.

აქციის მფლობელს უფლება აქვს მიიღოს დივიდენდი, მონაწილეობა მიიღოს აუქციონებში, გამოფენა-გაყიდვაში. **10** გაერთიანებულ აქციათა მფლობელებს ან აქციების პაკეტის მფლობელს უფლება აქვს ჰქონდეს ადგილი საგამოფენო დარბაზში და საბროკერო ადგილი ბირჟაზე.

წინასწარი შესატანი შეადგენს ღირებულების **1/3** (შეტანის ვადა — **1** ოქტომბრამდე, დანარჩენისა — **31** დეკემბრამდე).

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲐ:
ჯიქიას ქ. **12**. ტელეფონი: **31-36-24**
დუტუ მეგრელის ქ. **1**
(გეოლოგის სახლი, ბარათაშვილის აღმართი). ტელეფონი: **74-45-06.**
ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲙᲕᲘᲖᲘᲢᲔᲑᲘᲐ
სააქციონერო კომერციული ბანკი „ივერთბანკი“, ა—ა **100609433**, კოდი **522942.**

ᲡᲐᲕᲐᲚᲣᲢᲝ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ
"GEORGIAN WATER HAUSE", **00107103**

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲕᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

მევენახეობა-მეღვინეობა ოდითგანვე იყო, არის და იქნება საქართველოს ეკონომიკური სიძლიერის ერთ-ერთი განმსაზღვრელი დარგი.

ადრინდელი სტრუქტურების მოშლა თავისებური გავლენა იქონია მევენახეობა-მეღვინეობის დარგებზე და დღეს დგება ამ დარგების გადარჩენისა და მათი მომავლის საკითხი.

დღეისათვის აზრთა სხვადასხვაობაა მევენახეობა-მეღვინეობის თაობაზე და, სამწუხაროდ, ზოგიერთი მათგანი ვიწრო უწყებრივ მიზანს ემსახურება და არ შეესაბამება რესპუბლიკის სასიცოცხლო ინტერესებს.

დავით სარაჯიშვილის სახელობის საქველმოქმედო საზოგადოება თხოვნით მიმართავს მეცნიერებს, დარგის სპეციალისტებს, ეკონომისტებს და ყველა დაინტერესებულ პირს, პრესის ფურცლებზე გამართონ ფართო, ჯანსაღი პოლემიკა მევენახეობა-მეღვინეობის დარგების არსებულ მდგომარეობაზე და მისი განვითარების პერსპექტივებზე, როგორც საბაზრო ეკონომიკის, ასევე პრივატიზაციის პროცესების გათვალისწინებით, რათა რეკომენდაციების შეჯერების შედეგად ჩამოყალიბდეს მომავალი მოქმედების ერთიანი აზრი.

ვთხოვთ მათ დროულად მიიღონ გადაწყვეტილება, სანამ ეს დარგები ხელიდან გამოგვეცლებოდეს (მითუმეტეს, რომ რთველი კარზეა მომდგარი), თორემ მერე გვიანი იქნება „თითზე კბენანი“.

ᲙᲔᲠᲫᲝ ᲤᲘᲠᲛᲐ ᲘᲧᲘᲓᲘᲡ:

1. მოძრავ სახერხ დანადგარს (პილორამა) თავისი ელექტრო სადგურით. დასაშვებია მისი სტაციონალურად დამონტაჟება.
2. აგარაკს მცხეთის რაიონში თავის ხეხილის ბაღით.
3. ავტომანქანა ზილ-130 (ნახმარი).
4. ავტოცისტერნა მაზ-5337, რომელიც გამოიყენება ღვინის, წყლის და ბენზინის საზიდად (ახალი).

ტელეფონი: 37-42-10,
დარეკეთ 9-დან 18 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲘ ᲬᲠᲔᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

უკანასკნელ ხანს აქტიურად მიმდინარეობს საქართველოსა და უცხოეთის საქმიანი წრეების თანამშრომლობა, იწყება ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი ცივილიზებულ მსოფლიოსთან.

ყოველივე ამას აბრკოლებს საბანკო ანგარიშსწორებებთან დაკავშირებული სირთულეები, რადგან დღეისათვის საქართველოს კომერციულ ბანკებს, სააქციო უნივერსალურ ბანკ „იბერიაბანკის“ გარდა, არა აქვთ პირდაპირი საკორესპონდენტო ურთიერთობა უცხოეთის ბანკებთან.

„იბერიაბანკი“ ერთადერთი კომერციული ბანკია საქართველოში, რომელსაც აქვს №1 სავალუტო ოპერაციების ჩატარების გენერალური ლიცენზია.

ᲘᲛ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲜ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐᲡ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜ ᲬᲠᲔᲔᲑᲗᲐᲜ, ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ ᲘᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲜ „ᲘᲑᲔᲠᲘᲐᲑᲐᲜᲙᲘᲡ“ ᲡᲐᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲝ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲔᲑᲘᲗ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡ ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲨᲘ: ᲓᲝᲘᲩᲔ ᲑᲐᲜᲙᲗᲐᲜ – ᲤᲠᲐᲜᲙᲤᲣᲠᲢᲨᲘ ᲓᲐ ᲙᲠᲔᲓᲘ ᲚᲘᲝᲜᲔᲡᲗᲐᲜ – ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ. ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘᲐ ᲡᲐᲕᲐᲚᲣᲢᲝ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ

„Ი Ბ Ე Რ Ი Ა Ბ Ა Ნ Კ Შ Ი“

გთავაზობთ „იბერიაბანკის“ ზუსტ რეკვიზიტებს ფრანკფურტსა და პარიზში:
Deuitsche Bank AG. Frankfurt am main, 949832 Iberiabank, Tbilisi. Credit lyonnais, Paris, 409083 d Iberiabank, Tbilisi.

ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲗ:
„იბერიაბანკის“ სავალუტო განყოფილებას. თბილისი,
ბროსეს ქ. 1
ტელეფონი: 98-70-50.

...ᲖᲦᲕᲐ, ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲘᲙᲚ ᲯᲔᲥᲡᲝᲜᲘ!

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲘᲠᲛᲐ

«ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲘ»

გიქმნით შესაძლებლობას თბილისიდან პირდაპირი რეისით 6 დღით იმოგზაუროთ ესპანეთში და დაესწროთ სახელგანთქმული მომღერლის მაიკლ ჯექსონის ორ კონცერტს.

18-19-20 სექტემბერს თქვენ სულს მოითქვამთ ზღვისპირა ქალაქებში ხიხონსა და ოვიედოში. 20 სექტემბერს ოვიედოში დაესწრებით მაიკლ ჯექსონის პირველ კონცერტს.

21-22-23 სექტემბერს კი მადრიდში გაატარებთ, სადაც 22 სექტემბერს კვლავ შეხვდებით მაიკლ ჯექსონს მის დასკვნით კონცერტზე.

ავიაბილეთები, კომფორტული სასტუმროები ორ ადგილიანი ოთახებით, ორჯერადი კვება, საინტერესო ექსკურსიები და ბილეთები მაიკლ ჯექსონის კონცერტებზე — ყველაფერი ეს 700 ამერიკული დოლარი დაგიჯდებათ.

ᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲐ 10 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲛᲓᲔ. ᲓᲐᲠᲔᲙᲔᲗ 98-25-37 ᲐᲜ 98-47-93.

გრძელდება **ᲡᲐᲕᲐᲚᲣᲢᲝ ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲘᲡ** ბილეთების რეალიზაცია თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სარფის, ქობულეთის და თელავის ცენტრალურ შემნახველ ბანკებში.

ლატარიის ტირაჟი შესდგება 19 სექტემბერს თბილისში. ტირაჟის შედეგები გამოქვეყნებული იქნება პრესაში, ცხრილები გამოიკვრება რაიონულ შემნახველ ბანკებში. მოგებები გაიცემა წლის ბოლომდე.

ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲘᲡ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲐ ᲝᲠᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲐᲜ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲜᲔᲗᲔᲑᲘ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲑᲘᲠᲟᲝ ᲙᲣᲠᲡᲘᲗ ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲓᲔᲗ, ᲛᲔᲮᲣᲗᲔᲓᲘ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘᲡᲐ ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘᲐ!

ლატარიაში გათამაშებული იქნება ერთი მილიონი დოლარი. მოგებაშია ოცი ახალი ამერიკული მსუბუქი მანქანა „ფორდ ფესტივა“ (**1991** წლის მოდელი) და დიდი ფულადი მოგებები დოლარებში.

შეიძინეთ ლატარიის ბილეთები, ნუ გაუშვებთ ხელიდან შანსს. თქვენ შეგიძლიათ გახდეთ ახალი პრესტიჟული მანქანის და მილიონიანი ფულადი მოგებების მფლობელი.

ᲘᲕᲐᲜᲔ ᲑᲔᲠᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲞᲝᲕᲔᲑᲚᲐᲓ

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია აცხადებს კონკურსს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ივანე ბერიტაშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად.

დაწვრილებითი ცნობებისათვის უნდა მიმართოთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტულ განყოფილებას: რუსთაველის პროსპ. 52, 411-ე ოთახი.
ტელეფონი: 99-85-96.

MicroAge

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲤᲘᲠᲛᲐ ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ:

- პერსონალური კომპიუტერი IBM PS-1
- მაგნიტური დისკეტები:
  5.25" DS/HD 1.2 MB (აშშ);
  3.5" DS/HD 1.44 MB (იაპონია).
- ფაქსის თერმოქაღალდი,
- ლაზერული პრინტერის კარტრიჯები.

მისამართი: თბილისი,
ინჟინრის ქ. 8;
ტელეფონი: 99-77-12.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲛᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ, ᲒᲐᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

აცხადებს
აბიტურიენტთა მიღებას 1992-93 სასწავლო
წლისათვის დღის სწავლების
შემდეგ სპეციალობებზე:

1. კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგია — მენეჯერი;
2. კვების მრეწველობის საწარმოთა სამართლებრივი უზრუნველყოფა — იურისტ-ეკონომისტი;
3. კვების პროდუქტების წარმოების დეგუსტატორ-მენეჯერი;
4. ჩაის მრეწველობის ტიტესტერ-მენეჯერი.

კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში მიიღებიან უმაღლესი, ტექნიკური (კოლეჯი) და საშუალო სკოლადამთავრებული პირები, რომელთაც აქვთ შესაბამისი სპეციალობით მუშაობის სტაჟი. უმაღლესდამთავრებულები გასაუბრების გავლის შემდეგ ჩაირიცხებიან შესაბამისი სპეციალობის მესამე კურსზე, ტექნიკუმ (კოლეჯ) დამთავრებულები ჩაირიცხებიან მეორე კურსზე, ხოლო საშუალო სკოლადამთავრებულები სწავლების პირველ კურსზე.

ინსტიტუტში სწავლების ვადა 4 წელია.

ინსტიტუტის კურსდამთავრებულები მიიღებენ უმაღლესი განათლების დიპლომს საერთაშორისო სერტიფიკატების შესაბამისად. სტუდენტები სტაჟირებას გაივლიან ამერიკის შეერთებული შტატების ფლორიდის შტატის ქ. მაიამიში.

უმაღლეს სასწავლებელში სწავლება ფასიანია. სწავლების საფასურია 9000 მანეთი წელიწადში (ნავარაუდევია ცვლილებები ინფლაციური პროცესების შესაბამისად).

უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელებმა განცხადებას
უნდა დაურთონ:

1. განათლების დოკუმენტი (დედანი) დანართთან ერთად;
2. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086-უ);
3. 4 ფოტოსურათი (3X4);
4. დახასიათება-რეკომენდაცია სამუშაო ადგილიდან;
5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;
6. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან;
7. პასპორტს ან სამხედრო წიგნაკს წარადგენენ პირადად.

საბუთების შემოტანის დროს აბიტურიენტი საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად იხდის 200 მანეთს.

საბუთების მიღება — 20 აგვისტომდე, ყოველდღე (გარდა კვირისა), 11-დან 17 საათამდე.

გასაუბრება — 21 აგვისტოდან 25 აგვისტოს ჩათვლით.

ჩარიცხვა — 27 აგვისტოს. სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს.

საბუთები მიიღება შემდეგ მისამართზე: თბილისი, მინდელის ქ. 5, მე-5 სართული (ნუცუბიძის ქუჩის ბოლოს, საპროექტო-საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური ინსტიტუტის შენობაში).

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲘᲛᲘᲣᲠ-ᲤᲐᲠᲛᲐᲪᲔᲕᲢᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ
1992-93 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ:

1. ქიმიურ-ფარმაცევტული წარმოების ფართო პროფილის მეაპარატე;
2. ქიმიური ანალიზის ლაბორანტი.

სასწავლებელში გასაუბრებით ჩაირიცხებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები.

სწავლების პერიოდში მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიას თვეში 325 მანეთს (დღეისთვის დადგენილი ტარიფით).

სასწავლებლის კურსდამთავრებულები სამუშაოდ განაწილდებიან: თბილისის, ბათუმის და ახმეტის ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხნებში, ფარმაკო-ქიმიის ინსტიტუტში და ბიოქიმიის ინსტიტუტში.

განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

2. საშუალო განათლების მოწმობა (დედანი);
2. დაბადების მოწმობა (დედანი);
3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;
4. 6 ფოტოსურათი (3X4);
5. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა №086);

(რაიონებიდან ჩამოსულთათვის შუამდგომლობა).

საბუთები მიიღება ყოველდღე, 9-დან 17 საათამდე, გარდა კვირისა.

ჩვენი მისამართია: თორნიკე ერისთავის ქ. 2 ა, მე-4 სართული (ყოფილი მაგნიტოგორსკის ქუჩა), მეტრო დიდუბესთან.

ტელეფონი: 34-71-29.

Ს. ᲨᲐᲠᲐᲫᲔᲜᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮ. ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 1992-93 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ:

დღის სწავლების განყოფილება, პირველი კურსი (9 კლასის ბაზა):

1. არაორგანულ ნივთიერებების ქიმიური ტექნოლოგია;
2. ფოლადისა და ფეროშენადნობების წარმოება;
3. ავტომატიზირებული სისტემების ექსპლუატაცია (რუსული სექტორი).

მეორე კურსი (საშუალო სკოლის ბაზა):

1. ლითონების წნევით დამუშავება;
2. ორგანულ ნივთიერებათა და მაღალმოლეკულური შენაერთების ქიმიური ტექნოლოგია;
3. ბიოქიმიური წარმოება;
4. სამრეწველო და სამოქალაქო შენობების ელექტრომოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია;
5. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა.

დაუსწრებელი სწავლების განყოფილება, მეორე კურსი (საშუალო სკოლის ბაზა):

1. ფოლადისა და ფეროშენადნობების წარმოება;
2. ორგანულ ნივთიერებათა და მაღალმოლეკულური ნაერთების ქიმიური ტექნოლოგია;
3. საწარმოთა და სამოქალაქო შენობების ელ.მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია.

განცხადებების მიღება და ცნობების გაცემა იწარმოებს ყოველდღე, 10-დან 18 საათამდე. მოსწავლეები უზრუნველყოფილნი იქნებიან სტიპენდიით არსებული წესის თანახმად.

მისამართი: ქ. რუსთავი, გაგარინის, 2 ა. ტელ: 19-29-92, 19-23-73.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲯᲘ

საერთაშორისო გადაზიდვებში საქართველოს რესპუბლიკის ჩართვის აუცილებლობის გამო კვალიფიციური საინჟინრო-ტექნიკური კადრების მომზადების მიზნით, თბილისის რკინიგზის ტექნიკუმი გადაკეთდა უმაღლეს პროფესიულ კოლეჯად. კოლეჯი მოამზადებს წარმოებათა საშუალო რგოლის მუშაობის ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობისათვის უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებს.

1992-93 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲯᲘ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ:

ᲓᲦᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲖᲔ: 1. ლოკომოტივებისა და ვაგონების ექსპლუატაციის მენეჯერი (ქართული სექტორი — 9 და 11 კლასის ბაზა); 2. რკინიგზის ტექნიკური ექსპლუატაციის მენეჯერი (რუსული სექტორი — 9 კლასის ბაზა); 3. რკინიგზის ექსპლუატაციის კომერციული საქმის მენეჯერი (ქართული სექტორი — 11 კლასის ბაზა); 4. რკინიგზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის მენეჯერი (რუსული სექტორი — 9 და 11 კლასის ბაზა); 7. საბუღალტრო საქმის მენეჯერი (ქართული სექტორი — 11 კლასის ბაზა); 8. ტრანსპორტის დაცვისა და საბაჟო საქმის მენეჯერი (ქართული სექტორი — 11 კლასის ბაზა).

ᲓᲐᲣᲡᲬᲠᲔᲑᲔᲚ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲖᲔ: 1. ლოკომოტივებისა და ვაგონების ექსპლუატაციის მენეჯერი (ქართული და რუსული სექტორები); 2. რკინიგზის ტექნიკური ექსპლუატაციის მენეჯერი (ქართული სექტორი); 3. რკინიგზის ექსპლუატაციის კომერციული საქმის მენეჯერი (ქართული და რუსული სექტორები — 11 კლასის ბაზა); 4. რკინიგზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის მენეჯერი (ქართული სექტორი — 11 კლასის ბაზა); 5. ენერგომომარაგების ექსპლუატაციის მენეჯერი (ქართული და რუსული სექტორები — 11 კლასის ბაზა); 6. ავტომატიკა-ტელემექანიკის ექსპლუატაციის მენეჯერი (ქართული და რუსული სექტორები — 11 კლ-ასის ბაზა); 7. საბუღალტრო საქმის მენეჯერი (ქართული და რუსული სექტორები — 11 კლასის ბაზა).

კოლეჯის დღის განყოფილების პირველ კურსზე ჩაირიცხებიან 9 კლასდამთავრებულები, ხოლო მეორე კურსზე — საშუალო-ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ან პროფტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულები. კოლეჯის დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე ჩარიცხულ სტუდენტებზე წარმოება-დაწესებულებები ყოველწლიურად იხდიან 1000 მანეთს სპეც.კურსებისა და სხვა ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურებისათვის.

საბუთების მიღება — 14 აგვისტომდე, 10-დან 15 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). მისაღები გამოცდები — 1. მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა); 2. მათემატიკაში (ზეპირი).

აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ატესტატი (დედანი); 2. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086-უ); 3. 6 ფოტოსურათი (3X4); 4. დაბადების მოწმობა ვაჟებისათვის (ასლი); 5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან (დაუსწრებელი სწავლებისათვის); 6. შრომის წიგნაკი და ამონაწერი (დაუსწრებელი სწავლებისათვის).

კოლეჯში სწავლა უფასოა. სტუდენტებს მიეცემათ სტიპენდია დადგენილი წესით და რკინიგზელთათვის არსებული შეღავათები. სპეციალობათა სპეციფიკის გათვალისწინებით კოლეჯში უპირატესად მიიღებიან ვაჟები. კოლეჯს აქვს კეთილმოწყობილი საერთო საცხოვრებელი.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲖ. 138.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 1992-93 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

გასაუბრება — ტესტირება საზოგადოებრივი პროფესიების მიხედვით ჩატარდება შემდეგ დისციპლინებში:

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲐ (სასამართლო, საგამოძიებო, საპროკურორო, სამეურნეო სამართლის, კრიმინალისტური ექსპერტიზის, ავტოტექნიკური ექსპერტიზის, ქიმიური ექსპერტიზის სპეციალიზაცია);

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ (ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲤᲔᲠᲝ);

ᲞᲝᲚᲘᲢᲝᲚᲝᲒᲘᲐ; ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐᲗᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲐ.

საქართველოს ისტორია (ზეპირი), ქართული (წერა).

ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠ-ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲛᲔᲜᲘ; ᲡᲐᲘᲜᲟᲘᲜᲠᲝ ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲐ; ᲡᲐᲘᲜᲟᲘᲜᲠᲝ ᲡᲝᲪᲘᲝᲚᲝᲒᲘᲐ; ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ — ᲛᲐᲠᲙᲔᲢᲘᲜᲒᲘ.

მათემატიკა (წერა-ტესტი), ქართული წერა (წაკითხული ტექსტის შინაარსი).

ᲛᲗᲐᲠᲒᲛᲜᲔᲚ-ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ (ინგლისური, გერმანული, ფრანგული). უცხო ენა (ზეპირი), ქართული წერა.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲐ (ტელე-რადიო). ქართული (ზეპირი), ქართული (წერა).

ᲕᲘᲓᲔᲝᲡᲐᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲝ გამოცდა სპეციალობაში, ქართული (ზეპირი).

ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ (ტექნიკური) ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲘ;

ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲐ. ხატვა, ქართული (წერა).

ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ; ᲘᲛᲞᲠᲝᲕᲘᲖᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ; ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲝᲚᲙᲚᲝᲠᲘ.

გასაუბრება სპეციალობაში ტურებად.

სწავლა ფასიანია, გადასახადი დიფერენცირებულია სპეციალობების მიხედვით. გადახდა მოხდება ეტაპობრივად.

საბუთების მიღება იწარმოებს 3 აგვისტოდან 3 სექტემბრამდე, ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა), 10-დან 14 საათამდე. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მე-5 კორპუსის მე-3 სართულზე. ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის დეკანატში.

გასაუბრება ჩატარდება 3-დან 15 სექტემბრამდე.

წარმოსადგენია შემდეგი საბუთები:

1. განცხადება; 2. ატესტატის დედანი ან ცნობა სასწავლებლიდან; 3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; 4. 4 ფოტოსურათი (3X4);

ფაკულტეტზე წარმოებს ჩარიცხვა აგრეთვე მეორადი განათლების მისაღებად, რომელზეც ჩარიცხვის დროს უპირატესობა ეძლევათ სტუ-ს სტუდენტებს. მათი სწავლება საშუალოდ ხდება 30 პროცენტის ფასდაკლებით.

საბუთების შეტანისას მსმენელი იხდის 200 მანეთს საორგანიზაციო ხარჯებისათვის.

დამატებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ დარეკოთ შემდეგ ნომრებზე: **36-61-78; 36-52-60.**

ᲐᲑᲘᲢᲣᲠᲘᲔᲜᲢᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის თბილისის კომერციული კოლეჯი აგრძელებს საბუთების მიღებას ა. წ. 15 აგვისტომდე, ადრე გამოცხადებულ სპეციალობებზე.

მისამართი: 380077, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, 44.
ტელეფონი: 39-18-03, 39-68-30.

რაღა შეიძლება ხალხმა უყოს საკუთარ თავს ამაზე უარესი!

ლეილა სულხანიშვილი,
რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

„ქართლის ჭირს", მართლაც რომ „ვერვინ მოთვლის". კვლავ დაგვიდგა ძნელბედობის ხანა. როგორც პოეტი ამბობს:

„შეიქმნა დიდი მტერობა,
თქმა ერთმანეთის ძვირისა,
ამპარტავნობა და შური,
ურცხვად გატეხა პირისა;
ავაზაკობა, ქურდობა,
გზებზე დასხდომა მზირისა,
ტყვეობა, მოკვლა, ტაცება —
ქვრივთა, ობოლთა მწირისა".

პოეტს ისიც აქვს ნათქვამი, თუ რა შედეგი მოიტანა ერის ამგვარმა ზნეობრივმა წახდენამ, მაგრამ, სამწუხაროდ, ისტორიის გაკვეთილები ჩვენთვის უქმი აღმოჩნდა.

რა არ ჩავიდინეთ ამ უკანასკნელ ხანებში: ვაფეთქეთ საკუთარი ქვეყნის ხიდები, გზები; ვყარეთ რკინიგზის ლიანდაგი, მშვიდობიანად არ გავატარეთ არც სატვირთო და არც სამგზავრო მატარებელი თუ სხვა ტრანსპორტი, უცხო ქვეყნებიდან წამოსულ ძმურ დახმარებას ავტომატებით წინ გადავეღობეთ და შინ არ შემოვუშვით; სადაც კი ხელი მიგვიწვდა, ისედაც მოშლილი და დანგრეული მეურნეობა კიდევ უფრო მოვშალეთ და დავანგრიეთ: ქართველი მშრომელი კაცი მინდორში სამუშაოდ არ გავუშვით, — თავს დავესხით და სროლა ავუტეხეთ... ვძარცვეთ და ვხოცეთ ერთმანეთი, ცოცხლად დავწვით ადამიანები; ფულის გამოძალვის მიზნით, ვიტაცეთ არა მხოლოდ მანქანები და ბავშვები, ახალი საფლავები ვთხარეთ და ჭირისუფლებთან მოპარული მიცვალებულებით ვაჭრობა გავაჩაღეთ; ავტოდაფე მოვაწყეთ: არ დაგვიწვავს, მაგრამ, ჩვენთვის პოლიტიკურად მიუღებელი თანამედროვე ავტორების წიგნებთან ერთად, თვით „ვეფხისტყაოსანიც" კი ნაკუწ-ნაკუწ ვაქციეთ... ეს ყოველივე და სხვაც ბევრი რამ საშინელი მოვიმოქმედეთ, ცისრად ამდენი ცოდვა ვიდეთ და, [illegible] ატანილებივით, ჯერ მაინც ვერა და ვერ მოვსულვართ გონს. სულ ახალ-ახალი ცოდვებით ვიმძიმებთ. არც უკან დარჩენილი შემზარავი კვალი გვაწუხებს და არც იმაზე ვფიქრობთ, რა მომავალს ვუმზადებთ ჩვენს შვილებს. და აი, სულ ბოლო დროს კვლავ ახალი, ამჯერად სრულიად უპრეცედენტო, დანაშაულის მოწმე გახდა მთელი საქართველო: შეიარაღებულმა ბანდამ მძევლად აიყვანა სამეგრელოში სამშვიდობო მისიით ჩასული საქართველოს ვიცე-პრემიერი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ბ-ნი ალექსანდრე კავსაძე — კაცი, ცნობილი თავისი მაღალი პიროვნული ღირსებებით, ქვეყნის სამსახურში მდგომი ჭეშმარიტი მამულიშვილი და მოქალაქე, მშვიდობისთვის თავდადებული მებრძოლი. იგი შეიპყრეს სწორედ იმ დროს, როცა, უიარაღო, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ცხელი წერტილისკენ მიეშურებოდა თავისი ძმებისთვის ძმური სიტყვის სათქმელად.

უსაზღვროა ამ ვანდალური აქციით საზოგადოების აღშფოთება. მინდა მივმართო მის ორგანიზატორებსა და უშუალო აღმსრულებლებს: დავფიქრდეთ, რას ჩავდივართ. ნუ დავივიწყებთ, რომ აფრიკის ველური ტომები კი არა, მრავალსაუკუნოვანი კულტურისა და დიდი ისტორიული წარსულის ქრისტიანი ერი ვართ, ნუ დავივიწყებთ ყოველივე ღირებულს ამ წარსულიდან, ნუ დავკარგავთ ადამიანურ სახეს. ვიზრუნოთ ჩვენს სულებზე. ორი კვირა მეტისმეტად დიდი დროა. ბ-ნი ალექსანდრე, დღეს თუ არა, ხვალ მაინც, უვნებლად უნდა დაუბრუნდეს თავის საქმიანობას, საზოგადოებასა და ოჯახს. არ შეიძლება სხვაგვარი იყოს ამ უგუნური აქციის ფინალი.

23.7.92.

P. S. ეს წერილი უკვე დაწერილი იყო, როცა ტელევიზორის ეკრანებზე მთელმა ქვეყანამ იხილა, თუ რა მასპინძლობა გაუწია სენაკისა და წალენჯიხის მოსახლეობის ერთმა ნაწილმა მასთან კეთილი საუბრის მოსურნე ხელისუფლებისა და ინტელიგენციის წარმომადგენელთ. ეს კადრები შემზარავი იყო. ჭეშმარიტად, შავი თეთრისგან ვეღარ გაგვირჩევია და მოყვარე — მტრისაგან. ფანატიკური სიყვარულით და ასეთივე სიძულვილით შეპყრობილებმა, ისიც კი ჩავიდინეთ, რომ დიდ თანამემამულეს, მთელი ცივილიზებული სამყაროს მიერ აღიარებულ და პატივცემულ პიროვნებას, პლანეტის ყველა კეთილი ნების ადამიანისთვის სანდოს, უნდობლად მოვეკიდეთ, მის წრფელ მამულიშვილურ ზრახვებში ეჭვი შევიტანეთ და, სამშობლოს საშველად ჩამოსულს, ქვეყნის სასიკეთო გზების მაძიებელს, ნაცვლად იმისა, მხარში ამოვდგომოდით, ქვა ვესროლეთ და სახეში შევაფურთხეთ. — რაღა შეიძლება ხალხმა უყოს საკუთარ თავს ამაზე უარესი!

27.7.92.

სიტუაცია

აღამაღლეთ, განადიდეთ ქვეყანა ჩვენი — საქართველო!

ავთანდილ გველესიანი

მოვლენები ადასტურებენ, რომ წინასაარჩევნო პერიოდი და მომავალი არჩევნები საქართველოში თავის მხრივ ზეგავლენას მოახდენენ ქვეყნის სოციალურ ვითარებაზე.

როგორი ცხოვრება გვიძევს წინ?!

ახალი წესრიგის მოლოდინში უნდა ვიყოთ თუ ძველის, ისევ დღევანდელის ზოგიერთი მიუღებელი მომენტის გაგრძელების შიშით უნდა ვიყოთ შეპყრობილები თუ დაგვიდგება კარდინალური ცვლილებების ჟამი?!

ეს უპირველეს ყოვლისა, — აზროვნების სფეროში, თვისებრივად ახალი საზოგადოებრივი შემეცნების ჩამოყალიბებაში უნდა მოხდეს.

დღეს ცვლილებების დროა, სახელმწიფოს მმართველობაში პიროვნებები, პროფესიონალები, ჭეშმარიტი პატრიოტი მამულიშვილები უნდა მოვიდნენ, რომლებიც დღეს და მომავალშიც საზოგადოების მეტ ნდობას დაიმსახურებენ.

„მეორე ოქტომბერი", „უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, „წინ მესამე ოქტომბერი" გვაქვს გასასვლელი, — არჩევნები ახლოვდება.

და კიდევ: ახლო და შორი წარსულის მწარე გამოცდილებაც გვაქვს გასათვალისწინებელი.

რამდენად კეთილსინდისიერად ვმოქმედებთ, ვიქცევით, ვაზროვნებთ იმისათვის, რომ საქართველო, ჩვენი ქვეყანა გონებრივად, ქონებრივად, ზნეობრივად ავამაღლოთ?!

დღევანდელ შექმნილ ვითარებაზე ბევრს ვბჭობთ, წარსულს შეფასებას ვაძლევთ, ვდაობთ ეროვნულ კადრებზე, ხელმძღვანელობაზე, მათზე, ვინც დღევანდელ სახელმწიფო სტრუქტურებში არიან და ნაკლებ ანგარიშს ვუწევთ იმას, რომ ამჟამინდელი თუ მომავალი მოქმედი კადრები, სხვა სიტყვებით, ქვეყნის მმართველობის უმაღლესი, საშუალო და ქვედა ეშელონებში დასაქმებული პიროვნებები, არიან ქვეყნისათვის სიმტკიცისა და ძლიერების მომნიჭებელნი. ასე იყო და ასე უნდა იყოს, თუ არა და... ღმერთი დაგვსჯის!

ბუნებამ ერთადერთი სიმართლე იცის — ღვთიური სიმართლე. მას რომ შევწვდეთ, უნდა ავმაღლდეთ აუცილებლად.

ამას ამტკიცებს დღეს, ამჟამად, სამართალში მიცემული პატიმარი, ვალტერ შურღაია...

1992 წლის 17 ივლისს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა პატიმარ ვალტერ შურღაიას საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის, ბატონ ვახტანგ რაზმაძის სახელზე გაგზავნილი განცხადების ხელნაწერი: „რატომ გამოვედი ტელევიზიით", / სადაც კერძოდ დასძენს: „ღმერთმა იცის, მე არასდროს მიღალატნია პრეზიდენტისათვის, ახლა ნათლად ვხედავ ერთადერთი სწორი გზა მისი გადადგომაა", — მოგვიანებულ აღსარებას ამბობს ჭეშმარიტებას ნაზიარები, ბოლოსდაბოლოს გამოფხიზლებული, ძმათა სისხლისღვრით დაღლილ-დაქანცული ბატონი ვალტერი.

„...გავახილოთ თვალი და დავინახავთ საქართველოს დაშლის აშკარა საფრთხეს.

უნდა გადავარჩინოთ საქართველო, მისი მთლიანობა.

„ახლა არ არის ხელისუფლებისათვის ბრძოლის დრო"... ინანიებს, აღსარებას ამბობს ბატონი ვალტერი, რომელსაც საქართველოს მომავალი ბედი აფიქრებს, სამშობლოს ტკივილს განიცდის, — მოდი და, ნუ დაუჯერებ ბატონ ვალტერს, რომელიც „...სტრიქონ-სტრიქონ ეძებს საქართველოს ისტორიაში, იყო თუ არა დასავლეთ საქართველოში კუთხეები, რომლებსაც ერთმანეთის სისხლი არ უღვრიათ". და „მადლობა უფალს, უპოვია".

ოღონდაც, ამ ჭეშმარიტების ძიებისას, ბატონი ვალტერი შეგნებულად გაურბის პასუხს, თვალს არიდებს საკუთარ განვლილ გზას!

არსებობს თუ არა დღევანდელი კავშირი გამსახურდიასა და მის ნდობით აღჭურვილ პირთა შორის, რომელთა მოქმედებასაც და გზასაც ამჟამადაც ქვეყანა, ხალხი დაღუპვისაკენ მიჰყავს...

ახლა მოვუსმინოთ იმავე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში", იმავე დღეს, იმავე ნომერში გამოქვეყნებულ საერთაშორისო პენკლუბის ქართული პენცენტრის განცხადებას: „ვგმობთ ძალადობას!".

აქ ყოფილ პრეზიდენტს „— ბრალად ედება არა მარტო ხელისუფლების უზურპაცია, სამოქალაქო ომის გაჩაღების მცდელობა, არამედ ხაზინის ქურდობაც, მილიონობით თანხის, მათ შორის, უცხოური ვალუტის მითვისება. აქ ნათქვამია ისიც, რომ მისი ხელმძღვანელობით ხორციელდება დივერსიული აქტები — ხიდების, გვირაბების აფეთქება, ლიანდაგების აყრა, გზების ბლოკირება, რამაც შეიწირა რესპუბლიკის ბიუჯეტის მეხუთედი, — ხუთი მილიარდი მანეთი, ექვსი მილიარდი მანეთის ზარალი მიაყენა ჩვენს მეზობელ სახელმწიფოს — სომხეთს. გამსახურდიას და მის მომხრეთა ხელით ხორციელდება ტერორისტული აქტებიც, განსაკუთრებით აღმაშფოთებელია უკანასკნელ დღეებში საქართველოს რესპუბლიკის ეროვნებათშორისო ურთიერთობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ბატონ სანდრო კავსაძის დატყვევება".

24 ივნისის სახელმწიფო გადატრიალების ცდის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ბატონი ვალტერ შურღაია, ამავე წერილში მრავალმნიშვნელოვნად, პათეტიკურად აღნიშნავს:

„საძოვარზე მიშვებულ ყოფილ ერს", რომელსაც ოდითგანვე ჰქონდა გმირთა და წამებულთა შობის დიდი უნარი, ბრძოლაც დავიწყებია. არ იცის, ვის ებრძოლოს და როგორ ებრძოლოს"(??).

ვფიქრობ, არც საკანონმდებლო ორგანოებს, სასამართლოს, არც ბატონ ვახტანგ რაზმაძეს, არც ქართველ საზოგადოებას, ბატონ ვალტერ შურღაიას მიმართ სამართლიანი, ჭეშმარიტი განაჩენის გამოტანა, მრავალ და მრავალ მიზეზთა გამო არ შეუძლიათ, უბრალოდ არ ძალუძთ, გაუჭირდებათ.

ვფიქრობ, ბატონმა ვალტერ შურღაიამ, ყველაზე სამართლიანი, სწორი განაჩენი თავის თავს თვითონ გამოუტანა.

ახლა ეს განაჩენი სისრულეშია მოსაყვანი...

ძმათა ომში დაღუპულთა სულები კი შეგვახსენებენ, გაჰყვირიან:

— უფალო, ხალხო!

— უფალო საზოგადოებავ!

შევჩერდეთ, განვადიდოთ ქვეყანა ჩვენი — საქართველო გონებრივ, ქონებრივ, ზნეობრივ!..

და განვსაჯოთ განსასჯელი!..

სარედაქციო ფოსტიდან

„კუზიანს" მხოლოდ სამარე გაასწორებს,

ანუ რატომ ველოლიავებით გამოუსწორებელ დამნაშავეებს?

ხალხს უთქვამს, მჩხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერსო, თითქოს ჩვენს სამართალდამცველ ორგანოებზე იყოს ნათქვამი ეს სიტყვები. ტელეეკრანზე ბევრჯერ მინახავს სამართალდამცველი ორგანოების საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირები, მუქარის სიტყვებს რომ არ იშურებდნენ ე. წ. „დესტრუქციული და კრიმინალური ელემენტების" მისამართით, რომელთაც ჩირადაც არ უღირთ საქართველოს და ქართველი ხალხის ბედ-იღბალი. თქმით კი უთქვამთ, მაგრამ ეს ნაძირალები დღევანდელ, თითქმის დაუსჯელობის პირობებში, რასაც უნდათ იმას აკეთებენ, გამკითხავი კი არავინ არის.

მე ხაზგასმით აღვნიშნავ დაუსჯელობის ფაქტორს, რადგან სწორედ იგი ათამამებს და აქეზებს ყველა ჯურის ავაზაკსა და ვიგინდარას ისე ითარეშოს ჩვენს მიწა-წყალზე, როგორც მოეხასიათება.

ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი დღევანდელი მთავრობა არ იღებდეს ზომებს მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ მისი ძალისხმევის შედეგებს ხალხი ვერა და ვერ ხედავს, მძიმე დანაშაულობათა დიდი ნაწილი გაუხსნელი რჩება, და ალბათ, არც ოდეს გაიხსნება, რაც კიდევ უფრო ათამამებს და უხსნის ხელ-ფეხს ბანდიტებს, ყაჩაღებს, მკვლელებს, ყველა სხვა ჯურის ბოროტმოქმედებს.

უყურებ რა ამ მდგომარეობას და სამართალდამცველი ორგანოების ერთობ მოკრძალებულ-შეზღუდულ (ფაქტობრივად უნიათო) მოქმედებას, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს ჩვენს დღევანდელ მთავრობას ეშინია ბოროტების წინააღმდეგ გადამწყვეტი ზომების მიღებისა იმის რიდით, რომ დასავლეთმა კანონიერებისა და წესრიგის დასამყარებლად გამიზნული ჩვენი ძალისხმევა კომუნისტური, რეპრესიული პოლიტიკის რეციდივად, ან მის რეანიმაციად არ მიიღოს.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ თუ ასე დიდ ანგარიშს ვუწევთ დასავლეთს, მაშინ იქიდანვე გადმოვიღოთ მაგალითი იმისა, თუ როგორ ამყარებენ ისინი წესრიგს იქ, სადაც იქმნება საშიშროება საზოგადოებისთვის. ასეთ შემთხვევებში მათ სრულიადაც არ ანაღვლებთ, ვინ რას იტყვის. მათ პირველ რიგში ანაღვლებთ თავისი ხალხის ბედი, მისი უშიშროება და ბოროტებისგან დაცვა. ხოლო თუ ამ მიზნების მისაღწევად ზოგჯერ „არაორდინარული" ღონისძიების ჩატარებაც დასჭირდათ, არც ამას ერიდებიან და არც ვინმეს წინაშე იმართლებენ თავს.

ყველას ახსოვს, როგორ გაუსწორდა ამერიკის პოლიცია მეამბოხე სექტის წევრებს, როცა მათ გადაწყვიტეს „კრიჭაში ჩასდგომოდნენ" მთავრობას. პოლიციამ არც აცივა, არც აცხელა და ვერტმფრენიდან დაუნდობლად დაბომბა შენობები, რომლებსაც შეეფარნენ მეამბოხეები, და ეს დამსჯელი აქცია სრულიადაც არ დაუმალავთ მსოფლიო საზოგადოებისათვის (როგორც ამას ვაკეთებდით ყოველთვის მსგავს სიტუაციებში საბჭოთა კავშირის სინამდვილეში).

მე მახსოვს ჩვენი ტელეჟურნალისტის საუბარი პოლიციის შეფთან, რომელმაც ეს აქცია განახორციელა. იგი ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე და „შემდგომ ორგანოებთან შეუთანხმებლად" ესაუბრა ჩვენს ტელეჟურნალისტს აქციის ყველა დეტალზე.

ჩვენ კი ბაქი-ბუქის მეტს არაფერს ვაკეთებთ. ერთმა მაღალი თანამდებობის პირმა ერთხელ ისიც კი განაცხადა ტელეეკრანიდან, დამნაშავეებს ადგილზევე გავუსწორებთ ანგარიშსო. ჯერჯერობით ყველა ეს მუქარა მუქარადღა დარჩა, ბოროტმოქმედნი კი სულ უფრო და უფრო თავხედდებიან და ბოროტდებიან.

პატიოსანმა ადამიანმა რომ ოდნავ მაინც ამოისუნთქოს და შეღავათი იგრძნოს, ხოლო ბოროტმოქმედმა შეიგნოს დანაშაულისთვის გარდაუვალი პასუხისმგებლობისა და მკაცრი სასჯელის სუსხი, საჭიროა ინფორმაციის საშუალებებმა და, პირველ რიგში, ტელევიზიამ ფართოდ გააშუქონ, თუ ვის როგორ მიეზღო კონკრეტული დანაშაულისთვის.

ხალხი უკვე ირონიულად აღიქვამს ყოველი "მორიგი ინფორმაციის შემდეგ ტრაფარეტად გადაქცეულ სიტყვებს, რომ „მიმდინარეობს გამოძიება". ხალხს აინტერესებს არა გამოძიება, არამედ კონკრეტული ფაქტები, თუ ვის რა მიეზღო და მიეზღო თუ არა საკადრისად, „დამსახურების მიხედვით".

ამასთან დაკავშირებით, ალბათ, საჭიროა სისხლის სამართლის კოდექსის სანქციების მნიშვნელოვანი გამკაცრება, რადგანაც დღეს ჩვენს წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დაისვა ყოფნა-არყოფნის საკითხი და ამიტომ ბოროტებისადმი ყოველგვარი ლმობიერება და დათმობა მხოლოდ და მხოლოდ ერის ღალატად უნდა ჩაითვალოს.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ არიან ბოროტმოქმედნი, რომელთაც ამ ქვეყნად არაფერი გამოასწორებს და რომლებზეც ზედგამოჭრილია ხალხის ნათქვამი — „კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებსო". ასეთი „კუზიანები" კი დღეს ერთობ მომრავლდნენ ჩვენში.

განა „კუზიანებმა" არ მოაწყეს 24 ივნისის სისხლიანი დილა? განა მათ არ დააქციეს და დღესაც აქცევენ საქართველოს? მათ არაფერი გამოასწორებს, რამეთუ ისინი მზად არიან თავიანთ ავადმყოფურ, გავეშებულ ამბიციებს შესწირონ მთელი საქართველო.

ისინი გამოუსწორებელი „კუზიანები" არიან და მათთან ლაპარაკი სხვა არაფერია, თუ არა მგლის თავზე სახარების კითხვა.

სწორად გამიგეთ, შეუწყნარებლობისა და რეპრესიებისკენ კი არ მოვუწოდებ ვინმეს, მაგრამ ყველაფერს ხომ აქვს საზღვარი, მათ შორის პატიოსანი ადამიანების მოთმინებასაც?

ვ. თულაშვილი.
თბილისი

წარსული აწმყოს სამსახურში

მიმქრალი შარავანდედი

გაეშურეთ იქ, სადაც ძმა ძმის სისხლს ღვრის...

მკითხველებს ვთავაზობთ ცნობილი ლიტერატურათმცოდნისა და პედაგოგის იპოლიტე ვართაგავას წერილს — „მიმქრალი შარავანდედი", რომელიც 1918 წელს (№ 49) გაზეთ „საქართველოში" გამოქვეყნდა.

წერილი, რომელსაც მცირეოდენი შემოკლებით გთავაზობთ, მეტად საყურადღებოა და დღესაც აქტუალურად ჟღერს.

ქრისტიანობა შეურყეველ საფუძვლად დაედო თანამედროვე კაცობრიობის ცივილიზაციას, ის უშრეტი წყარო იყო ყოველივე ჰუმანიური და მაღალი ზნეობრივი პრინციპებისა...

დღემდის კაცობრიობას ვერ შეუქმნია ისეთი კულტურა, რომელიც ქრისტიანულ კულტურაზე არა თუ მაღლა, თანასწორ და გვერდით მაინც იდგეს...

ჩვენშიაც ქრისტიანობის მიღება-დამკვიდრებას თან მოჰყვა განათლება — კულტურის დამკვიდრება.

მართლაც, ვინ იყვნენ ჩვენი ლიტერატურის დამწყებ-დამფუძნებელნი? — ბერები — სტეფანე, იოანე, მიქაელი; ვინ იყვნენ საუკეთესო მცოდნენი ქართული ენისა და შეუდარებელი მთარგმნელნი? — იოანე; ექვთიმე, გიორგი მთაწმინდელი; ვისგან დაგვრჩა საუკეთესო და იშვიათი საუნჯე („საგალობელი") მეათე საუკუნისა? — მიქელ მოდრეკილისაგან. ვინ შეითვისა ზედმიწევნით აღმოსავლეთის ფილოსოფია და თითონ გახდა საუკეთესო თანამედროვე ფილოსოფოსათ? — იოანე პეტრიწელი. ვინ იყვნენ წინდახედულნი და სამაგალითო რეფორმატორნი? ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები. ვინ უდგა სათავეში ხალხისაგან და მეფეთაგან უაღრეს ნდობა-ავტორიტეტით აღჭურვილი, სახელმწიფო საქმეებს, კერძოდ მხედრობას? — ჭყონდიდელი. ვის ხელში იყო უმაღლესი სასწავლებლები საქართველოში — იყალთოელების. ერთი სიტყვით, ვინ ჩამოთვლის დაუვიწყარსა და უკვდავ ღვაწლს და შრომას ჩვენი სამღვდელოებისას?!

სასულიერო წოდებამ გვიმტკიცა ჩვენი საერთაშორისო უფლება-დამოკიდებულება. მან მომეტებულად მოგვიხვეჭა სახელი ქრისტიანობრივ რაინდობისა და შეუდრეკელ ქრისტეს აღმსარებლობისა. გაიხსენეთ, მაგ., თორნიკე ერისთავი და ზოგიერთი სხვა ბიზანტიის იმპერატორების ნდობით აღჭურვილნი, სასულიერო გმირი მოღვაწენი! ვინ აქეზებდა მეფე — წარჩინებულთ ქრისტიანულ მოქმედებისათვის შინა და გარეთ? — სამღვდელოება. სინა, იერუსალიმი, შავი მთა, ათონი — ვინ მოფინა ქართულ მონასტერთავშესაფარებლებით? — სამღვდელოებამ, სამაგალითო მოქალაქეობრიობა, ღრმა სიყვარული მამულისადმი და შეგნებული ეროვნული თვითცნობიერება ჩვენი ძველი სასულიერო წოდებისა ხომ ყველასაგან ცნობილი და უეჭველი ფაქტია. სხვას რომ თავი დავანებოთ, ჩვენი ჭიაღუასაგან შეჭმულ-დახრული გუჯრები და სიგელები, ულმობელ დროისაგან და ჩვენი უვიცობისაგან დანგრეულ შეურაცხყოფილი საყდარ-მონასტრები და მათი გალავნები ხომ ხმა-მაღლა მოგვითხრობენ მათ მამულიშვილურ და სამაგალითო მოღვაწეობას! ამას დაუმატეთ ის იშვიათი მოვლენაც მთელს მსოფლიო ისტორიაში, რომ ჩვენი სასულიერო წოდება არასდროს არ ყოფილა ფანატიკოსი და კლერიკალური იდეებით გაჟღენთილი. ისეთი სერიოზული საეკლესიო ძირითადი რეფორმა, რომლის მსგავსმაც რუსეთში დიდი განხეთქილება და მწვალებლობა გამოიწვია, ჩვენში მე-11 საუკუნეში მოხდა წყნარად, თანხმობით, შეგნებულათ, ვინაიდან ჩვენში ნაკლებად იყვნენ ნიკიტა პუსტოვიატების და მღვდელ ლაზარესთანა უკიდურესი ფანატიკოსები.

ერთი სიტყვით რითაც ჩვენ თავი მოგვაქვს და ვამაყობთ, რაც ამშვენებს ჩვენს და საზღვარგარეთულ მუზეუმებს და წიგნთ-საცავებს და მეტყველებენ და მოწმობენ ჩვენ კულტურულ ისტორიულ წარსულზე, — სუყველაფერი ეს მომეტებულად სამღვდელოების ნამაგარ-ნაღვაწევია... ამის უარყოფა შეუძლებელია.

ასეთი მრავალმნიშვნელოვანი არიან საქმენი ჩვენი სამღვდელოებისა! ასეთ მოწინავე და საამაყო ელემენტს წარმოადგენდა ის ძველ საქართველოში!

დღეს? — დღეს „აღარ არიან, აღარ ისმიან" — ნამდვილი ძველებური მოძღვარ-მასწავლებელნი... ეს-ეს არის მას ხელიდან დაუვარდეს, თუ კი ჯერაც არ დავარდნია, სულიერ წინამძღოლ-ბელადის დროშა...

დღეს, როდესაც მთელ საქართველოს შავი ყორანი თავს დასჩხავის, არ ისმის მამობრივი ხმა, ვერ ვხედავთ მის თავგანწირულ მოქმედებას, უანგარო და შეგნებულ შრომას; სადღაც მიყუჩებულან ჩვენი სულიერნი მამანი... ჩვენ სამშობლოს კი არას დროს ისე არ სჭირვებია საბა ბერები, როგორც დღეს.

მაშ, თქვენ, ერთ დროს სახელოვანო „წინამძღვარნო", თუ კიდევ დაგრჩენიათ ნასახი ქრისტიანული სიყვარულისა და სამშობლოს ერთგულებისა, თუ კიდევ მთლად არ ჩაფერფლილა თქვენში ენერგია და სულიერი სიმხნევე, თუ კიდევ შეგიძლიათ ატაროთ მარჯვენით ჯვარი ქრისტესი და შეგწევთ სულიერი სიმტკიცე მისთვის ეწამოთ, მაშ **გაეშურეთ იქ, სადაც ძმა ძმის უმანკო სისხლს ღვრის, მეზობელი მეზობელს აწიოკებს, ბუგავს, ანადგურებს, სიცოცხლეს უსპობს; სადაც ადამიანს დაუკარგავს ღვთის სახიერება, მხეცად შეცვლილა, გამქრობია სინდისი, ჭკუა, შეგნება, დაქირავებია მტერს, გადაქცეულა მის შეუგნებელ იარაღად და თვითონვე თავის ხელით ანგრევს საკუთარ სახლ-კარს და საკუთარ სამშობლოს. ეშურენით ნუ დააყოვნებთ, სამშობლო განსაცდელშია! მიდით იქ, სადაც უფრო სასიფათოა, სადაც მოძმე უფრო გამხეცებულა, სადაც უფრო მეტი უდანაშაულო სისხლი ილვრება! მიდით და საჭიროების მიხედვით შთააგონეთ, დაარიგეთ, უსაყვედურეთ, ამხილეთ, გაკიცხეთ, დაწყევლეთ, შეაჩვენეთ კიდევაც ბრიყვნი და უგუნურნი. თუ გაგიგებენ, ხომ კარგი თუ არა და დე შეურაცხგყონ, გცემონ, გაწვალონ და დაღვარონ კიდევაც თქვენი სისხლი. ეს იქნება უპატიოსნესი თავდადება მოყვასისათვის და პირნათლად ასრულება თქვენი მეუფის — ქრისტეს მცნებისა. ეს გაანათებს, გააცისკროვნებს თქვენს მიმქრალ დიდების შარავანდედს.**

საქართველოს უძველესი კულტურის გულმხურვალე მკვლევარი

ოთარ ჯაფარიძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

100 წელი შესრულდა გამოჩენილი მეცნიერის, არქეოლოგის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, პროფესორ ბორის კუფტინის დაბადებიდან.

თავისი სიცოცხლის ბოლო ორი ათეული წელი მან საქართველოს, კავკასიისა და საერთოდ ახლო აღმოსავლეთის უძველესი ისტორიის შესწავლას მოანდომა. საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად გადმოსვლამდე ბ. კუფტინი მეცნიერთა წრეში უფრო მეტად ცნობილი იყო როგორც ეთნოგრაფი, ეთნოლოგი, მაგრამ სწორედ ჩვენში კარდინალურად იცვლება მისი მეცნიერული ინტერესები. ამიერიდან იგი თითქმის მთლიანად საქართველოს არქეოლოგიურ შესწავლაზე გადაერთო. მან სრულიად ახლებურად გაიაზრა და გააშუქა კავკასიის და საერთოდ ახლო აღმოსავლეთის მრავალი ძირეული პრობლემა. მისმა ფუნდამენტურმა ნაშრომებმა ახლებური საფუძველი დაუდო და მაღალ საფეხურზე აიყვანა ქართული უძველესი კულტურის კვლევის საქმე.

ბორის ალექსანდრეს ძე კუფტინი დაიბადა ქ. სამარაში. ორენბურგის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილების ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1910-1912 წლებში სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისთვის უნივერსიტეტიდან გარიცხეს და ემიგრაციაში წავიდა. უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტში, რომელიც 1914 წელს დაამთავრა ბოტანიკის სპეციალობით და მუშაობა დაიწყო ასისტენტად ბოტანიკის კათედრაზე. 1917 წ. ბ. კუფტინი დამატებით გამოცდებს აბარებს მოსკოვის უნივერსიტეტში ანთროპოლოგიის, არქეოლოგიის და გეოგრაფიის განხრით. იგი დატოვეს პროფესორ დ. ანუჩინთან „საპროფესოროდ მოსამზადებლად". 1919 წ. იგი მოსკოვის უნივერსიტეტის დოცენტია, 1928 წ. მას ირჩევენ პროფესორის თანამდებობაზე ხალხმცოდნეობის განხრით.

სწორედ ამ ხანებში ბ. კუფტინი ინტენსიურად მუშაობს ანთროპოლოგიურ, ეთნოგრაფიულ და არქეოლოგიურ ექსპედიციებში, თან მეცნიერულ კვლევას ეწევა. ნაშრომთა ციკლისთვის 1927 წ. მას მიენიჭა საკავშირო გეოგრაფიული საზოგადოების ოქროს მედალი. 1929-30 წლებში მოსკოვის პროფესურის დარბევას ვერც ბ. კუფტინი გადურჩა. 1930 წ. იგი ტოვებს მოსკოვს და საცხოვრებლად ვოლოგდაში გადადის. ეს უმძიმესი წლები იყო მის ცხოვრებაში და სწორედ ამ დროს მას დახმარების ხელი გაუწოდა პროფესორმა გ. ნიორაძემ. 1933 წ. იგი უკვე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერი კონსულტანტია.

საქართველოში მუდმივ საცხოვრებლად გადმოსვლის შემდეგ ბ. კუფტინის საქმიანობა მთლიანად არქეოლოგიას უკავშირდება. უკვე 1934 წ. შემოდგომაზე იგი მონაწილეობს აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობაში. იკვლევს ბრინჯაოს ხანის ძეგლებს, დოლმენურ კულტურას. კავკასიისადმი ინტერესი მას ჯერ კიდევ ადრე გაღვიძებია და ამას აკადემიკოს ნ. მარს უმადლოდა. სწორედ საქართველოში იქცა ბორის კუფტინი მსოფლიო მნიშვნელობის ფიგურად, ამაში კი უდიდესი დამსახურება აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს მიუძღვის. როდესაც 1936 წ. ხრამჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით წალკის პლატოს არქეოლოგიური შესწავლა დადგა დღის წესრიგში, ბატონმა ივანემ, მიუხედავად გარკვეული დაბრკოლებებისა, არჩევანი ბ. კუფტინზე შეაჩერა.

თრიალეთის არქეოლოგიურმა გათხრებმა ძირფესვიანად შეცვალა ჩვენი წარმოდგენა საქართველოს წარსულზე და შორს სიღრმეში გაიტანა საერთოდ კავკასიის უძველესი ისტორიის ფესვები.

დღესაც კი გაოცებას იწვევს, თუ როგორ შეძლო ბ. კუფტინმა შედარებით მოკლე დროში, იმ ხანებისთვის ფართო არქეოლოგიური გათხრების ჩატარება, მოპოვებული მასალის დამუშავება, მისი ანალიზი და გათხრების დაწყებიდან ხუთი წლის თავზე, 1941 წ. თავისი ბრწყინვალე ნაშრომის გამოქვეყნება „არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში", ძეგლების პერიოდიზაციის ცდა, რომელსაც იგი ივანე ჯავახიშვილის ნათელ ხსოვნას უძღვნის. ამ ნაშრომმა პირველად საბჭოთა არქეოლოგიაში 1942 წ. სახელმწიფო პრემია დაიმსახურა. 1944 წ. კუფტინი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. 1946 წლიდან იგი აკადემიის ნამდვილი წევრია.

ხსოვნა

ეს ნაშრომი არ არის მხოლოდ თრიალეთში მოპოვებული მასალების საფუძველზე დაწერილი. ბ. კუფტინი ფართოდ სარგებლობს საქართველოს და საერთოდ სხვა მუზეუმებში დაცული მასალებით. ფართო და ყოველმხრივი ანალიზის შემდეგ იგი იძლევა პერიოდიზაციის ცდას ქვის ხანიდან მოყოლებული ვიდრე შუა საუკუნეების დამდეგამდე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბ. კუფტინის მიერ თრიალეთში მოპოვებული მასალების საფუძველზე მანამდე სრულიად უცნობი გვიანბრინჯაოს ხანაზე უწინარესი მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის კულტურების გამოყოფა. მუზეუმის კოლექციებისა და თრიალეთის მასალების შესწავლის შედეგად მან სამხრეთ კავკასიაში პირველმა დაადგინა თავისებური კულტურის არსებობა, რომელიც გასაოცარ ერთგვაროვნებას ამჟღავნებს თავისი გავრცელების ფართო ტერიტორიაზე. ბ. კუფტინმა ეს კულტურა ძვ. წ. III ათასწლეულს მიაკუთვნა და სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა. ამ კულტურის გავრცელების რაიონის მიხედვით მას „მტკვარ-არაქსის" კულტურა უწოდა. ბ. კუფტინმა ამ ნაშრომში ამომწურავი დახასიათება მოგვცა ამ ბრწყინვალე კულტურისა, გამოყო წამყვანი ტიპები, განსაკუთრებით კერამიკაში, და აღნიშნა მისი თავისებური, სრულიად დამოუკიდებელი ხასიათი, რომელიც საგრძნობლად განსხვავდება ძველაღმოსავლური სამყაროს ყველა სინქრონული კულტურისგან.

მეცნიერი იმთავითვე დიდი გულისყურით შეუდგა საქართველოს მუზეუმში დაცული მდიდარი არქეოლოგიური ფონდის შესწავლას. ყოფილ კავკასიის მუზეუმში თავმოყრილი იყო შესანიშნავი მასალები მთელი კავკასიიდან, და შეიძლება ითქვას, რომ ბ. კუფტინამდე ეს უმდიდრესი კოლექცია ფართო შესწავლის საგნად არავის გაუხდია. სწორედ ფონდებში მუშაობის შედეგად იბადება მისი ერთ-ერთი ბრწყინვალე ნაშრომი, რომელიც საგანგებოდ ეძღვნება საქართველოს ბრინჯაოს კულტურას — „ქართული კულტურის უძველესი ფესვების საკითხისათვის არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით". ამ ნაშრომში ბრინჯაოს ხანის მასალების ანალიზის ფონზე ავტორი აყენებს საკითხს, თუ სად არის საძებარი ქართული კულტურის უძველესი ფესვები, და დაასკვნის, რომ ქართველი ერის მშვენიერი სამშობლო იმავე დროს მისი კულტურის უძველეს სამშობლოდ უნდა ჩაითვალოს. არქეოლოგიური მასალების საფუძველზე მან პირველმა წამოაყენა დებულება, რომ ქართველი ხალხის უძველესი ისტორიის საწყისები ადგილობრივ საძიებარია.

1945 წელს ბ. კუფტინი ახორციელებს სამარშრუტო ექსპედიციას შიდა ქართლის ჩრდილო ზოლში და იმერეთში. ექსპედიციის ჩატარებულ სამუშაოებს იგი ცალკე წიგნს უძღვნის.

დიდია მისი ღვაწლი დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ შესწავლაში. მან კოლხეთის სიძველეებს შესანიშნავი ორტომიანი გამოკვლევა უძღვნა. იგი იკვლევს აფხაზეთის დოლმენებს და მოგვცა მათი სწორი დათარიღების ცდა. მან პირველმა მეცნიერულად შეისწავლა კოლხეთის დაბლობის ადრეულ ნამოსახლარებზე მოპოვებული მასალა. ბ. კუფტინი რომ არა, მეცნიერებისთვის შეიძლება დაკარგულიყო დიხაგუძუბას და ნაოხვამუს ნამოსახლარების კოლექციები.

უკვე სახელმოხვეჭილ მეცნიერს არაერთგზის შესთავაზეს დაბრუნებულიყო იქ, საიდანაც თავის დროზე გააძევეს. მაგრამ იგი საქართველოს ვერ შეელია.

ორმოციანი წლების დამლევს ბ. კუფტინი მიიწვიეს შუა აზიაში, სამხრეთ თურქმენეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. იგი სამი წლის მანძილზე სწავლობდა ბრინჯაოს ხანის მრავალფენიან ნამოსახლარ ნამაზგა-თეფეს და პარალელურად განაგრძობდა მუშაობას საქართველოში.

1953 წლის ზაფხულში ბრმა, ტრაგიკულმა შემთხვევამ იმსხვერპლა იგი.

ძნელია ილაპარაკო ბ. კუფტინზე და არ მოიგონო მისი მეუღლე, თბილისის კონსერვატორიის პროფესორი, ცნობილი პიანისტი, პროფესორი ვალენტინა კონსტანტინეს ასული სტაშენკო-კუფტინა. კუფტინების ოჯახი იმხანად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ჩვენი ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში, ქალბატონი ვალენტინა ხშირად მართავდა მშვენიერი სოლო კონცერტებს. მათ დიდი მეგობრობა ჰქონდათ ქართველ ინტელიგენციასთან — მხატვრებთან, მუსიკოსებთან, მომღერლებთან. ძველ თბილისელებს ახლაც კარგად ახსოვთ რუსთაველის პროსპექტზე მოსეირნე შესანიშნავი წყვილი.

ბორის კუფტინის ბოლო თხოვნა, რომელიც მან თავის მეუღლეს გაანდო, ის იყო, რომ მისი ცხედარი ქართული მიწისთვის მიებარებინათ. მეუღლემ, რომელმაც არ ისურვა სიცოცხლე საყვარელი ადამიანის დაკარგვის მერე, ანდერძად დაიბარა, რომ საქართველოში დაეკრძალათ. ეს კუფტინების ოჯახის საქართველოსადმი მადლიერების გრძნობის ბოლო გამოხატულება იყო. ბორის კუფტინი მეუღლესთან ერთად დაკრძალულია ვაკის სასაფლაოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

პრეზიდენტობის კანდიდატი აქტიურობს

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატი დემოკრატიული პარტიისაგან არკანზასის შტატის გუბერნატორი ბილ კლინტონი, რომელმაც დემოკრატიული პარტიის ეროვნული ყრილობის შემდეგ მნიშვნელოვნად გაუსწრო პოპულარობით რესპუბლიკური პარტიის კანდიდატს, თეთრი სახლის ახლანდელ მეთაურს ჯორჯ ბუშს, ცდილობს განიმტკიცოს მოპოვებული უპირატესობა და დამატებითი ქულები მოიპოვოს საგარეო-პოლიტიკურ სფეროში აქტიური პოზიციის შემუშავებით. მით უმეტეს, რომ სწორედ ამ სფეროში ახლანდელ პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს დიდი ავტორიტეტი აქვს მოპოვებული. ამჯერად კლინტონი ყოფილ იუგოსლავიაში შექმნილ უმწვავეს ვითარებას შეეხო. მან ნიუ-იორკში გაავრცელა განცხადება, რომელშიც კერძოდ ნათქვამია: დადგა დრო გამოვიჩინოთ ლიდერობა და ხელი შევუწყოთ ყოფილ იუგოსლავიაში მშვიდობისა და თანხმობის მიღწევას. მე მოვუწოდებ ადმინისტრაციას უფრო აქტიურად ითანამშრომლოს ევროპის სახელმწიფოებთან ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ჰუმანიტარული დახმარების გაგზავნაში. ვიდრე ჯერ კიდევ არის დრო, ჩვენმა მთავრობამ უნდა მოუწოდოს საერთაშორისო გაერთიანებას შეიმუშაოს კონფლიქტის ლოკალიზაციის ახალი ღონისძიებები". მან თქვა, რომ სერბიის ეკონომიკური ბლოკადა უნდა გამკაცრდეს. ადრიატიკის ზღვაში ამერიკისა და ევროპის სახელმწიფოების სამხედრო-საზღვაო ძალებს გაეროს უშიშროების საბჭომ ნება უნდა დართოს გაჩხრიკონ ის გემები, რომლებიც იჭვმიტანილი იქნება სერბიისა და მისი მოკავშირის ჩერნოგორიის ნავსადგურებში კონტრაბანდული ტვირთის მიტანაში. კლინტონმა მოუწოდა საერთაშორისო გაერთიანებას მიიღოს ზომები სერბიის პრეზიდენტის მილოშევიჩის და ყველა იმ პირის სამართალში მისაცემად, ვისაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკებში სამოქალაქო მოსახლეობის დახოცვაში, ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად.

თითო აბზაცით

გაზეთმა „იზვესტიამ" აფხაზეთის პარლამენტის გადაწყვეტილებას 1925 წლის კონსტიტუციის აღდგენის შესახებ პოლიტიკური ჩიხისაკენ გადადგმული ნაბიჯი უწოდა. გაზეთის აზრით, აფხაზეთის პარლამენტის მოქმედება მნიშვნელოვანწილად პროვოცირებულია რესპუბლიკაში მცხოვრები ქართველების მხრივ, რომელთა უმრავლესობა ჩამოგდებული ექს-პრეზიდენტის მომხრეა.

ლონდონში ევროპის გაერთიანების შუამავალი, პორტუგალიელი დიპლომატი ჟოზე კუტილიერუ ცალ-ცალკე მოლაპარაკებას აწარმოებს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სამი მტრული თემის წარმომადგენლებთან. იგი აცნობს მათ ბოსნიის კრიზისის პოლიტიკური მოწესრიგების მისეულ გეგმას. გავრცელებულია ინფორმაცია, რომ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას სამივე მხარე არღვევს.

რუსეთის რადიო აღნიშნავს, რომ ოს-ქართველთა კონფლიქტის ზონაში ცხოვრება კალაპოტში დგება და ათასობით ლტოლვილი უბრუნდება მიტოვებულ სახლებს. მიუხედავად ამისა, რუსეთის, საქართველოს და ოსეთის სამშვიდობო ძალები უშიშროების ზონაში მკაცრად ახორციელებენ კონტროლს. შეთვალყურეთა საგუშაგოებს აშფოთებს ის გარემოება, რომ ცხინვალის ირგვლივ ტყეებში იმალება შეიარაღებული ფორმირებები, რომლებსაც ვითარების გამწვავება სურთ.

ეს ჩვენი საქართველოა!



როცა თბილისში 40 გრადუსია. სიმონ კილაძის ფოტო (ფოტოსააგენტო „დრო").

ჩვენი ბედი აინტერესებთ, ჩვენ თანაგვიგრძნობენ

7-11 ივნისს კანადის ქალაქ ტორონტოში გაიმართა პედიატრიული დერმატოლოგიის მე-6 საერთაშორისო კონგრესი, რომელსაც 52 ქვეყნის 600-მდე წარმომადგენელი დაესწრო.

12-16 ივნისს კი ნიუ-იორკში მიმდინარეობდა დერმატოლოგთა მე-18 მსოფლიო კონგრესი 9.000-ზე მეტი სპეციალისტის მონაწილეობით. ამ კონგრესებზე საქართველოდან ორი მოხსენება წარადგინა პროფესორმა ლუბა შეწირულმა და ერთი — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა მანანა შველიძემ.

ჩვენმა კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა ქალბატონ ლუბა შეწირულს.

— „პედიატრიული დერმატოლოგია" ყურს რაღაც უცხოდ ხვდება, არადა, უკვე მეექვსე საერთაშორისო კონგრესი გამართულა, რომლის მუშაობაში ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან მხოლოდ თქვენ, ქართველი მეცნიერი მონაწილეობდით.

— დიახ, პედიატრიული დერმატოლოგია შედარებით ახალი დისციპლინაა, — ის ბოლო, 15-20 წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა. საქართველოში დერმატოლოგიის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტთან სამი წელია, შეიქმნა რესპუბლიკაში პირველი (და ჯერჯერობით ერთადერთი) ბავშვთა დერმატოლოგიური განყოფილება, რომელიც შეისწავლის ბავშვთა შორის კანის დაავადებათა სტრუქტურას, ეპიდემიოლოგიას და პათოგენეზს რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში. კვლევების წინასწარი მონაცემებით აღინიშნება კანის ალერგოდერმატოზების, ბაქტერიულ-ინფექციური და მძიმე ქრონიკული დაავადებების მნიშვნელოვანი მატება. ყურადსაღებია ბავშვებში კანის პიგმენტაციის დარღვევისა და თმის ცვენის შემთხვევების მკვეთრი მატებაც. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანს მკვეთრად შემცირდა, თითქმის ლიკვიდირებულია სოკოვანი დაავადებები.

პედიატრიულ დერმატოლოგიაში ჯერჯერობით მხოლოდ პირველი ნაბიჯებია გადადგმული. სწორედ ამიტომ მეტად საინტერესო იყო ტორონტოს კონგრესი თავისი მრავალფეროვანი პროგრამით. კონგრესის პირველი დღის პლენარული სხდომები მიეძღვნა ბავშვთა შიდსის პრობლემას, რომლის შემთხვევებიც ამერიკაში რეკორდულ მაჩვენებლებს აღწევს. დიდი ყურადღება დაეთმო ეკოლოგიური ფაქტორების გავლენას განსაკუთრებით — კვების პროდუქტებზე, აგრეთვე ბავშვთა მოვლის საგნებში ქიმიურ-სინთეზური ნაერთების გამოყენების გამო ალერგიული დაავადებების — კონტაქტური დერმატიტებისა და სხვა ქრონიკული დერმატოზების განვითარებას. კონგრესმა შეაჯამა პედიატრიული დერმატოლოგიის მიღწევები და განსაზღვრა ამ დარგის განვითარების პერსპექტივები.

— ახლა ნიუ-იორკში გამართულ დერმატოლოგთა მსოფლიო კონგრესზე გვიამბეთ.

— მის სხდომებზე წარმოდგენილი იყო 5.000-ზე მეტი მოხსენება კლინიკური და ექსპერიმენტული დერმატოლოგიის სხვადასხვა პრობლემებზე, დერმატოქირურგიისა და დერმატოონკოლოგიის ჩათვლით.

— თქვენ ამერიკის შეერთებული შტატების დერმატოლოგიის აკადემიის წევრი ბრძანდებით, რამდენადაც ვიცი — ერთადერთი წევრი ყოფილი საბჭოთა კავშირიდან.

— დიახ, 1987 წელს ამირჩიეს ამ აკადემიის წევრად. მსოფლიო კონგრესების მუშაობაში კი (რომელიც ყოველ 5 წელიწადში იმართება), 1975 წლიდან ვმონაწილეობ.

— და წელს პირველად მონაწილეობდით კონგრესის მუშაობაში როგორც საქართველოს რესპუბლიკის დელეგატი.

— ეს საოცარი შეგრძნება იყო. ბავშვივით ბედნიერი ვიყავი, როცა სხვა ქვეყნების დროშებს შორის ვიხილე ჩემი ქვეყნის დროშაც...

— მერე საქართველოს დროშა ჰქონდათ კონგრესის ორგანიზატორებს?

— არა. ამას გიამბობთ: კონგრესის გახსნა 6 საათზე იყო დანიშნული, 2 საათისათვის, რეგისტრაციაში რომ გავტარდი, გადავწყვიტე ის დარბაზი მენახა, სადაც კონგრესის გახსნის ცერემონია უნდა ჩატარებულიყო. იმ დარბაზს სხვადასხვა ქვეყნების დროშებით რთავდნენ. ვიკითხე, საქართველოს დროშა თუ გაქვთ მეთქი. ძალიან შეწუხდნენ — არაო. ბედად, გულზე სამკერდე ნიშანი მებნია საქართველოს დროშის გამოსახულებით. დროშის დამზადებას, ცხადია, ველარ მოასწრებდნენ, მაგრამ სასწრაფოდ დაამზადეს ფოტოსლაიდი და როდესაც სხდომის გახსნისას დარბაზის დიდ ეკრანზე საზეიმო მუსიკის თანხლებით კონგრესში მონაწილე ქვეყნების დროშების დემონსტრირება დაიწყო, იქ საქართველოს დროშაც გაბრწყინდა.

— კიდევ საინტერესო რას გვიამბობდით?

— კონგრესს ესწრებოდა დერმატოლოგიის აკადემიის (რომლის წევრიც მე გახლავართ) პრეზიდენტი. ამით ვისარგებლე და აუდიენცია ვთხოვე. იქვე, სხდომათა შუალედში მომძებნა და კარგახანს ვისაუბრეთ. დიდად დაინტერესდა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებით (სხვათა შორის, საქართველოსადმი საგრძნობლად გაზრდილ ინტერესსა და თანაგრძნობას ამჟღავნებდა ყველა ნაცნობი თუ უცნობი, ვისაც იმ დღეებში შევხვდი). ვუამბე, რაოდენ რთულ ვითარებაში გვიხდება მუშაობა ქართველ მედიკოსებს და, კერძოდ, დერმატოლოგებს, რომლებიც სამკურნალო საშუალებების უმწვავეს დეფიციტს განიცდით. შევახსენე ჩვენი მინისტრის ბატონ ირაკლი მეგრელაძის შუამდგომლობა აშშ-ს დერმატოლოგიური აკადემიისადმი ჰუმანიტარული დახმარების თაობაზე. ბატონმა პრეზიდენტმა აღმითქვა, რომ იმ ჰუმანიტარულ დახმარებას, შეერთებული შტატებიდან რომ ილებს საქართველო, დაუმატებენ კანის სნეულებებით დაავადებულთა სამკურნალო მედიკამენტებსაც და მას მიზნობრივი დანიშნულებით მიიღებს ჩვენი დერმატოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

ესაუბრა
მაკა ქორიძე.

საუბარი დერმატოლოგთა საერთაშორისო და მსოფლიო კონგრესების მონაწილესთან

გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

●

ვინ თავისუფლდება სამხედრო ბეგარისგან?

ჩვენს გაზეთს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონის მოქალაქეებმა მიმართეს რამდენიმე შეკითხვით, რომლებიც „საქართველოს რესპუბლიკაში საყოველთაო სამხედრო მოვალეობის დროებითი დებულების" ზოგიერთ პუნქტს ეხება. შეკითხვები გამოგვიგზავნეს ნ. ნაცვლიშვილმა (თბილისი), დ. მათითაიშვილმა, ბ. დოლიძემ (ჩოხატაური), გ. ბერიაშვილმა (რუსთავი), გ. ინასარიძემ (გორი) და სხვებმა, რედაქციამ შეკითხვები განმარტებისათვის გადაუგზავნა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს, რომლის პრესსამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ა. საჯაია გვატყობინებს:

1. „საქართველოს რესპუბლიკაში საყოველთაო სამხედრო მოვალეობის დროებითი დებულების" თანახმად, დედ-მამის ერთადერთი შვილი (დედისერთა) თავისუფლდება სამხედრო ბეგარის მოხდისგან".

2. ამავე დებულების მეხუთე თავის 27-ე მუხლის „ა" პუნქტის საფუძველზე, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადება ეძლევათ სწავლების გამო: უმაღლესი სასწავლებლების დასწრებული სწავლების სტუდენტებს, რომლებიც არ გადიან სამხედრო სწავლებას, ოღონდ არაუგვიანეს 23 წლის ასაკისა".

აქ იგულისხმება ყველა სახის დღისა და საღამოს სწავლების უმაღლესი სასწავლებელი, როგორც სახელმწიფო, ასევე ფასიანი.

რეპლიკა

იქნებ თურქეთში გაყიდიან. წინაპარო!

თბილისში, კუს ტბის გზაზე იქნებ ბევრს შეგინიშნავთ „ბებრების" სკულპტურა... აცილებდნენ ბებო და პაპა გამვლელ-გამომვლელთ...

და აი, ვიღაც უკეთურებს (ასე რომ მოგვიმრავლდნენ საქართველოში) კვარცხლბეკიდან გადმოუგდიათ ქანდაკება. ტყვიაც კი უსვრიათ მისთვის.

ისინი, ალბათ, ახალგაზრდები იქნებოდნენ... ...ნუთუ ისე გაიზარდნენ, ერთხელაც არ უგრძვნიათ ბებიისა და პაპის ალერსი... მაშ, ასე რამ გაუყინათ გული და გონება, ასე როგორ გადაგვარდნენ!

რაღა დარჩა? აიღონ ახლა ბრინჯაოს ქანდაკება და გაიტანონ გასაყიდად თურქეთში. იქნებ, ასეც აპირებენ, ვინ იცის?!

ვილენ მარდალეიშვილი.



თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა" და საინფორმაციო კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

მხოლოდ ჰუმანური კანონებით

ხუთი თვეა საქართველოში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წევრთა დელეგაცია იმყოფება. დელეგაციის მიზანია შეიარაღებული კონფლიქტების ზონაში საერთაშორისო ჰუმანური კანონის მიხედვით დაიცვას მშვიდობიანი მოსახლეობა, დაჭრილები ორივე მხრიდან, ტყვეები, ასევე საავადმყოფოები, მედპუნქტები, სასწრაფო დახმარების მანქანები.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან განსხვავებით, თავისი წესდება აქვს. ეს მანდატი ჟენევის 1946 წლის კონვენციებისა და 1977 წლის დამატებითი ოქმების მიხედვით საერთაშორისო ჰუმანურ კანონებს ითვალისწინებს, რაც მსოფლიოს ყველა ქვეყანამ აღიარა.

თავისი პრინციპებიდან გამომდინარე, კომიტეტი ცდილობს მებრძოლთა შორის გაავრცელოს ინფორმაცია, რათა ამ კონფლიქტურ სიტუაციაში მხარეებმა პატივი სცენ და დაიცვან ეს კანონები.

— ჩვენ არა მარტო საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში დავმკვიდრდით კონფლიქტების ჩაქრობამდე, არამედ, სამწუხაროდ, მსოფლიოს ორმოცდაათამდე ქვეყანაში. — გვითხრა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დელეგაციის ხელმძღვანელმა საქართველოში **ვიცენტ ლიუსერმა:**

— ჩვენ ვიყავით სამაჩაბლოში, საავადმყოფოებს დეკემბერ-იანვრის მოვლენების დროს დაზარალებულთათვის გადავეცით მედიკამენტები, დასავლეთ საქართველოში ციხეებში შევხვდით არსებული სიტუაციების გამო დაპატიმრებულებს. ამჟამად ჩვენი დელეგაცია თქვენს მთავრობასთან აწარმოებს მოლაპარაკებას ჟენევის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის მიზნით. კონკრეტულად კი როდის მოხდება ეს, დამოკიდებულია სახელმწიფო საბჭოზე.

მარიკუს დუტლი, ინფორმაციის პასუხისმგებელი დელეგატი:

— ჩვენი სამსახურის მიზანია სამოქალაქო მოსახლეობას პრესისა და ტელევიზიის საშუალებით მიაწოდოს ინფორმაცია კომიტეტის საქმიანობის შესახებ საქართველოსა და მსოფლიოში. ოღონდ დამკვირვებლებისა და პრესის მუშაკთაგან განსხვავებით ჩვენ ნანახსა და შეტყობილს კონფიდენციალურ დონეზე ვინახავთ. ამიტომ მას უფრო ზოგადი ინფორმაციული ხასიათი აქვს.

გარდა ამისა, ჟენევის კონვენციების შესაბამისად ვატარებთ სემინარებს და ვაწყობთ კურსებს. საქართველოს ტელევიზიითაც გამოვედით და ეროვნულ წითელ ჯვარშიც წავიკითხეთ ლექცია. სულ მალე საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაკებსა და უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებსაც შევხვდებით, რათა საერთაშორისო დონის მოღვაწეებმა იცოდნენ და დაიცვან ჟენევის ხელშეკრულების პრინციპები. სამწუხაროდ, მაინც ირღვევა იგი, რის გამოც ჩვენი უშუალო მოვალეობაა შესაბამის ხელმძღვანელობას შევატყობინოთ აღნიშნული ფაქტები.

საუბრის ბოლოს წითელი ჯვრის წარმომადგენლებმა გაგვიმეორეს — ვინაიდან არ ვიცით, როდის დამთავრდება კონფლიქტი, ჩვენი სტუმრობის დროც განუსაზღვრელია საქართველოში.

ია კალანდარიშვილი.

მეცნიერის ღვაწლი არ დაივიწყეს

ადიღეს დედაქალაქ მაიკოპში, კავკასიაში პირველად, ჩატარდა ევროპის კავკასიოლოგთა საზოგადოების VI კოლოკვიუმი. მას ესწრებოდნენ ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის 190 კავკასიოლოგი და აღმოსავლეთმცოდნე.

სესია გახსნა ამ საზოგადოების პრეზიდენტმა პროფესორმა **დონალდ რეიფილდმა.**

კოლოკვიუმის მთავარი თემა იყო ნართული ეპოსი, რომლის შესახებ ძირითადი მოხსენება გააკეთა პროფესორმა ა. გადაგატლიძემ, სხვა მეცნიერებთან ერთად პლენარულ სხდომებზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი იოსებ მეგრელიძე. მან ილაპარაკა ნ. მარის, გ. ახვლედიანის, ა. შანიძის, ვ. აბაევის, შ. ძიძიგურისა და საკუთარი ნართოლოგიურ მოსაზრებებზე. აღნიშნა, რომ სვანური ვარიანტები ადიღე-ჩერქეზებიდან ჩანს შემოსული, მთიანი რაჭა-ლეჩხუმის ვარიანტები კი უმთავრესად ჩრდილო ოსეთიდან არის. ამას გარდა, იოსებ მეგრელიძის ინფორმაცია შეეხებოდა დიღომში 1939 და შემდეგ წლებში მის მიერვე აღმოჩენილ ბრინჯაოს კოლექციას (იხ. ჟურნალი „სოვეტსკაია არხეოლოგია" ტ. XV, 1951 წ.).

ღვაწლმოსილი კავკასიოლოგისა და აღიარებული რუსთველოლოგის დამსახურება საგანგებოდ აღინიშნა შეკრებაზე. 83 წლის პატრიარქი მეცნიერი, რომელიც სხვა ნაშრომთა შორის ავტორია წიგნისა „აფხაზმცოდნეობის სათავეებთან", შემდგენელი და გამომცემელი მისი მასწავლებლის აკადემიკოს ნიკო მარის ნაშრომთა დიდი კრებულისა „ო იაზიკე ი ისტორიი აბხაზოვ" (ლენინგრადი 1938 წ.), ასევე სხვათა ნაშრომებისაც — აღიარეს უხუცეს მეცნიერად.

გამოითქვა სურვილი მოეწყოს შემდეგი კოლოკვიუმი ამიერკავკასიაში, კერძოდ — თბილისში.

განახლებული ეკლესია-მონასტრები

სიღნაღის რაიონის ეკლესია-მონასტრების აღდგენა-განახლებას ამ ბოლო დროს დიდი ყურადღება ექცევა. ამის ნათელი დასტურია წმინდა ნინოს სამონასტრო კომპლექსის განახლება, შეკეთება და შემოგარენის კეთილმოწყობა. ცნობილია, რომ აქ, სამონასტრო ეკლესიაში დაკრძალულია წმინდა ნინო. მისი სამარადჟამო განსასვენებლის სანახავად საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან და საზღვარგარეთიდან უამრავი სტუმარი მოდის.

საქართველოს საპატრიარქოს, უშუალოდ კი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის რუდუნებითა და ხელშეწყობით, როგორც სამონასტრო კომპლექსის, ისე ეკლესიის განახლებისათვის, წირვა-ლოცვისა და კურთხევის, აგრეთვე ეკლესიისათვის უწინდელი ელფერის დასაბრუნებლად ბევრი რამ გაკეთდა.

აღდგენითი სამუშაოები შესრულდა აგრეთვე ტიბაანში, წმინდა სტეფანეს საეკლესიო კომპლექსის აღსადგენად. აქ დაიდო ბინა რელიგიურმა და სამუსიკო სასწავლებლებმა, განახლდა ბოდბისხევის წმინდა მარიამის ეკლესია, სადაც აგვისტოს მიწურულს ყოველწლიურად მარიამობა იმართება.

არცთუ ისე დიდი ხნის წინ დასრულდა მაღაროსცენტრში მდებარე ეკლესიის აღდგენითი სამუშაოები. ეკლესიამ, რომლისაგანაც მხოლოდ ორი კედელიღა იყო გადარჩენილი, პირვანდელი სახე მიიღო. დღეს ამ ეკლესიის გუმბათს ჯვარი ამშვენებს.

მაგრამ აქვე ისიც უნდა ითქვას; რომ ბოდბისხევში დაწყებული ფერიცვალების ეკლესიის აღდგენითი სამუშაოები რატომღაც, ეს ორი წელიწადია, შეჩერდა. თაღური გადახურვისათვის გაკეთებული ხის კარკასი ლპება და იშლება.

ვიმედოვნებთ, რომ მალე ამ უნიკალურ ძეგლსაც გამოუჩნდება გულშემატკივარი და დაწყებული კეთილი საქმე დასრულდება.

ვახტანგ გოზალიშვილი.

რატომ შეფერხდა მოძრაობა მეტროპოლიტენში?

გუშინ, დილით, გაგანია „პიკის" დროს, თითქმის ორმოც წუთს გაჩერდნენ მატარებლები თბილისის მეტროპოლიტენში.

ცხადია, ბევრს აინტერესებს, რა იყო მიზეზი,

თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს მოძრაობის უსაფრთხოების რევიზორმა **რობერტ დედანაშვილმა** „საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტს უთხრა:

— დილით, ჩიხიდან გამოსვლისას, ერთ-ერთი მატარებელი დაზიანდა და მთავარი ხაზი (ვაგზლის მოედანზე) გადაკეტა. ჩიხში მის შებრუნებას, ცხადია, გარკვეული დრო დასჭირდა, ამან კი სხვა მატარებლების მოძრაობა შეაფერხა.

ოფურჩხეთელებს მოთმინების ფიალა აევსოთ

წყალტუბოს ზონის სოფელ ოფურჩხეთში მთელი კვირაა ყაჩაღები თავს ესხმიან მშვიდობიან მოსახლეობას. 28 ივლისს ღამის 3 საათზე მიუხტნენ 80 წლის მარტოხელა მოხუცს გოცია დავითულიანს, სადისტურად აწამეს, სცემეს, და თუ რამ გააჩნდა, წაართვეს. ანალოგიური თავდასხმა მოხდა სოფლის მთავარი ექიმის ოჯახზე.

28 ივლისს დილიდან ამ სოფლის მცხოვრებლებმა გადაკეტეს ამბროლაურ-ქუთაისის ცენტრალური მაგისტრალი და ამ მაგისტრალთან დაკავშირებული ყველა გზა. არ უშვებენ არანაირ ტრანსპორტს. გზაზე სხვებთან ერთად დგანან ჩვილბავშვიანი დედები და მოხუცები. პიკეტის მომწყობ თანასოფლელებთანაა სოფლის გამგებელი ემზარ ქორიძე. მოპიკეტეებმა წარმოადგინეს მოთხოვნა, რომ ადგილზე მივიდეს რაიონის ხელმძღვანელობა, საგამოძიებო ორგანოებმა კვალიფიციურად გამოიძიონ დანაშაული. ამავე დროს ისინი მილიციისგან მოითხოვენ სოფელში სადღეღამისო მორიგეობის შემოღებას.

თემურ ბურდილაძე.

ჩოგანი

Barcelona'92

დავითმა მართლაც იდავითა!

ბარსელონის 25-ე ოლიმპიურ ასპარეზობაზე ქალთა შორის პისტოლეტით სროლაში სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი ნინო სალუქვაძე ამჯერად მეხუთე ადგილს დასჯერდა (676 ქულა). ამ სახეობაში ჩემპიონი გახდა როსტოველი მარინე ლოგვინენკო (684 ქულა).

გვყავს პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი! ბარსელონაში ძიუდოისტთა შეჯიბრებაზე თავი ისახელა ქუთაისელმა **დავით ხახალეიშვილმა.** მან ფინალში წმინდად დაამარცხა მრისხანე იაპონელი მეტოქე ნ. ოგავა.

ვულოცავთ ახალგაზრდა ქართველ ფალავანს ამ ბრწყინვალე გამარჯვებას!



სურათზე: ოლიმპიური ჩემპიონი დავით ხახალეიშვილი

სპორტული ტელეტაიპი

ლატვიის დედაქალაქში მოეწყო ტრადიციული ყოველწლიური მძლეოსნური მარათონი „რიგა-92".

თბილისელმა ვალერი გედევანიშვილმა გაიმარჯვა 40 წელზე უხნეს მორბენალთა შორის, ხოლო საერთო ჩათვლაში მე-11 იყო 900 მონაწილეთაგან. ამ ასაკობრივ ჯგუფში ვერცხლის ჯილდო ასევე თბილისელმა — ოლეგ ხარაზიშვილმა დაისაკუთრა; იგი საერთო ჩათვლაში მეთექვსმეტე იყო.

• • •

ბელგიის ქალაქ ანტვერპენში მიმდინარეობს მოჭადრაკე სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატი.

ექვსი ტურის შემდეგ ქალთა შორის ლიდერობს თბილისელი სტუდენტი ქეთევან კახიანი. ვაჟთა გუნდებს შორის დაწინაურდა საქართველოს დედაქალაქის კოლექტივი, რომელშიც შედიან ლაშა ჯანჯღავა და თამაზ ტაბატაძე.

• • •

დამთავრდა თბილისის ვეტერან მოჭადრაკეთა პირველობის 1-ლი ლიგის ასპარეზობა.

ამ შეჯიბრებაში, რომლის მონაწილეთა ასაკი 50 წელს უნდა აღემატებოდეს, გაიმარჯვა სამეცნიერო-საწარმოო კომპანია „ეოტსკის" წამყვანმა მეცნიერმა თანამშრომელმა ნოდარ გოგაძემ, რომელმაც 9,5 ქულა დააგროვა 11 შესაძლებელში. მას ერთი ქულით ჩამორჩნენ კოოპერატივ „ტექნოსერვისის" თანამშრომელი გიორგი ავაქიანი და საქართველოს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის დოცენტი ზურაბ ჩაჩუა.

გამოსათხოვარი

ამქვეყნად სიყვარულს თესავდა

კიდევ ერთი ჭეშმარიტად ნიჭიერი მსახიობის, ფაქიზი ადამიანის სიცოცხლე დასრულდა ნაადრევად — კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დასს, მთელ ქართულ თეატრალურ ხელოვნებას დააკლდა რესპუბლიკის სახალხო არტისტი **ირაკლი უჩანეიშვილი.**

იგი მსახიობად იყო დაბადებული. მკვეთრი ინდივიდუალობით დაღდასმულ არტისტული ბუნების ხელოვანს სულში ჰქონდა გაუტანლობასთან და შურთან, სიხარბესთან და ღალატთან შეურიგებლობა. მხოლოდ სიკეთეს თესავდა, სიყვარულსა და ხათრიანობას ემსახურებოდა, სიხარულსა და ბედნიერებას აფრქვევდა მაყურებელს სცენიდან, ტელევიზიისა თუ კინოს ეკრანიდან.

შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ირაკლი უჩანეიშვილი რუსთაველის თეატრში მიიღეს მსახიობად. შემდეგ იყო კინოსტუდია „ქართული ფილმი", რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრი და, ბოლოს, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი.

თეატრალურ ინსტიტუტში შესვლამდე იგი თბილისის საავიაციო ტექნიკუმში სწავლობდა, სადაც მფრინავის პროფესიის სიდიადემ, ცად აჭრის სურვილმა და რომანტიკამ მიიყვანა. ტექნიკუმის ლიტერატურულ დრამატულ საღამოებში აქტიურად მონაწილეობდა. მისი ტალანტი უმალ შენიშნა ვასო გოძიაშვილმა. ამან გადაწყვიტა ირაკლის მომავალი ბედი — იგი მსახიობი გახდა.

42 წელი იღვაწა ირაკლი უჩანეიშვილმა ქართულ სცენაზე, ესტრადაზე, ტელევიზიაში, რადიოსა და კინოში. მრავალგან გაისმა მისი ხავერდოვანი, დამაჯერებელი ხმა, მართალი სიტყვა და გულშიჩამწვდომი სიმღერა. სცენაზე ორმოცდაათზე მეტი სახე შექმნა, ორმოცდაათზე მეტი პერსონაჟი გააცოცხლა... მხოლოდ ამ როლების დასახელებაც კი კმარა იმისთვის, რომ კაცმა დაინახოს, რა ადგილი ეკავა მას თეატრის შემოქმედებაში, რამდენს შრომობდა, რამდენ ენერგიას ხარჯავდა. აი, ეს როლებიც: ბარონი (მ. გორკის „ფსკერზე"), ბარნაბა ხაგანელიძე (ქ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ციხკარი"), გაიოზი (თ. ჭილაძის „სურათები საოჯახო ალბომიდან"), დონ კარლოსი (ფ. შილერის „დონ კარლოსი"), კოჩკარიოვი (ნ. გოგოლის „ქორწინება"), როსტომი (ნ. ლორთქიფანიძის „ქამთა სიავე"), შურიკა (ჯ. იოსელიანის „ტაკიმასხარა"), ივთიმ გურჯი (ო. მამფორიას „ივთიმ გურჯი"), სოკრატე (ვ. კანდელაკის „სოკრატე"), ტირესია (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე"), მოხუცი მსახიობი, ტიგრან პოპოპიანცი, არშაკა („ძველი ვოდევილები"), რეზო (ლ. როხებას „პრემიერა"), კუზმა კილგა (ლ. ქიაჩელის „მაკი აბბა"), ვარლამი (ი. გარუჩავას და პ. ხოტიანოვსკის „ალსარება"). ამადეო (ლ. ბერლანგას, რ. ასკონას, ე. ფლაიანოს „გაროტა"), მელქისედეკ კათოლიკოსი (კ. გამსახურდიას „დიდოსტატი").

პერსონაჟთა მთელი ეს ლაშქარი შედგება ერთმანეთის საწინააღმდეგო ხასიათის, განსხვავებული გარეგნობისა და ასაკის ადამიანებისგან, რაც თავისთავად მეტყველებს ირაკლი უჩანეიშვილის ფართო და მრავალმხრივ აქტიორულ შესაძლებლობებზე, მის მრავალპლანიანობაზე. დღეს კი შეგვიძლია დავსძინოთ — მის დიდ ოსტატობაზე:

ქართულ კინომატოგრაფს შემორჩება მის მიერ შექმნილი საეკრანო სახეები — ოფიცერი („პალიასტომის ტბა"), ვახტანგ ნიჟარაძე („ზღვის შვილები") ერისტო („ჭიაკოკონა"), მუსა („ვედრება"), ერდელი („საიდუმლო").

უთუოდ აღსანიშნავია მის მიერ შესრულებული მოლიერის როლი სატელევიზიო სპექტაკლში (მ. ბულგაკოვის „ფარისეველთა კაბალა").

— როცა სცენაზე გამოვდივარ და გაჭედილ დარბაზს ვხედავ, — ამბობდა ირაკლი უჩანეიშვილი, — მაყურებლებთან ერთად მადლობის გრძნობა მეუფლება. მე მიყვარს ჩემი მაყურებელი. მადლობელი ვარ მისი იმისთვის, რომ მოვიდა, და ვიცი — ვალდებული ვარ ვაჩვენო მას ყველაზე საუკეთესო, რისი გაკეთებაც კი შემიძლია...., მე ყოველ საღამოს, ყოველ სპექტაკლზე დავფრინავ ვარსკვლავთა შორის...

ამის თქმა შეეძლო მხოლოდ ირაკლის, თავისი ფართოდ გახელილი კეთილი თაფლისფერი თვალებით, გარდაცვალებით მარადიულობაში რომ დაიმკვიდრა სახსოვარი, ჩვენ კი დაგვიტოვა დიდი ტკივილი, მწუხარება და შეუვსებელი სიცარიელე.

საქართველოს კულტურის სამინისტრო; საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი; კინოსტუდია „ქართული ფილმი"; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრი.

კრიმინალური ქრონიკა

გასულ დღე-ღამის განმავლობაში რესპუბლიკაში რეგისტრირებულია 28 სისხლის სამართლის დანაშაული. მოხდა 1 მკვლელობა, 14 სახელმწიფო და პირადი ქონების ქურდობა, 8 ავტოავარიაში დაიღუპა 4 ადამიანი.

რუსთავში ანატოლი სიჩოვმა წაკინკლავების ნიადაგზე დანით ბარძაყში დაჭრა თავისი შვილი სერგი სიჩოვი, რომელიც საავადმყოფოში გარდაიცვალა. დამნაშავე დაკავებულია.

ქუთაისში დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა შეაღწიეს სარაიონთაშორისო საწყობებში და გაიტაცეს ავტობუსის სხვადასხვა სათადარიგო ნაწილები და ავტოცისტერნა, რომელშიც 5600 ლიტრი ავტომობილის ზეთი ესხა.

ზუგდიდის რაიონის სოფელ ზედა ეწერში მსუბუქი ავტომანქანიდან სროლა აუტეხეს პოლიციის თანამშრომლებს. პოლიციის მუშაკებმა დააკავეს ავტომანქანა, რომელშიც ისხდნენ უმუშევრები კახაბერ უშხვანი, ოთარ კვანჭიანი, ბერდია კვიციანი და ხვიჩა უშხვანი. მათ აღმოაჩნდათ ავტომატი, კარაბინი და 4 პისტოლეტი, მათ შორის 2 პარაბელუმი.

ქუთაისში პოლიციის მუშაკებმა დააკავეს სამხედრო ნაწილის მოსამსახურე პავლე ავილჩუკი, რომელიც გიორგი მელაძის სახლს ქურდავდა.

ნანა მაყაშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის სამეურნეო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა რიგგარეშე საინფორმაციო ლექტორიუმი გაიმართება ამა წლის 30 ივლისს, 17 საათზე მთავრობის სახლის საკონფერენციო დარბაზში.

რესპუბლიკაში საბანკო მომსახურების პრობლემებზე ისაუბრებენ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და სახელმწიფო-კომერციული ბანკების ხელმძღვანელები.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სოციალური მართვის ცენტრი.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ზოზიაშვილი.

მისამართი: 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-73-24.

[illegible]

[illegible]

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში, რეგისტრაციის ნომერი 0455.